საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო

№003 (12 073)
6 იანვარი შაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი

ყაზბეგი



ბობოხიძე და ფეიქრიშვილი კრივბასში ისინჯებიან

გიგიაძე ჩემოდნებზე?

2



ყაველაშვილი ბაზელიდან წავიდა

2



ფეხბურთთან გამოთხოვება ძალიან მიჭირს

ინტერვიუ გოგა გახოკიძესთან

2

# კობიაშვილი, სასარგებლო და ეფექტური

## კიკერმა ქართველი ბუნდესლიგის საუკეთესო შუახაზელებს შორის დაასახელა



სანამ ბუნდესლიგაში მეორე წრე დაიწყება, გერმანული გამოცემები ჩემპიონატის საშემოდგომო ეტაპს აჯამებენ. გამორჩეულ ფეხბურთელებს "კიკერი" სათამაშო პოზიციების მიხედვით ანაწილებს. გუშინ, ჯერი ნახევარმცველებზე მიდგა. ამ ამპლუის მოთამაშეთა შორის, საუკეთესოდ "ვერდერის" საყრდენი **ტორსტენ ფრინგსი** მიიჩნიეს. მას ის 14 ნახევარმცველი მოჰყვება, რომლებმაც პირველი წრე მაღალ დონეზე ჩაატარეს. მათ შორისაა **ლევან კობიაშვილიც**.

თითოეული მათგანი მოკლედაა დახასიათებული. *"სეზონის დასაწყისში მირკო სლომკა მას მარცხენა მცველის პოზიციაზე ათამაშებდა, რაც კობის არცთუ კარგად გამოსდიოდა. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ლევანი უფრო შემტევი ყაიდის მოთამაშეა. ნახევარდაცვაში მან მას შემდეგ გადაინაცვლა, რაც "შალკეს" მარცხენა მცველი კრისტიან პანდერი გამოუჯანმრთელდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ამის მერე კობი გაცილებით ეფექტური და სასარგებლო გახდა. მარცხენა ფლანგზეც და ნახევარდაცვის ცენტრშიც ის დამაჯერებლად ირჯებოდა"* - წერს პოპულარული გამოცემა.

პირველ წრეში, ქართველის საუკეთესო მატჩად "კიკერმა" "შალკე"-"ბაიერნი" მიიჩნია. შეგახსენებთ, ის თამაში გელზენკირხენში 2:2 დასრულდა, ლევანმა კი **ოლივერ კანის** კარში გატანილი ბრწყინვალე შორეული გოლით გამოიჩინა თავი. მიმდინარე ჩემპიონატში მის ანგარიშზე სულ 3 გოლია. "ბაიერნის" გარდა, კობიმ "ჰანოვერსა" და "კოტბუსსაც" გაუტანა. მისი საშუალო შეფასება 3.5-ია.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ფაჩულიას შანსი

# უკვე 130 ათასი ხმა

მოურნინგი, უოლასი თუ ზაზა?

10

Handball euro 2008

ხვალ. 15:30
სპორტის სასახლე

საქართველო
ლატვია

წინასამატჩო

11



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ გიორგი გახოკიძესთან

# ფეხბურთთან გამოთხოვება ძალიან მიჭირს



გოგა გახოკიძეს ჰოლანდიურ გრანდ ეინდჰოვენშიც უთამაშია

გუშინდელ ნომერში "ტვენტეს" ოფიციალურ და სხვა უცხოურ ვებგვერდებზე გავრცელებული ამბავი გამცნეთ. საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა გიორგი გახოკიძემ საფეხბურთო კარიერის დასრულების შესახებ გააკეთა განცხადება. მისი მცირე კომენტარი გუშინვე შემოგთავაზეთ. დღეს კი შეპირებულ ინტერვიუსაც შეგიძლიათ გაეცნოთ...

- სამწუხაროდ, სხვა გზა აღარ დამრჩა. ძალიან გამიჭირდა ამ ნაბიჯის გადადგმა, მაგრამ რას ვიზამ... არცკი მინდა დავიჯერო, რომ ასე მოხდა...

**- გამოდის, რომ კარიერის დასრულება ტრავმებმა გაიძულა?**

- ასეა. თითქმის ორი წელია, ტრავმებმა დამტანჯეს... ხან წელის, ხან მუხლის, ხან კუნთისა და ხანაც საზარდულის... ჯერ 31 წლის ვარ. ვფიქრობ, კიდევ შემეძლო თამაში და სარგებლობის მოტანა როგორც ნაკრებისთვის, ასევე კლუბისთვის.

**- ხანგრძლივად კი მკურნალობდი, თანაც სხვადასხვა ექიმთან...**

- სად აღარ ვიმკურნალე... გერმანიაში, ცნობილ სპეციალისტთან, დოქტორ შუბერტთან, რომელიც ჩვენი ნაკრების ექიმია. სხვათა შორის, მასთან მკურნალობამ ერთხანს შედეგიც გამოიღო, მაგრამ მერე ისევ გამიუარესდა მდგომარეობა. შემდეგ ფინეთშიც ვიყავი სამკურნალოდ და ჰოლანდიის ნაკრების ექიმსაც კი მივმართე... საბოლოო ჯამში კი ისე გამოვიდა, რომ ფეხბურთთან გამოთხოვება მიწევს.

**- დეკემბრის მეორე ნახევარში თითქოს გამოჯანმრთელდი და გუნდთან ერთად სრული დატვირთვითაც განაახლე ვარჯიში...**

- მართლაც ასე იყო, მაგრამ მალე ტკივილებმა ისევ შემაწუხა, თან ისე, რომ კვლავ ექიმებში მომიწია სიარული.

**- ბოლოს რა გაწუხებდა?**

- ორივე ფეხზე უკანა კუნთები მტკიოდა და ისე მეჭიმებოდა, ნაადრევად მიწევდა ხოლმე ვარჯიშის დასრულება. სამწუხაროდ, ასე არაერთხელ განმეორდა.

**- "ტვენტესთან" ჯერ კიდევ კონტრაქტი გაკავშირებდა. ბუნებრივია, კლუბის ხელმძღვანელობას უკვე ესაუბრე გადაწყვეტილების შესახებ...**

- რა თქმა უნდა. თავადაც კარგად ხედავდნენ ჩემს ყოფას. ყველა კლუბში ასეა და მათ შორის, "ტვენტეშიც" - თუ ფეხბურთელი ტრავმის გამო კლუბისთვის გამოუსადეგარი ხდება, მაშინ მხარეები, ურთიერთშეთანხმებით, კონტრაქტს წყვეტენ. ასე იყო ჩემს შემთხვევაშიც. ისე კი, მაისის ბოლოს მიმთავრდებოდა ხელშეკრულება. მქონდა 1+1 სახის კონტრაქტიც. შესაბამისად, ამ სეზონის ბოლოს კლუბის ხელმძღვანელობასთან ერთად უნდა გადაგვეწყვიტა, გავაგრძელებდით თუ არა თანამშრომლობას.

**- როგორც გავიგეთ, "ტვენტეს" შეფებმა კლუბში დარჩენა და იქვე დასაქმებაც შემოგთავაზეს...**

- დიახ, ესეც მითხრეს - ჩვენს კლუბში ერთ-ერთი გამორჩეული სახე ხარ, ეროვნულ ნაკრებშიც თამაშობ და დარჩი, "ტვენტეში" ერთ-ერთ პოსტს შემოგთავაზებთო. ჩემგან თანხმობის შემთხვევაში უკვე კონკრეტული საუბარი წავიდოდა იმაზე, თუ რა თანამდებობაზე მომიწევდა მუშაობა... მაგრამ დავფიქრდი და თავი შევიკავე.

**- მთავარმა მწვრთნელმა რა გითხრა?**

- გვიჭირს შენთან განშორება, მაგრამ რა გაეწყობაო... რუტენმა ისიც მითხრა, შენი შემხედვარე, ქართველი ფეხბურთელებით უფრო მეტად დავინტერესდი და თუ თქვენში ვინმე ნიჭიერი ფეხბურთელი გამოჩნდება, აუცილებლად დავაკვირდებიო.

**- ნუთუ ფეხბურთში დარჩენის მცირე შანსი მაინც არ გაქვს?**

- შანსს 10 პროცენტს კიდევ ვიტოვებ... შესაძლოა, რამდენიმეთვიანი პაუზის შემდეგ, კიდევ შევძლო თამაში. ვნახოთ, ჯერ დავისვენებ და თუ ტრავმებს რამე ეშველა, შეიძლება კარიერის განახლებაზე ფიქრი... მაგრამ რა ვიცი...

**- საქართველოში?**

- ამაზეც ვიფიქრე, მაგრამ თუ თამაშს შევძლებ, ისევ უცხოეთში გავაგრძელებ კარიერას, თუ არა და...

**- მერე რას აპირებ?**

- ეს კი ზუსტად არ ვიცი... ალბათ, ისევ ფეხბურთში დავრჩები, მაგრამ რა სტატუსით, ამაზე ჯერ ნაადრევია საუბარი.

**- სანაკრებო კარიერასა და საერთოდ, გასულ წელს როგორ შეაფასებდი?**

- ეროვნულ გუნდში ყოველთვის გულით ვთამაშობდი. მადლიერი ვარ როგორც მწვრთნელების, ასევე ყველა თანაგუნდელის, მათი, ვინც მენდობოდა და ვისაც ჩემი სჯეროდა. სანაკრებოდან ყველაზე კარგად იტალიასთან თბილისური მატჩი მახსენდება. შეცვლაზე შევედი და რამდენიმე წამში შოთა არველაძის ჩინებული პასი გოლად ვაქციე... დიდხანს მემახსოვრება თბილისში, უკრაინასთან თამაშში გატანილი ეფექტური გოლი... ნაკრებიდან კიდევ ბევრი მაქვს გასახსენებელი... რაც შეეხება განვლილი 2006-ს, ჩემთვის სასიამოვნო წელი ნამდვილად არ ყოფილა, სასიამოვნო მხოლოდ იყო ის, რომ კლაუს ტოპმიოლერისგან აშკარად ვგრძნობდი ნდობასა და მხარდაჭერას. მან ახალი გუნდის მშენებლობა დაიწყო და ეს უკვე აშკარად ჩანს. ვიქნები თუ არა ნაკრებში, ამას მნიშვნელობა არ აქვს, ცხადია, ეროვნული გუნდის გამარჯვებები ყოველთვის გამახარებს. მჯერა, ტოპმიოლერის ხელში ჩვენი ნაკრები მალე ძლიერი გუნდი გახდება.

**დავით ცაბაძე**

მოსალოდნელი ტრანსფერები

# ფეიქრიშვილსა და ბობოხიძეს კრივბასში გასინჯავენ

## ოლეგ ტარანი: ქართველების ბედი თურქეთში გადაწყდება, გიგიაძეს კი გაუმჯობესებულ კონტრაქტს შევთავაზებთ

უკრაინული გაზეთი "კომანდა" კრივოი როგის "კრივბასის" ახალ მთავარ მწვრთნელ **ოლეგ ტარანს** სამომავლო სიახლეებსა და გეგმებზე გაესაუბრა. ტარანმა საინტერესო ამბები გაგვიმხილა. მისი თქმით, გუნდი საქართველოდან შევსებას ელის: *"მოთამაშეები შვებულებიდან დაბრუნდნენ და ვარჯიშები განვაახლეთ. გამონაკლისები არიან თავდამსხმელი ვასილ გიგიაძე და ნახევარმცველი ლადო ბურდული, რომლებიც საქართველოდან დღეს დაგვიბრუნდებიან. თურქეთში შეკრებას 13 იანვარს დავიწყებთ, მაგრამ ჯერ კიდევ უცნობია, რომელ ფეხბურთელებს წავიყვანთ. სიაში იქნება 26 მოთამაშე, მათგან რამდენიმე ახალწვეულიც იქნება... საქართველოდან მარჯვენა ნახევარმცველს ველით. სხვათა შორის, ამ ქვეყნიდან თავდამსხმელიც ჩამოვა. ახალწვეულები თურქეთში შემოგვიერთდებიან და მათ საკონტროლო შეხვედრებში გავსინჯავთ".*

ტარანს პოტენციური ახალწვეულების გვარები არ დაუკონკრეტებია. მათ შესახებ ვერც ჩვენი პარტნიორი გაზეთის "კომანდას" ჟურნალისტმა სერგეი დიმიანჩუკმა გვითხრა რაიმე. ის "კრივბასთან" მუშაობს და ქართველების ვინაობით თავად იყო დაინტერესებული. ამიტომ, გუშინ თავად ტარანს დავუკავშირდით. თავდაპირველად, მანაც ვერაფერი დაგვიკონკრეტა: *"ქართველებს თურქეთში ველოდით, მაგრამ გეგმები შეიცვალა და ისინი კრივოი როგში დღეს (ანუ, გუშინ - ავტ) იქნებიან. საღამოს თუ დამიკავშირდებით, მათ შესახებ უფრო დეტალურად მოგახსენებთ".*

საღამოს, "კრივბასის" მწვრთნელს კიდევ ერთხელ შევეხმიანეთ:

- ახლა, შემიძლია უფრო დამშვიდებულად გესაუბროთ. ერთი ახალწვეული მარჯვენა ნახევარმცველია, გიორგი პიკრიშვილი (?), რომელიც "ჯორჯიაში" თამაშობდა.

**- ალბათ, "ვიტ ჯორჯიის" ფეხბურთელ გიორგი ფეიქრიშვილს გულისხმობთ...**

- დიახ, დიახ, ძნელად დასამახსოვრებელი გვარია და მომიტევეთ, ხომ გესმით... თავდამსხმელი კი თბილისის "დინამოდანაა", მიხეილ ბობოხიძე, ახალგაზრდულ და ეროვნულ ნაკრებებში უთამაშია.

**- მათ კონტრაქტებს სთავაზობთ?**

- ჯერ შეკრებაზე დავაკვირდებით და კონტრაქტზე შემდეგ ვისაუბრებთ.

**- ვასილ გიგიაძის საკითხი როგორაა, რჩება თუ მიდის?**

- ის ჯერ არც მინახავს. დღეს უნდა ჩამოფრენილიყო და დავილაპარაკებთ.

**- ცნობილია, რომ გიგიაძის დატოვება გსურთ, მაგრამ რაკი კლუბმა ტრანსფერზე დააყენა, გამოდის, რომ მის წასვლას შეეგუეთ...**

- მეც მაინტერესებს, რა მოხდა. გიგიაძეს "კრივბასთან" კონტრაქტი კიდევ ნახევარი წლით აკავშირებს და ჩვენ შეგვიძლია, ფეხბურთელი გავაჩეროთ. თუმცა მისი ძალიან კარგად მესმის. როგორ უნდა შევუშალოთ ხელი უკვე ასაკში შესულ ფეხბურთელს, რომელსაც უკეთეს კლუბში იწვევენ? ასე რომ, ახლა ჩვენი კი არა, მისი პოზიციაა საინტერესო.

**- ანუ, "კრივბასში" დარჩება თუ არა, მთლიანად მასზეა დამოკიდებული?**

- რა თქმა უნდა. ის ჩვენთვის დიდი ძალაა და არ მინდა, რომ წავიდეს. საამისოდ, უკეთეს პირობებსაც შევთავაზებთ.

**მერაბ მამულაშვილი**



მიხეილ ბობოხიძე



გიორგი ფეიქრიშვილი



ვეტერანი

# ყაველაშვილი ბაზელს დაემშვიდობა

## ...კარიერა კი ჯერ არ დაუსრულებია

გუშინ "ბაზელის" ოფიციალურ ვებგვერდზე უაღრესად საინტერესო ინფორმაციას წავაწყდით. საიტი იტყობინება, რომ შვეიცარიულმა გუნდმა ზამთრის მოსამზადებელი შეკრება დაიწყო და ერთადერთი ფეხბურთელი, რომელმაც ამ ეტაპისთვის "ბაზელი" დატოვა, **მიხეილ ყაველაშვილია**. კლუბმა მას კონტრაქტი აღარ გაუხანგრძლივა.

ვერ ვიტყვით, რომ ეს ამბავი მოულოდნელი აღმოჩნდა. იმთავითვე ცნობილი იყო, რომ ვეტერანი ქართველი ფორვარდი "ბაზელს" მალე დატოვებდა, მაგრამ არც ის იყო გამორიცხული, მას 2006-07 წლების სეზონი იქვე ჩაემთავრებინა. შეგახსენებთ, ყაველაშვილი შვეიცარიულ გრანდში 2006 წლის დასაწყისში გადავიდა და ბევრისთვის მოულოდნელად, "ბაზელს" რამდენიმე მნიშვნელოვანი გოლით შეეწია. კლუბმა მასთან თანამშრომლობა გაახანგრძლივა, მაგრამ ამ სეზონში მიხეილს თავი აღარ გამოუჩენია. მოედანზე იგი მხოლოდ 4-ჯერ გავიდა და გოლი არ გაუტანია. ბოლო პერიოდში იგი "ბაზელის" 18-კაციან განაცხადშიც ველარ ხვდებოდა.

ჯერჯერობით, გაურკვეველია, სად და რომელ ამპლუაში გააგრძელებს საქართველოს ნაკრების ყოფილი წევრი მოღვაწეობას. როგორც შევიტყვეთ, ყაველაშვილი ამჟამად თბილისშია. "2007 წლის დადგომასთან ერთად, "ბაზელთან" კონტრაქტიც ამომეწურა. კლუბის ხელმძღვანელობის ეს ნაბიჯი სულაც არ გამკვირვებია, კარგად ვიცოდი, რომ "ბაზელს" დავემშვიდობებოდი. შვეიცარიაში რამდენიმე დღეში უნდა დავბრუნდე და ამის შემდეგ გადავწყვეტ, გავაგრძელებ თუ არა აქტიურ საფეხბურთო კარიერას. ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, შემიწყობს თუ არა თამაშში ხელს ჩემი ამჟამინდელი ფიზიკური მდგომარეობა. ისე კი, თუ თამაშს გავაგრძელებ, აუცილებლად რომელიმე შვეიცარიულ კლუბში გადავალ", - გვითხრა მან.

ჩვენი მხრივ, შეგახსენებთ, რომ ყაველაშვილს თავისი ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში თბილისის "დინამოს", ვლადიკავკაზის "ალანიისა" და "მანჩესტერ სიტის" ღირსება დაუცავს. ნეიტრალურ ქვეყანაში კი მან არაერთი კლუბი გამოიცვალა. "ბაზელამდე" იგი "გრასჰოპერსის", "ციურიხის", "სიონის", "ლუცერნისა" და "არაუს" რიგებში ასპარეზობდა.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ალექსანდრე ჩიხრაძე

ლეგიონერები

# გვაზავა აირჩევს, ჩიხრაძე მოიფიქრებს

ნალჩიკის "სპარტაკის" მთავარმა მწვრთნელმა **იური კრასნოჟანმა** "სპორტ-ექსპრესთან" სატრანსფერო საკითხებზე ისაუბრა. ამ საუბრიდან ჩვენთვის საინტერესო დეტალებს ალვნიშნავთ. კრასნოჟანმა თქვა, რომ წინა დღით **ალექსანდრე ჩიხრაძეს** და კიდევ რამდენიმე ფეხბურთელს განახლებული კონტრაქტები შესთავაზეს და ფეხბურთელებმა მოსაფიქრებლად მცირე დრო ითხოვეს. თუმცა ჩრდილოკავკასიელთა თავკაცს მეკარის შენარჩუნების ილუზია არ აქვს: *"ჩიხრაძის დარჩენა ფანტასტიკის სფეროა, რადგან ვლადივოსტოკის "ლუჩ ენერგიამ" მას ძალზე სარფიანი კონტრაქტი შესთავაზა".*

ამასობაში კი, "ლუჩი" მოსამზადებლად კვიპროსს გაფრინდა, რა თქმა უნდა, **გიორგი ლომაიას** გარეშე. საქართველოს ნაკრების გოლკიპერს არენდის ვადა ამოეწურა და ახლა უგუნდოდაა.

ნალჩიკელთა მწვრთნელის თქმით, ჯერაც გაურკვეველია **გოგიტა გოგუას** ბედი, თუმცა ერთი რამ ცხადია - გოგუა "სპარტაკიდან" ყველა ვარიანტში მიდის, ისევე, როგორც რუსეთის მოქალაქე **ირაკლი გეფერიძე**. ნალჩიკში არ დარჩება **ლევან გვაზავაც**, რომელსაც, კრასნოჟანის მტკიცებით, რამდენიმე წინადადებიდან საუკეთესო აქვს ამოსარჩევი. სამწუხაროდ, მან გვაზავას სავარაუდო კლუბები არ დააკონკრეტა.

# ოდესელთა მწვრთნელმა შაშიაშვილი გააკრიტიკა

ოდესის "ჩერნომორეცის" მთავარი მწვრთნელი **სემიონ ალტმანი** უკრაინული "სპორტ-ექსპრესის" სტუმარი იყო. ვრცელი ინტერვიუდან, ქართველი მკითხველისთვის საინტერესოა ერთი კითხვა, რომელიც საქართველოს ნაკრების მცველ **გიორგი შაშიაშვილს** ეხება. კითხვა-პასუხს აქვე გთავაზობთ:

**- პირველ წრეში გიორგი შაშიაშვილი გუნდში პოზიციებს ხელთათმანებივით იცვლიდა. უცნაურია, მაგრამ სანაკრებო მატჩებში ის გაცილებით ძლიერად გამოიყურებოდა, ვიდრე "ჩერნომორეცში"...**

- რაც უნდა კარგად თამაშობდეს შაშიაშვილი საქართველოს ნაკრებში, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს გუნდი შესარჩევ ციკლში აგებდა და ბევრ გოლსაც უშვებდა. სხვა საქმეა, რომ გიორგიმ კიდევ ერთხელ გამოავლინა უნივერსალიზმი, კლაუს ტოპმიოლერის მითითებით კარგად ერთვებოდა შეტევებში... მარტო ბუფონის კარში გატანილი ულამაზესი გოლი რად ღირს... შაშიაშვილს უკრაინის ჩემპიონატთან შეგუებისთვის დრო სჭირდებოდა, ჩვენი პირველობა ხომ გაცილებით ხისტია, ვიდრე საქართველოს ჩემპიონატი. სწორედ აქედან მოდის გიორგის მიერ დაშვებული უამრავი შეცდომა, განსაკუთრებით, გადამწყვეტ მატჩებში. გაიხსენეთ, მისი მოქმედება "შახტართან" მატჩში, ან გუსევის წაქცევა, რომელმაც დაანგრია ჩვენი საშინაო მატჩი კიევის "დინამოსთან".

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



გიორგი შაშიაშვილი (15)

სანამ ჩემპიონატი განახლდება...

# რუსთაველები ძლიერდებიან

მეორე წრის დაწყებამდე, რამდენიმე ქართული კლუბი სატრანსფერო ბაზარზე განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევა. მათ შორის, თამამად შეიძლება, ლიდერად რუსთავის "ოლიმპი" დავასახელოთ. ამ კლუბმა ერთბაშად სამი ქართველი ლეგიონერის ჩამოყვანა მოახერხა.

როგორც კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა **ბადრი ქარქაშაძემ** გვითხრა, ნახევარწლიანი კონტრაქტები გაუფორმეს მეკარე **მირზა მერლანს** (ბოლოს ლიტვის "ვეტრაში" თამაშობდა), ნახევარმცველ **ზურაბ არზიანს** (ყაზანის "რუბინი") და თავდამსხმელ **რევაზ გოცირიძეს** (ნაბერეჟნიე ჩელნის "კამაზი"). ისინი გუნდში დეკემბრიდან ვარჯიშობდნენ, კლუბის მესვეურებთან წინასწარი შეთანხმებაც ჰქონდათ, მაგრამ კონტრაქტები მხოლოდ გუშინ გააფორმეს.

# ამერი თურქეთში მოემზადება

გუშინ, "ამერი" თურქეთის საკურორტო ქალაქ ანთალიაში გაემგზავრა. **გიორგი ჩიხრაძის** ხელქვეითები იქ პირველ მოსამზადებელ ეტაპს გაივლიან. ამერელთა მთავარი მწვრთნელის თქმით, მისი გუნდი თურქეთში ორ საკონტროლო შეხვედრას ჩაატარებს და თბილისში 25 იანვარს დაბრუნდება. თებერვლის დასაწყისში, "ამერი" ანთალიაში დაბრუნება და კიდევ ოთხი-ხუთ მატჩს გამართავს.

*"პირველ შეკრებაზე მხოლოდ ორ სპარინგმატჩს ჩავატარებთ, მეორის დროს კი ოთხი შეხვედრა დაიგეგმა სერბეთის, სლოვენიისა და ორ რუმინულ გუნდთან. არაა გამორიცხული, მეხუთე მატჩი ერთ-ერთ დასავლეთევროპულ კლუბთან ვითამაშოთ. თუმცა ამას თურქეთში ჩასვლისას დავაზუსტებთ"* - გვითხრა ჩიხრაძემ.

# ზესტაფონს ბრაზილიელები დაუბრუნდნენ

"ოლიმპის" აწ უკვე ყოფილი მცველი **როინ ონიანი** "ზესტაფონში" დეკემბერში გადავიდა და ორწლიანი კონტრაქტიც გააფორმა. ამის მიუხედავად, რუსთაველებთან იურიდიული პრობლემა დღემდე გადასაჭრელი ჰქონდა. საკითხი ახალი წლის შემდეგ მოგვარდა და ონიანმა "ზესტაფონთან" ხელშეკრულებას ხელი უკვე მოაწერა.

მოსამზადებელი ეტაპისთვის, იმერული კლუბი გუშინ ბაკურიანში გაემგზავრა. ბრაზილიელი ნახევარმცველები, **ვიეირა** და **სანტოსი**, რომლებიც გუნდში შემოდგომაზე ჩაირიცხნენ, უკვე საქართველოში არიან და გუნდთან ერთად ვარჯიშობენ.

თითქმის გადაწყვეტილია, რომ გამოცდილი ფეხბურთელები, რომელთაც "ზესტაფონთან" კონტრაქტების ვადა ამოეწურათ, ახალ ხელშეკრულებებს გააფორმებენ. ერთადერთი, მცველ **სევასტი თოდუას** საკითხია ღიად დარჩენილი, მაგრამ დიდი შანსია, რომ მან კარიერა ისევ "ზესტაფონში" გააგრძელოს.



# საქართველოს XVIII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. გუნდები. პირველი წრის შეჯამება www.pfl.ge

# ლოკომოტივი

### მონაგარი

| | მატჩი | ძირითადში | გოლი | საგოლე პასი | ყვითელი | წითელი |
|---|---|---|---|---|---|---|
| გვარამაძე (მეკ.) | 13 | 13 | -17 | - | 1 | - |
| გ. კვახაძე | 12 | 12 | - | - | 4 | 1 |
| გულორდავა | 11 | 10 | - | 2 | 1 | - |
| ფოფხაძე | 11 | 9 | - | 1 | 2 | - |
| ვ. გორჯაშვილი | 10 | 10 | 4 | - | 5 | - |
| ებრალიძე | 10 | 10 | - | - | 3 | - |
| თუთბერიძე | 10 | 10 | - | - | 3 | - |
| ავალიანი | 9 | 8 | - | - | 1 | - |
| მიხაილიდი | 9 | 7 | - | - | 1 | - |
| ჩივაძე | 9 | 3 | - | - | 2 | - |
| კუპრეიშვილი | 8 | 8 | - | - | 2 | - |
| გუშარაშვილი | 8 | 8 | 2 | 1 | 5 | 1 |
| ცხომარია | 7 | 6 | - | 1 | 2 | - |
| ჟღენტი | 7 | 6 | - | - | 1 | - |
| ალავერდაშვილი | 7 | 4 | 2 | - | 1 | - |
| მხეიძე | 6 | 4 | - | - | - | - |
| ბარბაქაძე | 6 | 3 | - | - | 2 | - |
| ყენია | 5 | 5 | 2 | - | - | - |
| ბახტაძე | 5 | 2 | - | 1 | - | - |
| დეისაძე | 5 | 1 | - | - | - | - |
| ბუდაღაშვილი | 4 | 1 | - | - | 2 | - |
| ყიფიანი | 3 | 1 | - | - | - | - |
| ევანოიძე | 3 | 1 | - | - | 1 | - |
| აბულაძე | 1 | 1 | - | - | - | - |
| ბარაბაძე | 1 | - | - | - | - | - |
| სარაჯიშვილი | 1 | - | - | - | - | - |
| კალანდია | 1 | - | - | - | - | - |



ლოკომოტივის მწვრთნელი მაყურებლის სიმცირეს უჩივის




თბილისის "ლოკომოტივი", ძირითადად, გამოუცდელი მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული. ეს გუნდის საპირველო გამოსვლას დაეტყო კიდეც: კარგ თამაშს ჩავარდნა მოსდევდა. წლევანდელ "ლოკომოტივს" აქცენტი გადატანილი აქვს საკუთარი სკოლის თამაშზე, რაც კლუბის სტრატეგიიდან გამომდინარეობს: მეპატრონე თანხის უდიდეს ნაწილს ბაზისა და სტადიონის მშენებლობაზე ხარჯავს, წელს კი მხოლოდ უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაზე ზრუნავს. და ერთ-ერთი მთავარი მოვლენა: "ლოკომოტივში" გამოჩნდა ქართული ფეხბურთის იმედი, ნახევარმცველი ლევან ყენია, რომელიც ახლა ესპანურ "ლევანტეში" აგრძელებს სრულყოფას.

## ამირან მინაშვილი

მთავარი მწვრთნელი

### პირველი ეტაპის შეფასება

- თუ გუნდის წევრთა გამოუცდელობას და პოტენციალს გავითვალისწინებთ, ნესით, შედეგით უკმაყოფილო არ უნდა ვიყო. თუმცა თამაშის ხარისხზე რა მოგახსენოთ... თანამედროვე ფეხბურთის მოთხოვნებს საკმაოდ ჩამოვრჩებით, რაც კომპლექტური მიზეზების შედეგია.

### საუკეთესო მატჩი

"მერანთან" მოგებას (3:1) დავასახელებ. ჩვენმა ფეხბურთელებმა კოლექტიური და ინდივიდუალური მოქმედებების სინთეზი აჩვენეს, იყო შედეგიც და სანახაობრივი ფეხბურთიც, რაც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. დამამახსოვრდა აგრეთვე ფრე (1:1) სიონთან. ფეხბურთელებმა თავი ტაქტიკურად და ინდივიდუალურად გამოიჩინეს. "ბათუმთან" საშინაო მოგებას (1:0) კი სათამაშო დისციპლინის წყალობით მივაღწიეთ.

### ყველაზე ცუდი მატჩი

- სამწუხაროდ, ასეთი მატჩი ბევრი იყო. "ტორპედოსთან" საშინაო მარცხს (0:3) მინც გამოვარჩევდი. მატჩის გული. სტანდარტულების შესრულებისას, ძალიან სუსტად და გაუაზრებლად ვმოქმედებდით, სათამაშო დისციპლინა მოშლილი იყო. სუბიექტური და ობიექტური მიზეზის გამო, ფეხბურთელები ამ თამაშისთვის შზად არ იყვნენ. "ტორპედოსთან" ნაგებს ნამდვილად არ ველოდი.

### პლუსები

- უმოკლეს დროში ახალი გუნდის ჩამოყალიბება და მოთამაშეების გარკვეული დონემდე მიყვანა. ძალიან იყო ლამის ასპროცენტიანი შედეგი უმეტესი კონკურენტებთან მატჩებში: ესეც თამაშიდან ოთხი მოვიგეთ და გასვლაზე ორი ფრედ დავასრულეთ.

### მინუსები

ჩვენი მინუსი სათამაშო დისციპლინაა. ეს ფეხბურთელთა ინდივიდუალიზმისა და გამოუცდელობის შედეგია, რაც ნაგებულ მატჩებში გამოჩნდა. ლიდერებთან კარის მშრალად შენახვა ვერ მოვახერხეთ.

### პროგრამა მინიმუმი

ეს კონკურენტებთან შეხვედრებისას შევასრულეთ: არც ერთ მათგანთან არ დაგვიმარცხებულვართ.

### პროგრამა მაქსიმუმი

- საერთოდ, "ლოკომოტივის" სტრატეგიიდან გამომდინარე, პროგრამა მინიმუმიცა და მაქსიმუმიც უმაღლესში ადგილის შენარჩუნებაა. ძვირადღირებული მოთამაშეების მოწვევა მცირე ბიუჯეტის გამო ვერ ხერხდება.

### მზადება მეორე ეტაპისთვის

- მეორე წრეს განსაკუთრებული ცვლილებებით არ ვხვდებით. მხოლოდ სამი ფეხბურთელი დავიმატეთ: **მიხეილ სოსელია, კახა ნუზისაძე და ირაკლი მალიჩავა**. მალიჩავა თავისუფალი აგენტია და "ლოკომოტივს" დაუბრუნდა. უმაღლესში უთამაშია და მათი ძლიერ შეგვეწევა. გაცუშვით შვიდი ფეხბურთელი. მომზადების პირველ ეტაპს, 8-30 იანვარს, თბილისში გავივლით, 1 თებერვლიდან კი ზღვისპირეთში გავემგზავრებით.

### საკადრო პოლიტიკა

- ფიზმომზადების მწვრთნელი **თამაზ ნატროშვილი** სხვა გუნდში გადავიდა და მის ადგილზე გამოცდილი სპეციალისტი **გელა პაპაშვილი** დაინიშნა. ჩვენი საკადრო პოლიტიკა ნიჭიერი ახალგაზრდების დანინაურებაზე აგებული. პერსპექტივის მქონე ფეხბურთელებს მიხედვისთვის გამოწვევაში ვეძებთ. დაცვა ლიგიდან გადმოყვანილ ბავშვებს მეორე წრეში მეტ შანსს მივცემთ.

### პირველი წრის რჩეულები

- მეკარე **გვარამაძე**, მცველები - **გიორგი კვახაძე, აკაკი კუპრეიშვილი, ნიკა გუშარაშვილი** და თავდამსხმელი **ვლადიმერ გორჯაშვილი**. ნამდვილად პირველი წრის აღმოჩენა კი, უდავოდ, **ლევან ყენიაა**. ის ნამდვილი ტალანტია. ნაკრებში ხშირი მონვევების გამო, კლუბში მხოლოდ ოთხი თამაში ჩაატარა, აქედან, ოთხში გუნდის ნამდვილი ლიდერი იყო.

სხვა გუნდებიდან **დავით დიდმაშვილს** გამოვარჩევ. ძალიან დიდი დაიპაზონის, მრავალმხრივი მოთამაშეა. მისი მანერა, სტილი, გადაცემების მეტოქისთვის მოულოდნელობა. სწორედ მისი დამსახურებაა, "ვიტ ჯორჯია" ყველაზე გაბედულ ფეხბურთს რომ თამაშობდა. მეორე, რომ დიდმაშვილის პოტენციალი უფრო ძლიერ პარტნიორებთან გაცილებით უკეთ გამოჩნდება. ამიტომ მეჩვენება, რომ მისი ძალა სრულად ჯერ კიდევ არ ვიცით.

### ფინანსური მდგომარეობა

- მატერიალური ბაზა და სამუშაო პირობები არაა განსაკუთრებული. ესეც კლუბის სტრატეგიიდან გამომდინარეობს, რადგან ამ ეტაპზე, ფინანსების დიდი ნაწილი "ლოკომოტივის" ინფრასტრუქტურისა და მომავლის საფუძვლის შექმნისთვის იხარჯება. შენდება ბაზა, სტადიონი... მოკლედ, თანამედროვე ინფრასტრუქტურა გვექნება.

### ლოკომოტივი და ძოგბი

- გულშემატკივარი რომ არ გვყავს და ჩვენთვის ყველა თამაში გასვლითის ტოლფასია, ეს ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა. მათი ზემოქმედებაც მოთამაშეზე დიდებაა და არ გაგიკვირდეთ, რომ ესაა სათამაშო დისციპლინის მოშლის ერთ-ერთი მიზეზი. მათი არარსებობა გულგრილ თაობებს აყალიბებს. ბოლოს და ბოლოს, ფეხბურთს ხალხისთვის თამაშობენ. ცარიელი ტრიბუნები ფეხბურთელისთვის სასჯელია.

### ჩემპიონატის ახალი ფორმატი

- გაამართლებს თუ არა ახალი სისტემა? ოთხი ლიდერის გამოჩენა უდავოდ დადებითი ტენდენციაა, მაგრამ "კოლხეთის" დაშლა უდიდესი დანაკლისია. ქართულ ფეხბურთს არც მოუგია და არც წაუგია. საქართველოში რეგიონების სისტემაა ასამაღორძინებელი. სახელმწიფოს ნება თუ იქნება, გუბერნატორებმა თითოეულ რეგიონში ერთი ძლიერი გუნდი უნდა ჩამოაყალიბონ - გურიაში, კახეთში, სამეგრელოში, აჭარაში, იმერეთში, ქვემო ქართლში, კახეთში... ფოთი და ქუთაისი ცალკე თემაა... თბილისს ჰყავს "დინამო", "ლოკომოტივი", "ვიტ ჯორჯია", "ამერი", "მერანი". დათვალეთ, რამდენი გუნდი გამოვიდა? დაახლოებით, ჩემპიონატისთვის დღევანდელ მონაწილეთა ოდენობაა. ქართული ფეხბურთის ტრაგედია რაიონებიდან ბავშვების თბილისში სტიქიური ჩამოყვანაა. ფაქტობრივად, დღეს ქართული ფეხბურთი თბილისითაა ნარმოდგენილი. ამიტომაა, რომ ყველა ერთი სტილით თამაშობს და მრავალფეროვნება დაიკარგა, ქართულ ფეხბურთს შემხათი მოაკლდა. ახლა "ყავის ფეხბურთს" ვთამაშობთ. სადაა რაიონებიდან ჩამოსული ფეხბურთელთა ეშხი, ლაზათი და ჟინი?!

### თასის ახალი ფორმატი

- ეს მისასალმებელი და თანამედროვე ფორმატია. მან გამართლა და გუნდებმაც იხეირეს. ასეთი სისტემა მოთამაშეების გარდიშს შეუხუშმს ხელს.

### კოლეგები

- ყველა კოლეგის შრომას ვაფასებ, მაგრამ არიან მენტალიტეტითა და აზროვნებით საუკეთესოები. უპირველესად, **დუშან უგრინსა** და **რევაზ ძოძუაშვილს** გამოვარჩევ. მათი გუნდების თამაშში თანამედროვე ტაქტიკისა და სტრატეგიის ელემენტები დავინახე.

### მსაჯობა

- ეს მარტო საქართველოსთვის არაა აქილევსის ქუსლი. მსაჯები ელიტურ ევროპულ ლიგებშიც ცდებიან, რაც ბუნებრივიცაა და ლოგიკურიც. თუმცა იქაურ პირველობებზე მსაჯები იმდენ შეცდომას ვერ უშვებენ, როგორც ჩვენთან. ქართული ფეხბურთი თითო ბავშვისთვის ხელმძღვანელის სჭირდება და არა არასწორი წაჯიბილი.

### გარიგებულ მატჩებზე

- ამაზე საუბარი ჩემპიონატის დასასრულისთვის გადავდოთ. პასუხისმგებლობა მაშინ უფრო მომზადებული ვიქნები.

| | | | |
|---|---|---|---|
| **I ტური** | | | |
| | ს | ზესტაფონი | 0:2 |
| **II ტური** | | | |
| 06.08 | ს | ბორჯომი | 1:1 |
| გორჯაშვილი | | | |
| **III ტური** | | | |
| 20.08 | შ | მერანი | 3:1 |
| გორჯაშვილი (2), ალავერდაშვილი. | | | |
| **IV ტური** | | | |
| 27.08 | ს | ოლიმპი | 0:1 |
| **V ტური** | | | |
| 09.09 | ს | ვიტ ჯორჯია | 0:3 |
| **VI ტური** | | | |
| 17.09. | ს | სიონი | 1:1 |
| გორჯაშვილი | | | |
| **VII ტური** | | | |
| 23.09 | შ | ბათუმი | 1:0 |
| ყენია | | | |
| **VIII ტური** | | | |
| 14.10 | ს | დინამო | 0:1 |
| **IX ტური** | | | |
| 21.10. | შ | დილა | 3:0 |
| გუშარაშვილი (2), ყენია | | | |
| **X ტური** | | | |
| 29.10. | ს | ამერი | 0:3 |
| **XI ტური** | | | |
| 05.11. | შ | ტორპედო | 0:3 |
| **XII ტური** | | | |
| 18.11 | ს | სიონი | 0:1 |
| **XIII ტური** | | | |
| 26.11. | შ | კახეთი | 1:0 |
| ალავერდაშვილი | | | |

სულ: 13 მატჩი, 4 მოგება, 2 ფრე, 7 ნაგება, ბურთები 10-17, 14 ქულა

მერვა მაჩვენებელი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერი

## დღეს კალაძე ბერლუსკონისთვის ითამაშებს?



კალაძე მალტის აეროპორტში

"მილანი" რომ მალტაზე გადის მოსამზადებელ შეკრებას, ეს ერთ-ერთ წინა ნომერში გაცნობეთ. მოგეხსენებათ, "როსონერის" საქართველოს ნაკრების კაპიტანი **კახა კალაძეც** შეუერთდა. თუმცა დღემდე უცნობი იყო, როდის შეძლებდა თამაშს ქართველი მცველი. გუშინ, "გოლის" მიერ გავრცელებული ცნობა სწორედ ამ საკითხს ეხებოდა.

*"გასული წელი ორი ჩინებული მოგებით დავასრულეთ, - განაცხადა კალაძემ, - 2007 წელს ჩვენი მიზანი ჩემპიონთა ლიგისა და სერია A-ს მოგებაა. საამისოდ, მთელი გუნდი მაქსიმალური მობილიზებით ემზადება. ვიცი, რომ ყველა თავს გადადებს... "ბერლუსკონის თასზე" "იუვენტუსთან" მატჩს ჩვენთვის საკმაო მოტივაცია გააჩნია. თუმცა ისიც ფაქტია, რომ ეს შეხვედრა მოსამზადებელი ეტაპის ერთ-ერთი რიგითი, მაგრამ მნიშვნელოვანი მატჩია და მოსაგებად ვიბრძოლებთ... რაც შეეხება ჩემ გამოჯანმრთელებას, არ მინდა პროცესები დავაჩქარო და ნაადრევად დავბრუნდე მინდორზე. გამოჯანმრთელების პროცესი კარგად მიდის და ძალიანაც მსურს, "იუვენტუსის" წინააღმდეგ ვითამაშო, მაგრამ საბოლოოდ ეს ჯერ კიდევ არაა გადაწყვეტილი. "ბერლუსკონის თასზე" თუ არა, "რეჯინასთან" კალენდარულ შეხვედრაში მაინც შევძლებ თამაშს".*

**დავით ცაბაძე**

ახალი ტრანსფერი

## პირველი ქართველი სირიაში

საქართველოს ნაკრების ყოფილი მცველი **მამუკა წერეთელი** გახდა პირველი ქართველი ლეგიონერი, რომელიც სირიაში ითამაშებს. გუშინ, მას სწორედ სირიაში დავუკავშირდით. ინფორმაცია, რომელიც მისი ახლობლებისგან მივიღეთ, თავად წერეთელმა დაგვიდასტურა: *"დიახ, მართალია. ვთამაშობ სირიის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბ "ალ ქარამაში". ამჟამად, გუნდი მესამე ადგილზეა. შარშან ჩემპიონი იყო, ახლაც პირველი ადგილისთვის ვიბრძვით, მიუხედავად იმისა, რომ ლიდერს სამი ქულით ჩამოვრჩებით. სირიაში ჩემპიონატი აპრილის ბოლოს მთავრდება"* - გვითხრა წერეთელმა.

მამუკას კლუბთან კონტრაქტი ჩემპიონატის ბოლომდე აკავშირებს, მერე რა იქნება, ჯერ არ იცის. რაც შეეხება ადაპტაციას: *"პრობლემა არ მქონია. სირია მშვიდი ქვეყანაა, სადაც თამაში მომწონს. საქართველო, რუსეთი, ლატვია, კვიპროსი, ბელგია, ირანი... რამდენიმე ენა ვიცი. სირიაში ჩამოსვლის წინ ირანში ვთამაშობდი და სპარსული ვისწავლე, არაბულსაც ნელ-ნელა ავითვისებ".*

საუბრის ბოლოს წერეთელმა მადლობა გადაუხადა საფეხბურთო აგენტ **მამუკა ჯუღელს**, რომელიც მას ამ ტრანსფერის განხორციელებაში დაეხმარა. ასევე მადლიერებით მოიხსენია სოხუმის "დინამო" პრეზიდენტი **ზაზა ჟორჟოლიანი**, გასულ წელს გაწეული დახმარებისთვის.

**თენგიზ პაქსორია,**
სპეციალურად ლელოსთვის

ევრო 2008. მეტოქე

## ლიტვა vs მალი, პარიზში...

ევრო 2008-ის შესარჩევ ციკლში ჩვენი ჯგუფის მეტოქე, ლიტვის ნაკრები, 6 თებერვალს პარიზში მალის ეროვნულ გუნდს შეხვდება. რატომ პარიზში? საქმე ის გახლავთ, რომ მალის ნაკრების წევრთა უმრავლესობა საფრანგეთის პირველი დივიზიონის კლუბებში თამაშობს. ბალტიისპირელებთან საფრანგეთის დედაქალაქში გაჯიბრება აფრიკელთა მოსახოვნაა. საგულისხმოა ისიც, რომ აქამდე ლიტველები აფრიკული გუნდებიდანაა მხოლოდ ერთს, ეგვიპტეს დაუპირისპირდნენ, ისიც 1924 წელს და 0:10 დამარცხდნენ.

შეგახსენებთ იმასაც, რომ **ალგიმანტას ლუბინსკასის** გუნდი ევრო 2008-ის შესარჩევ ციკლს 24 მარტს, ფრანგებთან მატჩით განაახლებს. ეს შეხვედრა კაუნასში გაიმართება. **კლაუს ტოპმიოლერის** ნაკრებს ლიტველებთან ორივე მატჩი წელს აქვს ჩასატარებელი: 2 ივნისს ჩვენი გუნდი სტუმრად ითამაშებს, 21 ნოემბერს კი, ციკლის ბოლო მატჩში, მეტოქეს თბილისში შეხვდებიან.

**დავით ცაბაძე**

თარიღები

## ამ დღეს დაიბადნენ...

**1943, 5 იანვარი** - დაიბადა **მურთაზ ხურცილავა** (მარტვილის რაიონის სოფელი ბანძა). მცველი. თამაშობდა გეგეჭკორის "სალხინოში" (1959), თბილისის "დინამოსა" (1961-75) და ქუთაისის "ტორპედოში" (1975-76). სსრკ ნაკრებში ჩაატარა 69 მატჩი (23 კაპიტნად, გაიტანა 6 გოლი). ევროპის ჩემპიონატის (1972) მეორე და ოლიმპიური თამაშების (1972) მესამე პრიზიორი. მსოფლიო ჩემპიონატის (1966, მეოთხე ადგილი) მედალოსანი და ფინალური ეტაპის (1970) მონაწილე. სსრკ უმაღლეს ლიგაში ჩაატარა 293 მატჩი (15 გოლი). სსრკ ჩემპიონატის ხუთგზის (1962, 67, 69, 71, 72) მესამე პრიზიორი და სსრკ-ის თასის ფინალისტი (1970). იყო ზუგდიდის "დინამოს" (1977, 79, 81), სამტრედიის "ლოკომოტივის" (1980), ლანჩხუთის "გურიის" (1981-82, 1990), თბილისის "შევარდენი 1906-ის" (1983, 87, 88, 1992-94, 96), "სამტრედიის" (1991-92, 1994-95), ზუგდიდის "ოდიშის" (1996-97), თბილისის "დინამოს" (1998-99), თბილისის "ლოკომოტივისა" (1999) და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების (1999-2001) მთავარი მწვრთნელი. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენის კავალერი.

**1962, 5 იანვარი** - დაიბადა **გრიგოლ ცაავა**. ნახევარმცველი. ფეხბურთის თამაში დაიწყო 1970 წელს, სოხუმში, გიორგი იოლჩიდისთან. 1979-88 წლებში იცავდა თბილისის "დინამოს" ღირსებას, სხვადასხვა დროს კი სოხუმის "ცხუმის", ლანჩხუთის "გურიისა" და თბილისის "თეთრი არწივის" ფეხბურთელიც გახლდათ. შედიოდა სსრკ ჩემპიონატების "33 საუკეთესოს" შორის. უთამაშია სსრკ იუნიორთა, ჭაბუკთა, ახალგაზრდულ და ოლიმპიურ ნაკრებებში. არის ნოდარ ახალკაცის სახელობის ბავშვთა საფეხბურთო სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი (1997). 2004 წლიდან საქართველოს ფუტსალის ფედერაციის პრეზიდენტია. 2005 წელს იყო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი, ხოლო 2006 წლიდან ამავე ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტია.

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, პროფესიული ფეხბურთის ლიგა და ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი დაბადების დღეს ულოცავენ მურთაზ ხურცილავასა და გრიგოლ ცაავას.**

### სიტუაცია ქართულ კლუბებში

| გუნდი | მიდიან | მოდიან | მოსამზადებელი ეტაპი |
|---|---|---|---|
| ოლიმპი | **კიკნაძე, ზამთარაძე** (მწვრთნელები) **რ. ონიანი (ზესტაფონი), ხოჯავა, ნაჭყეპია,** სირბილაძე (ტორპედო), ხოხონიშვილი, მიმინოშვილი, მიქიაშვილი, გ. თოდუა (?), ვ. კვარაცხელია (?) **ქებაძე, სეთურიძე, კახელიშვილი, აფციაური, გ. ონიანი** (სიონი, დსთ-ის თასისთვის) | **რ. ძოძუაშვილი (მწვრთნელი, ტორპედო) ვ. კილასონია (მწვრთნელი)** მერლანი (ვეტრა, ლიტვა), რ. გოცირიძე (კამაზ, რუსეთი), **არზიანი (რუბინი),** სილაგაძე (მეტალურგი ზ.) | თბილისი, თურქეთი |
| ვიტ ჯორჯია | **დილმელაშვილი (დინამო),** კობიაშვილი (ბორჯომი) | | თბილისი, ანტალია (თურქეთი) |
| ამერი | **ჩანგელია (უკრაინა)** ნიკოლაიშვილი, სილაგავა (?) | **მესხი (ჩიხურა), დიდავა (კონტრ. გააგრძელა)** ბაბუნაშვილი (დინამო) | ორი შეკრება ანტალიაში, იანვარი, თებერვალი |
| ზესტაფონი | **იმედაძე** (?) | **რ. ონიანი (ოლიმპი)** | თბილისი, ბაკურიანი + კვიპროსი, ანტალია ან საემიროები |
| დინამო | **ბობოხიძე, ახალაია, ბაბუნაშვილი, გრიგალაშვილი, მახარაძე** (?) | **დილმელაშვილი (ვიტ ჯორჯია)** ზელიჩი (ავსტრალია, თავისუფალი აგენტი) | ბაკურიანი, ანტალია |
| ტორპედო | **ძოძუაშვილი** (მწვრთნელი, ოლიმპი), გამეზარდაშვილი (სკონტო ლატვია) მ. ღონღაძე (ლოკომოტივი) | **კიკნაძე, ზამთარაძე (მწვრთნელები),** სირბილაძე (ოლიმპი) | — |
| სიონი | **სიჭინავა, შავგულიძე ბათიაშვილი** (ჩიხურა) ქიჭვეიშვილი (?) | ქებაძე, სეთურიძე, კახელიშვილი, აფციაური, გ. ონიანი (ოლიმპი, დსთ-ის თასისთვის), **მამალაძე (ჩიხურა).** | დსთ-ის თასი, იანვარი |
| ლოკომოტივი | ყენია (ლევანტე, ესპანეთი), ყიფიანი, მხეიძე, ებანოიძე, ცხომარია მენაბდე, მიხაილიდი(?). | სოსელია, წუწუნავა (კახეთი). მ. ღონღაძე (ტორპედო) | ლაგოდეხი + ბორჯომი ან უცხოეთი |
| ბორჯომი | **ნკემი, მონგუე** | კობიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 10 იანვრიდან ბორჯომი, შესაძლებელია უცხოეთიც |
| მერანი | ბესარაშვილი (ბათუმი) | აკობია (მწვრთნელი, დინამო 2), სტურუა, ქემოკლიძე, ბაბუნაშვილი, (დინამო) | ორი შეკრება |
| ჩიხურა | **მესხი (ამერი), გ. მანწკავა (ირანი), მამალაძე (სიონი)** | ბობოხიძე, ახალაია, ბაბუნაშვილი, გრიგალაშვილი, მახარაძე, სტურუა (დინამო), კოშკაძე (ბათუმი), ბათიაშვილი (სიონი) | შეკრება 8 იანვრიდან დაგეგმილია შეკრება უცხოეთში |
| ბათუმი | **ა. მუჯირი (ბაქი)** კოშკაძე, ლობჟანიძე, აფშილავა (ვიტ ჯორჯიაა), ნაჭყებია | **ჩარგეიშვილი, კერესელიძე, ბარამიძე (დინამო 2),** ბესარაშვილი (მერანი), შალამბერიძე (მეშაქრე) | შეკრება ბათუმში |
| დილა | **ბეგიაშვილი (პრეზიდენტი), მამესწარაშვილი (მწვრთნელი)** | **ლურსმანაშვილი (პრეზიდენტი), ვარდოსანიძე, ელიაური (მწვრთნელები)** | შეკრება გორში |
| კახეთი | სოსელია, წუწუნავა (ლოკომოტივი), იაშვილი (?), კეცლიშვილი (მერანი), | **კუპრაშვილი (გურჯაანი)** | თელავი, შესაძლებელია ბაკურიანიც |


CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge


ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XVII ტურის წინ

# რონალდინიო და დეკუ დაისჯებიან

**დღეს**

ატლეტიკო-ხიმნასტიკი
სოსიედადი-ოსასუნა
სარაგოსა-სევილია

**ხვალ**

ხეტაფე-ბარსელონა
ბეტისი-სელტა
ლევანტე-რასინგი
მალიორკა-ბილბაო
ესპანიოლი-რეკრეატივო
დეპორტივო-რეალი
ვილიარეალი-ვალენსია

საშობაო არდადეგების შემდეგ პრიმერა დივიზიონში მორიგი ტურის მატჩები გაიმართება. ყველაზე დიდ ინტერესს, როგორც ყოველთვის, ლიდერთა ორთაბრძოლები იწვევს. "სევილია" სარაგოსაში ჩავა და სამი ქულის მოპოვებას შეეცდება. **ხუანდე რამოსს** საკადრო პრობლემები არ ემუქრება. მისი შეგირდები ტრავმებს არ უჩივიან. სენიორ რამოსი თავმდაბლობას იჩენს და შანსებს თანაბრად აფასებს. ასევე ფიქრობს **ვიქტორ ფერნანდესიც**. მისი თქმით, გამარჯვება ორივე გუნდს შეუძლია. მასპინძლებს, შესაძლოა, **პაბლო აიმარი** ვერ დაეხმაროს. არგენტინელ ნახევარმცველს ტერფი სტკივა. ექიმები აცხადებენ, რომ პაბლიტოს მდგომარეობა თამაშის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე გაირკვევა.

2006 წლის ბოლო მატჩში "რეალმა" კრახი განიცადა. "რეკრეატივოსთან" წაგებით (0:3) სამეფო კლუბის ვარსკვლავებმა გულშემატკივრებს შობა ჩააშხამეს. რეაბილიტაციის შანსი მათ მხოლოდ ახლა მიეცათ, რადგან საშობაო არდადეგებზე შურს ვერავიზე იძიებდნენ. ლა კორუნიაში გამგზავრებამდე **ფაბიო კაპელოს** უსიამოვნო ამბავი ამცნეს. **რობერტო კარლოსმა** ვარჯიშზე ტრავმა მიიღო. ფიზიოთერაპევტი **დანიელ პირი** პროგნოზის გაკეთებას ერიდება. მართალია, კარლოსი გუნდს გალისიაში გაჰყვა, მაგრამ სავარაუდოა, რომ ის მოედანზე გასვლას ვერ შეძლებს. მოვლენათა ამგვარი სცენარით განვითარების შემთხვევაში იოლი შესაძლებელია, კაპელომ მარცხენა ფლანგი ამასწინათ გადაბირებულ **მარსელოს** ჩააბაროს. ბრაზილიელი სულ რაღაც 18 წლისაა და დიდი გამოცდილებითაც ვერ დაიკვეხნის, მაგრამ სინიორ ფაბიოს სჯერა, რომ მისი ყმაწვილი შეგირდი თავს არ შეირცხვენს.

სეზონის განახლების წინ "ბარსელონამ" "კამპ ნოუს" გვერდით მდებარე "მინი ესტადიზე" ივარჯიშა და გულშემატკივრებს კარი ფართოდ გაუღო. სტადიონზე 12 ათასმა ინჩასმა მოიყარა თავი. ვარსკვლავების გამოჩენას დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. ფანები ავტოგრაფების მოპოვების იმედით მოედნისკენ დაიძრნენ. წესრიგის დამყარებას საკმაო დრო დასჭირდა და **ფრანკ რიიკაარდმა** ვარჯიში ნახევარი საათით გვიან დაიწყო. "ბარსას" ქომაგებისთვის ერთადერთი გულდასაწყვეტი ფაქტი ის იყო, რომ **რონალდინიო** და **დეკუ** ვერ იხილეს. ისინი საშობაო შვებულებიდან გათვალისწინებულზე გვიან დაბრუნდნენ, ამიტომ ცალკე ვარჯიში მოუხდათ. გამორიცხული არ არის, კლუბის ხელმძღვანელობამ, თანასწორობის პრინციპებიდან გამომდინარე, საუკეთესო ვარსკვლავების დასჯა გადაწყვიტოს. "ხეტაფესთან" მატჩში კი, ალბათ, დეკუ და რონალდინიო ჩვეულებისამებრ ძირითად შემადგენლობაში იასპარეზებენ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სევილია | 16 | 12 | 1 | 3 | 35-15 | 37 |
| 2. ბარსელონა | 15 | 10 | 4 | 1 | 34-12 | 34 |
| 3. რეალი | 16 | 10 | 2 | 4 | 26-14 | 32 |
| 4. ატლეტიკო | 16 | 8 | 4 | 4 | 21-12 | 28 |
| 5. სარაგოსა | 16 | 8 | 3 | 5 | 28-18 | 27 |
| 6. ვალენსია | 16 | 8 | 3 | 5 | 23-15 | 27 |
| 7. რეკრეატივო | 16 | 8 | 1 | 7 | 26-24 | 25 |
| 8. ოსასუნა | 16 | 7 | 2 | 7 | 21-20 | 23 |
| 9. ხეტაფე | 16 | 6 | 4 | 6 | 11-11 | 22 |
| 10. ესპანიოლი | 16 | 5 | 7 | 4 | 15-16 | 22 |
| 11. ვილიარეალი | 16 | 6 | 4 | 6 | 17-23 | 22 |
| 12. სელტა | 16 | 5 | 6 | 5 | 20-21 | 21 |
| 13. რასინგი | 16 | 5 | 6 | 5 | 16-20 | 21 |
| 14. მალიორკა | 16 | 4 | 5 | 7 | 13-22 | 17 |
| 15. დეპორტივო | 16 | 4 | 5 | 7 | 11-23 | 17 |
| 16. ბილბაო | 16 | 3 | 6 | 7 | 18-26 | 15 |
| 17. ლევანტე | 16 | 3 | 6 | 7 | 14-23 | 15 |
| 18. ბეტისი | 15 | 3 | 4 | 8 | 15-19 | 13 |
| 19. სოსიედადი | 16 | 1 | 7 | 8 | 10-22 | 10 |
| 20. ხიმნასტიკი | 16 | 2 | 2 | 12 | 15-33 | 8 |

ტრანსფერი

# როსტმა შალკეს ხელი დაუქნია

## გუსტავოს კი შალკეში გადასვლა აღარ უნდა...

"შალკეს" ფეხბურთელები სულ მალე ვარჯიშს განაახლებენ და მეორე წრისთვის მზადებას შეუდგებიან. როგორც იცით, **ლევან კობიაშვილის** გუნდის ხელმძღვანელებმა დეკემბერში 24 წლის ბრაზილიელ მცველ **გუსტავოს** კონტრაქტი გაუფორმეს, რომლის თანახმადაც, ხსენებული ფეხბურთელი იანვრიდან გელზენკირხენული გუნდის ღირსებას დაიცავდა. ზუსტად ისე, როგორც ბრაზილიელ ფეხბურთელებს სჩვევიათ, გუსტავო გელზენკირხენში დათქმულ დროს არ ჩავიდა. 24 წლის ტანმაღალ მცველს "აუფ შალკეზე" ხუთშაბათს ელოდნენ, მაგრამ გუსტავო არ გამოჩნდა. სამაგიეროდ, ბაზაზე მივიდა ფაქსი, რომლითაც ბრაზილიელი ფეხბურთელი "შალკეს" ბოსებს ატყობინებს, ოჯახური პრობლემების გამო, სამშობლოში ვრჩები და სიმართლე გითხრათ, "შალკეში" თამაში აღარ მინდაო. არადა, გუსტავომ უკვე მოაწერა ხელი კონტრაქტს, რომლითაც მან თავისი ბედი კობის გუნდს დაუკავშირა. შესაბამისად, ის სწორედ S04-ის საკუთრებაა.

*"გასაოცარი ამბავია, რადგან კონტრაქტის გაფორმების შემდეგ ამბობდა, ბედნიერი ვარ, "შალკეში" რომ გადმოვდივარო. ფეხბურთელებიც გაიცნო და მათთან ერთად ივახშმა კიდეც. ვიცი, რომ მისი გადაბირება "პალმეირასსაც" უნდა. მაგრამ გუსტავოს სხვა გუნდში თამაშის უფლება არა აქვს, რადგან ჩვენ გვეკუთვნის და ხელშეკრულება 2009 წლამდე აქვს გაფორმებული. თუ*




ფრანკ როსტი

*მისი ყიდვა ვინმეს მოუნდება, ფული უნდა გადაგვიხადოს. მოვლენების განვითარებას დაველოდებით და მომავალი გვიჩვენებს, როგორ მოვიქცეთ. თუ არ უნდა, ფაქტია, რომ ვერც დავაძალებთ, მაგრამ ის ჩვენი საკუთრებაა,"* - აცხადებს "შალკეს" მენეჯერი **ანდრეას მიულერი**. შეგახსენებთ, რომ "შალკეს" გუსტავოს სანაცვლოდ ერთი ცენტიც არ გადაუხდია, რადგან მას ექს-კლუბ "პარანასთან" კონტრაქტი ამოეწურა.

ამასობაში **ფრანკ როსტი** კობიაშვილსა და სხვა თანაგუნდელებს გამოემშვიდობა, რის შემდეგაც დუბაისკენ აიღო გეზი, სადაც თავის ახალ გუნდს, "ჰამბურგს" შეუერთდება. გუშინ ტრანსფერის უკანასკნელი დეტალები გაირკვა და 33 წლის გოლკიპერმა HSV-სთან კონტრაქტი გააფორმა. ამრიგად, როსტმა გელზენკირხენულ კლუბში ოთხწელნახევარი დაჰყო და "ხუმარების" მაისურა სულ 129 შეხვედრაში მოირგო. მას შემდეგ, რაც "შალკეს" მწვრთნელმა **მირკო სლომკამ** როსტი სათადარიგო სკამზე დასვა, ფრანკმა გუნდიდან წასვლა გადაწყვიტა და მოძებნა კიდეც კლუბი, სადაც არ აითვალწუნებენ. "ჰამბურგს" მისნაირი გამოცდილი მეკარე მართლაც ძალიან სჭირდებოდა. *"შალკეში" 4 არაჩვეულებრივი წელი გავატარე, მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული. 33 წლის ვარ და სკამზე ჯდომას ვერ შევეგუებოდი, საქმეს კი ისეთი პირი უჩანდა, რომ სლომკას ხელში თამაში აღარასოდეს მომიწევდა. მირკოს კი, გელზენკირხენიდან კიდევ დიდხანს არ გაათავისუფლებენ. ამიერიდან ჩემი გული "ჰამბურგისთვის" ძგერს,"* - განუცხადა როსტმა "კიკერს" დუბაიში გაფრენამდე.

მოსალოდნელი ტრანსფერი

# სევილია მეტცელდერისთვის იბრძოლებს

პრიმერა დივიზიონის ლიდერი "სევილია" შემადგენლობის გაძლიერებას აპირებს. "დიარიო ასის" ცნობით, ანდალუსიელებმა **კრისტოფ მეცელდერს** დაადგეს თვალი. 26 წლის მცველს დორტმუნდის "ბორუსიასთან" კონტრაქტი 2007 წლის 30 ივნისს ეწურება. "სევილიის" პრეზიდენტს, **ხოსე მანუელ დელ ნიდოს** იმედი აქვს, რომ ზაფხულში გერმანელს უფასოდ ჩაიგდებს ხელში. აქილევსის მყესის ტრავმის გამო, კრისტოფს დიდი დრო გაუცდა, თუმცა ესპანელებს ეს სულაც არ აშინებთ. მოსალოდნელია, რომ სენიორ დელ ნიდო ფეხბურთელის მენეჯერს პირადად შეხვდება და ყველა დეტალზე მოელაპარაკება.

ამასობაში, სევილიელებმა **ტომაშ უიფალუშის** შეძენაზე კიდევ ერთხელ ჩამოაგდეს სიტყვა. გამოცდილი ჩეხი მცველი "ფიორენტინაში" არცთუ კომფორტულად გრძნობს თავს. პირენეელები იტალიელ კოლეგებთან ჯერ კიდევ დეკემბრის დასაწყისში ვაჭრობდნენ, მაგრამ მაშინ საერთო ენა ვერ გამონახეს. დელ ნიდო მზად არის, სატრანსფერო თანხა რამდენიმე მილიონი ევროთი გაზარდოს.

რეალი

# რიბერი მოდის?

## ფეხბურთელის ფანტაზია თუ გასაიდუმლოებული მოლაპარაკება

მარსელის "ოლიმპიკის" შემტევმა ნახევარმცველმა, **ფრანკ რიბერიმ** სახელდახელო პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მის გადაბირებას მადრიდის "რეალი" და "არსენალი" ცდილობენ: *"სრული პასუხისმგებლობით შემიძლია მოგახსენოთ, რომ რამდენიმე დღის წინათ მადრიდიდან და ლონდონიდან შემეხმიანნენ. სიმართლე გითხრათ, ფრიად კმაყოფილი გახლავართ. სასიამოვნოა, როცა ინტერესს ამდენად დიდი კლუბები გამოთქვამენ. ამასთან, პრიმერა დივიზიონი და პრემიერლიგა ძალიან მომწონს. ერთი სიტყვით, "რეალისა" და "არსენალის" შემოთავაზებას დიდი ინტერესით გავეცნობი, ყველაფერს ავწონ-დავწონი და გადაწყვეტილებას მივიღებ. თუმცა ერთი რამ დაზუსტებით შემიძლია მოგახსენოთ, "მარსელს" მიმდინარე სეზონის დასრულებამდე არ დავტოვებ."*

ჟურნალისტებმა რიბერის შეახსენეს, რომ ფრანგულ კლუბთან კონტრაქტი მას 2010 წლამდე აკავშირებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ "ოლიმპიკი" წამყვან ფეხბურთელს იაფად და იოლად არ დათმობს. ფრანკს სჯერა, მოლაპარაკებებით ყველა პრობლემატური საკითხის გადაჭრა შეიძლება: *"ნურავინ იფიქრებს, რომ ესპანური და ინგლისური გრანდების შემოთავაზება თავ-გზას ამიბნევს. მერწმუნეთ, "მარსელს" ყურადღებას არ მოვაკლებ, ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ გუნდს ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაში დავეხმარო. დარწმუნებული ვარ, ხელმძღვანელობა ჩემს გაშვებას შეეწინააღმდეგება, მაგრამ ფეხბურთს უფრო ხმაურიანი ტრანსფერებიც ახსოვს. უკვე 23 წლის ვარ და ალბათ, დროა ძალები სხვაგანაც მოვსინჯო."*

ფრანგული მედიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას ესპანეთში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. "დიარიო მარკამ" სიტუაციაში გასარკვევად "რეალის" ოფისში კორესპონდენტი მიავლინა. რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, სამეფო კლუბის მესვეურებმა ცნობა არ დაადასტურეს, არადა, რიბერის განცხადება ფანტაზიის ნაყოფი ნამდვილად არ გახლავთ. მისი პრესკონფერენცია უამრავი ტელევიზიის კამერამ დააფიქსირა. მიუხედავად ამისა, **პრედრაგ მიატოვიჩი** ჯიუტად ამბობს, რომ მადრიდული გრანდი ფრანგი ნახევარმცველით დაინტერესებული არ არის.

საზოგადოებას რიბერის საკითხზე მეტად **დევიდ ბექჰემის** მომავალი აინტერესებს. გუშინ გამცნეთ, ინგლისელი ვარსკვლავის მენეჯერმა ბექზის "სანტიაგო ბერნაბეუზე" დარჩენის შესახებ ისაუბრა. ახლა კი თავად დევიდიც ალაპარაკდა. აი, რა განაცხადა მან: *"კონტრაქტის გახანგრძლივებაზე ჯერ კიდევ გასულ სეზონში ვმსჯელობდით, მაგრამ შემდეგ პრეზიდენტი და მთავარი მწვრთნელი შეიცვალნენ. ჩვენს გუნდში ზოგადად ძალიან ბევრი ცვლილება განხორციელდა. გასაკეთებელიც მრავლად იყო, ამიტომ აქამდე სერიოზული საუბრისთვის ვერ მოვიცალეთ. ჭორების მოყვარულებმა კი დრო იხელთეს და ათასგვარი ხმა გაავრცელეს. ვისაც არ ეზარებოდა, ყველა ჩემს ნაცვლად საუბრობდა და გულშემატკივრებს არწმუნებდა, რომ "რეალიდან" გაქცევა მსურს. იძულებული ვარ, კიდევ ერთხელ დავძინო, რომ წასვლა არ მინდა. ესპანეთში ტიტულების მოსაპოვებლად ჩამოვედი. სამწუხაროდ, დასახულ მიზანს, ჯერჯერობით, ვერ მივაღწიე. ვერც პრიმერა დივიზიონში გავიმარჯვე და ვერც ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავედი. უდავოა, რომ სამეფო კლუბმა რომელიმე ფრონტზე უნდა იმარჯვოს. არანაირად არ მსურს ამ დიდ ფიესტას დავაკლდე. მოკლედ, უახლოეს მომავალში ხელმძღვანელობას შევხვდები და საჭირბოროტო დეტალებზე მოვილაპარაკებთ."*

ბექჰემის გულახდილმა განცხადებამ **რამონ კალდერონი** ძალიან გაახარა. პრეზიდენტი **კაპელოს** შეხვდა და მისგან შეიტყო, რომ ინგლისელი ვარსკვლავი გუნდს კვლავაც სჭირდება. ამის შემდეგ საქმეში უკვე პრედრაგ მიატოვიჩი ჩაერთო და საზოგადოებას პირობა მისცა, რომ ბექჰემთან მოლაპარაკებებს პირადად უხელმძღვანელებს. სამეფო კლუბის დირექტორატი მზადაა, ფეხბურთელის მოთხოვნები დააკმაყოფილოს...

ამასობაში, გენერალურმა დირექტორმა "სარაგოსასთანაც" დაიჭირა საქმე. გუშინ მიატოვიჩი არაგონელ კოლეგას, **მიგელ პარდესას** შეხვდა. მხარეებმა **რუბენ დე ლა რედის** ტრანსფერზე იმსჯელეს. "სარაგოსას" ახალგაზრდა ნახევარმცველთან ოთხწლიანი კონტრაქტის გაფორმება სურს და საკომპენსაციო თანხად 1.2 მილიონ ევროს იმეტებს. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ "რეალისთვის" ეს ძალიან ცოტაა. მიატოვიჩმა ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე განაცხადა, რუბენს მხოლოდ 5 მილიონის სანაცვლოდ შეველევითო. "რეალის" თავგადაკლული ფანების გარდა, დე ლა რედის შესახებ საზოგადოებას ალბათ ბევრი არაფერი მოეხსენება. გეცოდინებათ, რომ ის "კასტილიის" ერთ-ერთი ლიდერია, საკადრო პრობლემების დროს კი ძირითად გუნდში ასპარეზობს ხოლმე. "რეალში" მისი დებიუტი 2004 წელს შედგა. მას შემდეგ 9 ოფიციალურ და 14 ამხანაგურ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. მთლიანობაში, რუბენმა მოედანზე 723 წუთი დაჰყო და 3 გოლი გაიტანა.

"სარაგოსამ" კიდევ ერთი თემა წამოატივტივა. შეგახსენებთ, რომ მიმდინარე სეზონის დაწყების წინ არაგონელებმა დედაქალაქური გიგანტიდან **კარლოს დიოგო** საიჯარო ხელშეკრულებით წაიყვანეს. მიგელ პარდესას ძალიან უნდა ურუგვაელი მცველი გამოისყიდოს და ამისთვის მიატოვიჩს 3 მილიონ ევროს სთავაზობს. პედიას ეს თანხაც ეცოტავება და კიდევ 3 მილიონის დამატებას ითხოვს. დაბოლოს, იმასაც გეტყვით, რომ არაგონელებს კიდევ ერთი მადრიდელის აყვანა განუზრახავთ. საქმე ახალგაზრდა მეკარე **დიეგო ლოპესს** ეხება. დედაქალაქელები მზად არიან, სამივე მოთამაშეს შეელიონ, თუმცა საამისოდ "სარაგოსას" გათვალისწინებულზე მეტი ფულის დახარჯვა მოუწევს.



ფრანკ რიბერი

გერმანული ტრანსფერები

# ჰამბურგმა კარუს დაუმიზნა

## ბუნდესლიგის უკვე განხორციელებული და მოსალოდნელი ტრანსფერები

იანვარი ტრანსფერების თვეა, მაგრამ გერმანული კლუბები ბაზარზე დიდად არ აქტიურობენ. ჯერჯერობით, მხოლოდ რამდენიმე ტრანსფერი განხორციელდა და ბევრ გარიგებას ალბათ არც უნდა ველოდოთ. საინტერესოა ის, რომ მიმდინარე სეზონის ბოლოს ბუნდესლიგაში 120 ფეხბურთელს უმთავრდება კონტრაქტი. მათ შორის რამდენიმე გამორჩეული მოთამაშეა.

მაგალითად, გაურკვეველია გერმანიის ნაკრებისა და დორტმუნდის "ბორუსიის" მცველის, **კრისტოფ მეტცელდერის** მომავალი, რომელსაც BVB-სთან ხელშეკრულების ვადა ეწურება. ვესტფალიური გუნდის შეფებს მეტცესთვის ახალი კონტრაქტის გაფორმება სურთ, მაგრამ ხელფასის მომატებას ვერ ჰპირდებიან, რადგან გუნდს ფინანსურად ისედაც უჭირს. ჯერჯერობით, მეტცელდერს ბევრი მთხოვნელი არ ჰყავს, რადგან პირველ წრეში მეტწილად ტრავმირებული იყო და მოედანზე მხოლოდ 133 წუთი გაატარა. 26 წლის ცენტრალური მცველი დორტმუნდიდან აბარგებას არ გამორიცხავს, თუმცა იქვე ამატებს, რომ "ბორუსიას" მხოლოდ იმ შემთხვევაში დატოვებს, თუ სერიოზული მთხოვნელი გამოუჩნდება. აღსანიშნავია, რომ მეტცესთან ერთად, სეზონის ბოლოს კონტრაქტი გამოცდილ **კრისტიან ვიორნსსაც** უმთავრდება.

*"ორივე მათგანის შენარჩუნება გვინდა. კრისტოფსა და კრისტიანს ამ დღეებში დაველაპარაკები, მაგრამ არ ვარ დარწმუნებული, რომ კონტრაქტის გაგრძელებას მოისურვებენ,"* - აცხადებს BVB-ს მენეჯერი **ჰანს-იოახიმ ვატცკე**. იმ შემთხვევაში, თუ "დორტმუნდი" ორივე მცველს დაკარგავს, ვესტფალიელები "არმინიის" ნიჭიერ უკანახაზელ **ჰაიკო ვეშტერმანს** იყიდიან.

"ჰამბურგი"-თავდამსხმელის ძებნას აგრძელებს. გუნდის მთავარ მწვრთნელ **თომას დოლს** "ლიონის" ფორვარდი **ჯონ კარუ** მოსწონს. ამ უკანასკნელმა ფრანგულ გრანდში ფეხი ვერ მოიკიდა და ბოლო ინფორმაციით, "ლიონის" ბოსებს მისი გაყიდვა აქვთ გადაწყვეტილი. შესაბამისად, HSV-ს კარუს გადაბირების ძალიან კარგი შანსი აქვს. შეგახსენებთ, ზაფხულში ნაყიდმა ფორვარდებმა, **პაულო გერერომ, დანიელ ლიუბოჯამ** და **ბოუბაკარ სანოგომ** იმედები ვერ გაამართლეს.

"ბაიერნის" ბოსებმა უახლოეს მომავალში **ანდრეას გიორლიტცზე, ჰასან სალიჰამიჯიჩსა** და **კლაუდიო პისაროზე** უნდა იფიქრონ. სეზონის ბოლოს სამივე მათგანს კონტრაქტი უმთავრდება. უკვე გადაწყვეტილია, რომ ბავარიელები ირანელ **ალი ქარიმის** ახალ ხელშეკრულებას არ გაუფორმებენ. "ვერდერში" კონტრაქტები **უგო ალმეიდასა** და **ივან კლასნიჩს** უმთავრდებათ, "შალკეში" **ჰამით ალთინთოფს**, "შტუტგარტში" **ტიმო ჰილდებრანდსა** და **თომას ჰიტცლშპერგერს**, "ჰერტაში" **ილდირაი ბაშთურქს**, "ლევერკუზენში" **როკე ჟუნიორსა** და **ანდრეი ვორონინს**, "ჰამბურგში" კი **მეჰდი მაჰდავიკიასა** და **დანიელ ლიუბოჯას**. თუმცა, ამ ფეხბურთელების მომავლის გარკვევა მომდევნო თვეებშიც შეიძლება, მანამდე კი თვალი გადაავლეთ გერმანული ბაზრის დღევანდელ მდგომარეობას:

### ვერდერი

**მოდიან:** არავინ

**მიდიან:** ლეონ ანდრეასენი (მაინცი, არენდა)

**სავარაუდო მოსვლა:** პეტერ ნიმაიერი (ტვენტე, 1 მლნ)

**სავარაუდო წასვლა:** მოჰამედ ზიდანი (მაინცი ან ვოლფსბურგი, არენდა), მიროსლავ კლოზე (იუვენტუსი)

### შალკე

**მოდიან:** გუსტავო (პარანა)

**მიდიან:** ფრანკ როსტი (ჰამბურგი, 800 000), ალექსანდერ ბაუმიოჰანი (გლადბახი)

**სავარაუდო მოსვლა:** გუნდს სათადარიგო მეკარე სჭირდება

**სავარაუდო წასვლა:** მათიას აბელი (?), ტიმ ჰოოგლანდი (?)

### ჰამბურგი

**მოდიან:** ფრანკ როსტი (შალკე, 800 000).

**მიდიან:** არავინ

**სავარაუდო მოსვლა:** იოანის ამანატიდისი (აინტრახტი), ჯონ კარუ (ლიონი).

**სავარაუდო წასვლა:** ბენიამინ ლაუთი (მსურველის გამოჩენის შემთხვევაში უფასოდ გაუშვებენ).

### ბაიერნი

**მოდიან:** მატს ჰუმელსი (მოყვარულები), იან შლაუდრაფი (ალემანია, ზაფხულიდან)

**მიდიან:** ხულიო დოს სანტოსი (ვოლფსბურგი, არენდა)

**სავარაუდო მოსვლა:** გუნდს მაღალი კლასის შემტევი ნახევარმცველის ყიდვა უნდა, თუკი გუნდის ბოსები ასეთს იპოვიან

**სავარაუდო წასვლა:** ოუენ ჰარგრივსი (მანჩესტერ იუნაიტედი), როკე სანტა კრუსი (გლადბახი, არენდა)

### შტუტგარტი

**მოდიან:** არავინ

**მიდიან:** სილვიო მაისნერი (კაიზერსლაუტერნი, არენდა)

**სავარაუდო მოსვლა:** რაფაელ შეფერი (ნიურნბერგი), ალექს მაიერი (აინტრახტი). თუ ტომასონი წავა, გუნდს თავდამსხმელი დასჭირდება

**სავარაუდო წასვლა:** იონ დალ ტომასონი (ტორინო ან პალერმო), ლუდოვიკ მანინი (?)

### ჰერტა

**მოდიან:** არავინ

**მიდიან:** არავინ

**სავარაუდო მოსვლა:** ზვიეზდან მიშიმოვიჩი (ბოხუმი). მთავარ მწვრთნელ ფალკო გიოტცს საყრდენი ნახევარმცველისა და თავდამსხმელის შეძენა უნდა.

**სავარაუდო წასვლა:** ილდირაი ბაშთურქი (ტოტენჰემი), ანდრეას ნოიენდორფი (მაინცი), ელერი კაირო (?), კრისტოფერ სამბა (?), სოლომონ ოკორონკვო (?), სრდიან ლაკიჩი (?).

### ლევერკუზენი

**მოდიან:** არავინ

**მიდიან:** ტადიჩი (დინამო ზაგრები)

**სავარაუდო მოსვლა:** არავინ

**სავარაუდო წასვლა:** ანდრეი ვორონინი (სელტიკი), მიხალ პაპადოპულოსი (?).

### ნიურნბერგი

**მოდიან:** მეთიუ სპირანოვიჩი (მოყვარულები), პეტარ იელიჩი (კარლ ცაისი, განათხოვრებული იყო), ლარს იაკობსენი (კოპენჰაგენი, ზაფხულიდან).

**მიდიან:** არავინ

**სავარაუდო მოსვლა:** არავინ

**სავარაუდო წასვლა:** რაფაელ შეფერი (შტუტგარტი)

### არმინია

**მოდიან:** არავინ

**მიდიან:** არავინ

**სავარაუდო მოსვლა:** მეთიუ ამოა (დორტმუნდი, არენდა)

**სავარაუდო წასვლა:** ჰაიკო ვეშტერმანი (დორტმუნდი)

### ბორუსია (დ)

**მოდიან:** არავინ

**მიდიან:** არავინ

**სავარაუდო მოსვლა:** ჰაიკო ვეშტერმანი (არმინია)

**სავარაუდო წასვლა:** მეთიუ ამოა (არმინია, არენდა), კრისტოფ მეტცელდერი (სევილია), კრისტიან ვიორნსი (?), ები სმოლიარეკი (მანჩესტერ სიტი)

### აინტრახტი

**მოდიან:** მარსელ ჰელერი (ზიგენი)

**მიდიან:** დანიელ კიმენი (ბრაუნშვაიგი, არენდა), ალექსანდერ ჰუბერი (ბრაუნშვაიგი), დომინიკ შტრო-ენგელი (ვეენი).

**სავარაუდო მოსვლა:** არავინ

**სავარაუდო წასვლა:** ალექს მაიერი (შტუტგარტი)

### ჰანოვერი

**მოდიან:** არავინ

**მიდიან:** არავინ

**სავარაუდო მოსვლა:** გუნდს საყრდენი ნახევარმცველი სჭირდება.

**სავარაუდო წასვლა:** იონას ტროსტი (?)

### ვოლფსბურგი

**მოდიან:** ხულიო დოს სანტოსი (ბაიერნი, არენდა), კამანი ჰილი (ბრუინსი, უფასოდ).

**მიდიან:** არავინ

**სავარაუდო მოსვლა:** შემტევი ნახევარმცველი

**სავარაუდო წასვლა:** რიკ ჰოოგენდორპი (?), კარსტენ ფიშერი (?).

### ალემანია

**მოდიან:** არავინ

**მიდიან:** იან შლაუდრაფი (ბაიერნი, ზაფხულიდან)

**სავარაუდო მოსვლა:** მათიას აბელი (შალკე, არენდა), მიკელ თიგესენი (მიდტიულანდი). გუნდს შლაუდრაფის შემცვლელი სჭირდება.

**სავარაუდო წასვლა:** არავინ

### ბოხუმი

**მოდიან:** ჯოელ ეპალე (ირაკლისი)

**მიდიან:** ბენიამინ აუერი (კაიზერსლაუტერნი, არენდა), თომას რათგებერი (უნტერჰახინგი, არენდა).

**სავარაუდო მოსვლა:** თავდამსხმელი ან მცველი.

**სავარაუდო წასვლა:** არავინ

### კოტბუსი

**მოდიან:** არავინ

**მიდიან:** არავინ

**სავარაუდო მოსვლა:** მარცხენა მცველი და შემტევი ნახევარმცველი.

**სავარაუდო წასვლა:** ლარს იუნგნიკელი (დრეზდენი, არენდა).

### ბორუსია (მ)

**მოდიან:** სტივ გოჰური (იანგ ბოიზი, 1.5 მილიონი), ალექსანდერ ბაუმიოჰანი (შალკე).

**მიდიან:** არავინ

**სავარაუდო მოსვლა:** არისტიდ ბანკე (დონეცკის მეტალურგი), კეპა ბლანკო გონსალესი (სევილია).

**სავარაუდო წასვლა:** ვაცლავ სვერკოში (?)

### მაინცი

**მოდიან:** ლეონ ანდრეასენი (ვერდერი, არენდა), მარიუს ნიკულაე (სტანდარდი, უფასოდ).

**მიდიან:** კრისტოფ ბაბატცი (კობლენცი, 50 000), ტობიას დამი (ვუპერტალი, არენდა).

**სავარაუდო მოსვლა:** ანდრეას ნოიენდორფი (ჰერტა). გუნდს შემტევი ნახევარმცველი და თავდამსხმელი სჭირდება.

**სავარაუდო წასვლა:** ოტო ადო (?), კონორ კასეი (?), ბაკარი დიაკიტე (ფრაიბურგი, არენდა).

გოტფრიდ **ლენცი**

## მანსანო სახლში უფრო გვიან დაბრუნდება

მიმდინარე სეზონი "მალიორკისთვის" ძალიან მძიმედ დაიწყო. ბალეარული კლუბი დებიუტში სერიოზულ პრობლემებს წააწყდა. კუნძულელები ქულას ქულაზე კარგავდნენ. ამის გამო ხშირად ამბობდნენ, რომ ხელმძღვანელობა **გრეგორიო მანსანოს** კარისკენ მიუთითებდა. ჟურნალისტური პროგნოზი არ გამართლდა. პირიქით, "მალიორკის" პრეზიდენტმა, **ვისენტე გრანდემ** მწვრთნელის მიერ შესრულებული სამუშაო დადებითად შეაფასა და კონტრაქტი 2008 წლამდე გაუხანგრძლივა. სენიორ გრეგორიო გუნდის მმართველის მიერ გამოხატული ნდობით აღფრთოვანებულია და აცხადებს: *"მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის. ვისენტე გრანდემ აღნიშნა, წაგებული მატჩები და დაკარგული ქულები მთავარი არ არის. ჩვენ მანსანოს მუშაობის სტილი უზომოდ მოგვწონს და გადავწყვიტეთ, კიდევ წლინახევრით ვითანამშრომლოთო. ფანტასტიკური სიახლეა. ისღა დამრჩენია, "მალიორკას" მთელი ენერგია მოვახმარო. ამიერიდან სახლში კიდევ უფრო გვიან დაბრუნება მომიწევს."*

## კავენაგი: რასინგი თუ ტორინო?

**ფერნანდო კავენაგი** "სპარტაკში" არცთუ კომფორტულად გრძნობს თავს. არგენტინელი ფორვარდი ვერც მოსკოვურ სიცივეს ეგუება და უსახური რუსული ფეხბურთიც ყელში ამოუვიდა. გუშინ გამცნეთ, რომ მან **ალბერტო ძაკერონის** დაურეკა და საკუთარი სამსახური შესთავაზა. "ტორინომ" "სპარტაკთან" მოლაპარაკების დაწყება განიზრახა. მათ უნდა იჩქარონ, რადგან სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდათ. გუშინ სანტანდერის "რასინგის" პრეზიდენტი, **ფრანსისკო პერნია დიმიტრი პოპოვთან** შესახვედრად მოსკოვს გაფრინდა. აღსანიშნავია, რომ წლების წინათ პოპოვი სწორედ "რასინგის" ღირსებას იცავდა და ამჟამინდელ პრეზიდენტთან ჩინებული ურთიერთობა აქვს. კანტაბრიელები ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ კავენაგი საიჯარო ხელშეკრულებით "ელ სანდინეროზე" ჩაიყვანონ. თავად ფერნანდოს "ტორინოში" თამაში ურჩევნია, თუმცა თუ ამ საქმიდან არაფერი გამოვა, "რასინგზეც" არ იტყვის უარს.

## ბენტლი ჰარგრივსის ნაცვლად?

როგორც იცით, "მანჩესტერ იუნაიტედისა" და **ოუენ ჰარგრივსის** ურთიერთობა ჩიხში მოექცა. თითქოს, ინგლისელ ნახევარმცველს "ოლდ ტრეფორდამდე" ერთი ნაბიჯიღა აკლდა, მაგრამ გარიგება დღემდე არ შემდგარა. ერთი ვერსიით, "ბაიერნი" არარეალურ თანხას ითხოვს. გარდა ამისა, ფრიად უჩვეულო მოტივიც დასახელდა. "წითელი ეშმაკების" აღმასრულებელმა დირექტორმა, **დევიდ ჰილმა** აღნიშნა, ფეხბურთელებს ზამთარში იშვიათად ვყიდულობთ, რადგან მათ ახალ კლუბში ინტეგრირებისთვის დრო არ რჩებათო. ამ ლოგიკით, "იუნაიტედმა" იანვარში ტრანსფერები საერთოდ არ უნდა გაჩარხოს, თუმცა საინფორმაციო სააგენტოები გვამცნობენ, რომ სერ **ალექს ფერგიუსონმა** "ბლექბერნიდან" **დევიდ ბენტლის** გადაბირება მოითხოვა. შოტლანდიელი სპეციალისტი მას სწორედ ჰარგრივსის შემცვლელად მოიაზრებს. როგორც ჩანს, ინგლისელებს "ბაიერნთან" ვაჭრობა ყელში ამოუვიდათ და ბენტლის სახით შესანიშნავ ალტერნატივას მიაგნეს.

## ვინ შეცვლის ლე გენს?

გუშინწინ "რეინჯერსის" მთავარი მწვრთნელის პოსტი ვაკანტური გახდა. ბუნებრივია, შოტლანდიური გიგანტი თავკაცის გარეშე დიდხანს ვერ დარჩება. BBC-ის ცნობით, გლაზგოელები შოტლანდიის ნაკრების დამრიგებელთან, უოლტერ სმიტთან აწარმოებენ მოლაპარაკებას. თანხმობის შემთხვევაში, სმიტს ასისტენტებად **ალი მაკოისტი** და **იან დიურანი** ილვაწებენ. ბუნებრივია, "მანანწალები" ალტერნატიულ ვარიანტებზეც მუშაობენ. სავარაუდო კანდიდატებად **ბილი დევისი, ტერი ბატჩერი** და **ჯორჯ ბერლი** სახელდებიან.

## ასტონ ვილა დიცას უმიზნებს

ბრიტანული საინფორმაციო სააგენტოები ერთხმად გვაუწყებენ, რომ "ასტონ ვილა" რუმინელი **ნიკოლაე დიცას** შეძენას ცდილობს. ბირმინგემელები რუმინელ კოლეგებთან ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებენ. როგორც ჩანს, ისინი წარმატებასაც მიაღწევენ, რადგან დიცას ინგლისში გადაბარგების იდეა ძალიან მოსწონს. აი, რას ამბობს "სტიაუას" ფორვარდი: *"მარტინ ონილს კარგად ვიცნობ. მან ჩემს მენეჯერს უთხრა, რომ შემოქმედი ფეხბურთელი სჭირდება, ასეთად კი მე მომიაზრებს. "ასტონ ვილა" ჩინებული კლუბია. ვფიქრობ, იქ კარგ ხელფასს გადამიხდიან და ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის შანსსაც მომცემენ. მოკლედ, მე თანახმა ვარ. დანარჩენი კი მოლაპარაკებების მაგიდასთან უნდა გადაწყდეს."*

მილანი VS ჩელსი

# ვის დარჩება ვუნდერკინდი?

## 17 წლის პატო გრანდების დაპირისპირების მიზეზი ხდება

"მილანი" თავდასხმაში არსებული პრობლემების გადაჭრას ცდილობს. "ლა გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, "როსონერიმ" **მარკო დი ვაიოს** შეძენა გადაწყვიტა. შეგახსენებთ, 30 წლის ფორვარდი ამჟამად "მონაკოს" ღირსებას იცავს. კლუბის ხელმძღვანელები აპენინელთა წინადადებას ინტერესით შეხვდნენ, რადგან მიაჩნიათ, რომ დი ვაიოს ყოველკვირეული გასამრჯელო (67 ათასი ევრო) "მონაკოს" დიდ ტვირთად აწევს. მხარეები ყველაფეს გააკეთებენ იმისთვის, რომ შეთანხმებას იანვარშივე მიაღწიონ.

ამასობაში, "მილანს" კიდევ ერთი ტრანსფერის გაჩარხვის სურვილი გაუჩნდა. საქმე ბრაზილიური "ინტერნასიონალის" ვუნდერკინდს, **პატოს** ეხება. არაოფიციალური ინფორმაციით, "როსონერი" მზადაა, 17 წლის ნახევარმცველის სანაცვლოდ 14 მილიონი ევრო გადაიხადოს. აღსანიშნავია, რომ აპენინურ გრანდს "ჩელსის" სახით სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა. ბრიტანულმა სააგენტოებმა დაადასტურეს, რომ **ჟოზე მოურინიო** პატოთი აღფრთოვანებულია და დირექტორატს სასწრაფო მოქმედებისკენ მოუწოდებს.

იუვენტუსი

# ტრეზეგეს ნაცვლად კრაუჩი...

**პიტერ კრაუჩი** "იუვენტუსის" თვალთახედვის ორბიტაში მოექცა. "კორიერე დელო სპორტი" გვარწმუნებს, რომ "ბებერი ქალბატონის" ინკოგნიტო ემისარი ლივერპულში იმყოფებოდა და ინგლისურ მხარესთან სატრანსფერო საკითხებზე მოლაპარაკებას ცდილობდა. ტურინელები **დავიდ ტრეზეგეს** დაკარგვის იდეას დიდი ხანია შეგუებულები არიან. სასწაული უნდა მოხდეს, ფრანგი ფორვარდი მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ, "დელე ალპიდან" რომ არ აიბარგოს. **დიდიე დეშამის** აზრით, კრაუჩი მისი საუკეთესო შემცვლელი იქნება.

ჩელსი. მოსალოდნელი ტრანსფერები

# ...და ისევ მზერა ბაზრისკენ

"ჩელსის" რა უჭირს, **რომან აბრამოვიჩს** იმდენი ფული აქვს, რომ ყოველდღე ახალი ფეხბურთელის შეძენა შეუძლია. ბრიტანული საინფორმაციო სააგენტოები გვამცნობენ, რომ "არისტოკრატები" ერთბაშად რამდენიმე მოთამაშის გადაბირებას ცდილობენ. უპირველესი სამიზნე **რიკარდო კვარეშმაა**. "ჩელსი" და "პორტუ" მოლაპარაკებებს ჯერ კიდევ გასული წლის შემოდგომაზე აწარმოებდნენ, მაგრამ მაშინ მხარეებმა საერთო ენა ვერ გამონახეს. **ჟოზე მოურინიომ** ხელმძღვანელობის წინაშე კვარეშმას საკითხი კიდევ ერთხელ დააყენა. სავარაუდოა, რომ "არისტოკრატები" **შონ რაიტ ფილიპსს** გაყიდიან. **ჯო კოულსა** და **არიენ რობენს** კი ტრავმები აწუხებთ, ამიტომ რიკარდოს "სტემფორდ ბრიჯზე" ჩაყვანა მართლაც უპრიანი იქნება. იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტი გაფორმდება, ახალგაზრდა პორტუგალიელი ჩემპიონთა ლიგაში "ჩელსის" ღირსებას ვერ დაიცავს, მაგრამ "პორტუსთან" ერთად მან ჯგუფურ ტურნირში იასპარეზა. მოურინიოს ეს სულაც არ აშინებს, რადგან ლონდონელებს პრემიერლიგაში "მანჩესტერ იუნაიტედთან" არსებული ჩამორჩენა აქვთ ამოსაქაჩი.

მოურინიოს კიდევ ერთი სამიზნე **ფრედერიკ კანუტეა. ანდრეი შევჩენკო** წლის უდიდეს იმედგაცრუებად იქნა შერაცხული. პორტუგალიელი სპეციალისტი ფიქრობს, რომ "სევილიის" 29 წლის ფორვარდი **დიდიე დროგბასთან** ერთად ჩინებულ დუეტს შექმნის. აღსანიშნავია, რომ კანუტეს პრემიერლიგაში ასპარეზობის დიდი გამოცდილება აქვს. წარსულში ის "ვესტ ჰემისა" და "ტოტენჰემის" ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა გახლდათ.

"ჩელსის" ინტერესები ამითაც არ ამოიწურება. იტალიური "კორიერე დელო სპორტი" გვამცნობს, რომ ლონდონელებმა "რომას" **ფილიპ მექსეს** გაყიდვის წინადადებით მიმართეს. ფრანგ ნახევარმცველს რომაულ კლუბთან გაფორმებული კონტრაქტის ვადა 2008 წლის 30 ივნისს ეწურება. "არისტოკრატები" მზად არიან, 12 მილიონი ფუნტი გადაიხადონ და ფეხბურთელს წლიური ხელფასი ერთი მილიონით გაუზარდონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა






ბაიერნი. ახალწვეული მომავალი სეზონისთვის

# შლაუ ვინ?

## მიუნხენისკენ მიმავალი აახენელი, სავარაუდოდ, მათეუსის ნომერს მიიღებს. რა ელის შლაუდრაფს რეკორდმაისტერში?

**მიმდინარე სეზონის დაწყებამდე იან შლაუდრაფის სახელი და გვარი მხოლოდ აახენში თუ იცოდნენ. ახლა კი, 23 წლის შემტევი ნახევარმცველი, "ალემანიის" რიგებში გამართული რამდენიმე შესანიშნავი მატჩის შემდეგ, უკვე ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ გერმანელ ფეხბურთელად ითვლება. ოქტომბერში გერმანიის ნაკრებშიც ითამაშა, რამაც სახელი კიდევ უფრო გაუთქვა. მერე "ვერდერსა" და "ბაიერნს" იშვიათი სილამაზის გოლები გაუტანა, რითაც სახელოვანი გუნდები დააინტერესა. ბოლოს კი, მისი ალმასვლის პირველ ეტაპს, "ბაიერნთან" გაფორმებულმა კონტრაქტმა (გუშინდელ ნომერში ვწერდით) დაუსვა წერტილი. მაშ ასე, იან შლაუდრაფი მომავალი სეზონიდან მიუნხენურ გიგანტში ითამაშებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ამიერიდან ის საყოველთაო ყურადღების ცენტრშია მოქცეული.**

ყურადღების ცენტრში ყოფნა კი, სახელთან ერთად, მეტ პასუხისმგებლობასა და უმძიმესი წნეხის ქვეშ ყოფნასაც ნიშნავს. სულ ცოტა ხნის წინათ ეს ყველაფერი საკუთარ თავზე **ლუკას პოდოლსკიმაც** გამოსცადა, თანაც ძალიან რთულ ფორმებში. 11-მილიონიანი პოდოლსკი **ფელიქს მაგათს** სულ სკამზე უზის - პოლდი, რომელიც გერმანელებმა მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთ გმირად შერაცხეს (ფიფასგან მუნდიალის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელის წოდებაც დაიმსახურა), ამ სეზონში, რბილად რომ ვთქვათ, დაკარგულია. ლუკასის შემთხვევა იმიტომ გავიხსენეთ, რომ გამორიცხული არაა, შლაუდრაფსაც იგივე ელოდეს. ყოველ შემთხვევაში, პოტენციურად მას დაკარგვის უფრო დიდი შანსი აქვს, რადგან პოდოლსკის უკეთესი სახელიც ჰქონდა და უფრო ძვირადაც ფასობდა. თუმცა, ჩვენი გერმანელი კოლეგები წერენ, რომ შლაუდრაფი სხვანაირი ადამიანია - უფრო მიზანმიმართული, უფრო მონდომებული და უფრო შრომისმოყვარე. თანაც, მას ლუკასისგან განსხვავებით, მძიმე დროებაც აქვს გამოვლილი. მიონხენგლადბახის "ბორუსიაში" თამაშის დროს (თუ იმას თამაში ეთქმოდა), ერთ-ერთ უკანასკნელ ფეხბურთელად ითვლებოდა და კარგად იცის, რასაც ნიშნავს სკამის ხეხვა. მაშინ მისი იმედი არავის ჰქონდა და თამამად შეიძლება ითქვას, რომ "ალემანიაში" მეორედ დაიბადა. პოდოლსკი კი, ასე განსაჯეთ, ყოველთვის ერთობ განებივრებული ყმაწვილი იყო. გეხსომებათ, კიოლნში "პრინცის" სტატუსიც კი მიანიჭეს.

მოკლედ, გერმანიაში უკვე დაიწყო დისკუსიები იმის შესახებ, თუ რა გამოვა ამ ტრანსფერიდან. გახდება შლაუდრაფი "ბაიერნის" ერთ-ერთი ლიდერი და შეუცვლელი ფიგურა, თუ ადგილს პოდოლსკის გვერდით, სკამზე დაიკავებს?

სხვათა შორის, "ვერდერმა" "ბაიერნთან" სატრანსფერო ომი უკვე მეორედ წააგო. თავის დროზე, "მუსიკოსებსაც" სურდათ პოდოლსკის შეძენა და ამ უკანასკნელმაც ბავარიაში წასვლა ამჯობინა. არცაა გასაკვირი, ბრემენელთა მენეჯერი **კლაუს ალოფსი** განაწყენებული რომ არის. *"შლაუდრაფის გადაწყვეტილება ჩემთვის მიუღებელია. ისე, არ მესმის, რატომ ატყდა ამ ფეხბურთელზე ასეთი დავი-დარაბა. დიახ, ძალიან ნიჭიერი მოთამაშეა, რომელსაც შეუძლია, დიდი ფეხბურთი ითამაშოს და მისი შეძენა ჩვენც ამიტომ გვინდოდა, მაგრამ შლაუდრაფი ჯერ მაინც ძალიან შორსაა ვარსკვლავობისგან. ეს არის ფეხბურთელი, რომელმაც "ალემანიის" რიგებში ერთი წრე.კარგად ჩაატარა და გერმანიის ნაკრებში ერთ ამხანაგურ თამაშში მიიღო მონაწილეობა. ეს არის და ეს,"* - აცხადებს ალოფსი. "ვერდერის" მეკარე **ტიმ ვიზე** კი ამბობს, იანი მიუნხენში ფულის გამო გადავიდა, არადა პოდოლსკის სახით კარგი მაგალითი ჰქონდა იმისთვის, რომ უფრო დიდხანს ეფიქრაო. ხელფასმა მართლაც არ ითამაშა მეორეხარისხოვანი როლი. "ვერდერი" ყოველწლიურად 1.5 მილიონს სთავაზობდა, მიუნხენელებმა კი 2 მილიონი დაუნიშნეს. სამწლიანი კონტრაქტის გათვალისწინებით, "ბაიერნი" შლაუდრაფს 1.5 მილიონით მეტს გადაუხდის.

*"სხვათა შორის, ლუკასმა მიუნხენში უკვე რამდენიმე კარგი თამაში ჩაატარა. ხომ ხედავთ, რა კარგად გამოიყურებიან შვაინშტაიგერი და ლამი. საკუთარ თავს ყველაზე კარგად ვიცნობ. არაფრის მეშინია. მჯერა, სკამის ხეხვა არ მომიწევს,"* - ამბობს შლაუდრაფი, მეტსახელად "ძვალი". ამაში ბავარიული გუნდის ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგეც** დარწმუნებულია და ბუნდესმწვრთნელი **იოგი ლიოვიც**.

შლაუდრაფი სულ რაღაც 23 წლისაა, მაგრამ თავდაჯერებითა და საკუთარი შესაძლებლობების რწმენით, "ბაიერნის" ფეხბურთელებიდან, მხოლოდ **ოლივერ კანს, ვილი სანიოლს** ან **ლუსიოს** თუ ჩამორჩება. ერთი სიტყვით, ახალგაზრდაა, მაგრამ დიდი გული აქვს და პრეტენზიულობითაც გამოირჩევა. თავად განსაჯეთ, იანი არ მალავს, რომ მოლაპარაკებების დროს, "ბაიერნის" მენეჯერ **ული ჰიონესს** ნომერზეც კი ჩამოუგდო სიტყვა. საერთოდ, როცა ახალგაზრდა მოთამაშე რეკორდმაისტერში გადადის ხოლმე, მისთვის მნიშვნელობა არა აქვს, რომელი ნომრით ითამაშებს, ოღონდ კი გერმანული ფეხბურთის ფლაგმანში ჩაირიცხოს. შლაუდრაფმა კი აქედანვე დაიწყო ზრუნვა ყველაფერზე და ნომერი, ერთი შეხედვით ძალიან უმნიშვნელო რამ, ფეხებზე სულაც არ ჰკიდია. არ იკითხავთ, რომელი ნომერი მოსთხოვა ჰიონესს? არ დაიჯერებთ და 10! საუკეთესო, ყველა ფეხბურთელისთვის სანატრელი და ისტორიული ნომერი, რომელიც მიუნხენური კლუბის ფანებისთვის **ლოთარ მათეუსთან** ასოცირდება. "ბაიერნის" ისტორიაში ყველა დროის საუკეთესო ათიანი ხომ სწორედ ლოთარი იყო.

დღესდღეობით ეს ნომერი **როი მაკაის** ეკუთვნის. თანაც, მიუნხენში ჰოლანდიელი გოლეადორის გაშვებას არავინ აპირებს. გამოდის, რომ შლაუდრაფმა ნომერი მაკაის უნდა წაართვას. თვითონ იანი მიიჩნევს, რომ ამ მოთხოვნით მაკაის შეურაცხყოფას არ მიაყენებს, როი ცენტრფორვარდია და 10-იანი მისთვის შეუფერებელია, მე კი "ბაიერნში" ფლეიმეიქერის პოზიციისთვის შემიძინეს და შესაბამისად, ეს ნომერი მე უფრო მეკუთვნისო. *"რატომ უნდა დავმალო? მოლაპარაკების დროს "ბაიერნის" ხელმძღვანელებს ნომერზეც ვესაუბრე და 10-იანი ვთხოვე. სხვათა შორის, ერთ-ერთი მიზეზი, რისთვისაც "ვერდერში" არ გადავედი და ბრემენულ კლუბს რეკორდმაისტერი ვამჯობინე, სწორედ ის იყო, რომ "მუსიკოსებს" დიეგოს სახით ტიპური ათიანი ჰყავთ და იქ გამთამაშებლის პოზიცია უკვე დაკავებულია. "ბაიერნს" კი კლასიკური ფლეიმეიქერი არ ჰყავს. მიმაჩნია, რომ მიუნხენში უფრო საჭირო ვარ, ვიდრე ბრემენში,"* - ამბობს შლაუდრაფი და როგორც ხედავთ, ისეთი ფეხბურთელის კვალობაზე, რომელსაც ბუნდესლიგაში მხოლოდ 25 თამაში აქვს ჩატარებული (6 გოლი), ზედმეტად თავდაჯერებულია. თავის თავს უკვე **დიეგოს** ადარებს და მათეუსის ნომერს ითხოვს.

გოტფრიდ ლენცი

---

სერია A. მწვრთნელთა გამოკითხვა

# ცუდი მილანი, კარგი კატანია და საუკეთესო რომა

იტალიურ პრესაში სერია A-ს მწვრთნელთა გამოკითხვის შედეგები გამოქვეყნდა. მასში ერთგვარად შეჯამებულია ჩემპიონატის საშემოდგომო ეტაპი. ჟურნალისტებმა მწვრთნელებს ოთხი კითხვით მიმართეს:

**1) რომელი გუნდი მიგაჩნიათ სერია A-ს აღმოჩენად?**

**2) რომელი გუნდია ჩემპიონატის ყველაზე დიდი იმედგაცრუება?**

**3) გუნდი, რომელიც ამ ეტაპისთვის ყველაზე უკეთეს ფეხბურთს თამაშობს?**

**4) ფეხბურთელი, რომელმაც თავი საკუთარ შესაძლებლობებზე უკეთ წარმოაჩინა?**

აი, როგორია მწვრთნელთა მოსაზრებები:

რობერტო მანჩინი (ინტერი)
1) ატალანტა და კატანია
2) მილანი
3) ლაციო
4) ლაციოს ფორვარდი ტომაზო როკი

კარლო ანჩელოტი (მილანი)
1) ემპოლი
2) კომენტარის გარეშე
3) რომა
4) მესინის ფორვარდი კრისტიან რიგანო

ლუჩანო სპალეტი (რომა)
1) ატალანტა და კატანია
2) კომენტარის გარეშე
3) რომა
4) კომენტარის გარეშე

ფრანჩესკო გვიდოლინი (პალერმო)
1) ინტერი
2) კომენტარის გარეშე
3) რომა
4) პალერმოს ფორვარდი კარვალიო ამაური

ჩეზარე პრანდელი (ფიორენტინა)
1) ატალანტა
2) კომენტარის გარეშე
3) ინტერი, რომა და პალერმო
4) ფიორენტინის ფორვარდი ადრიან მუტუ

პასკუალე მარინო (კატანია)
1) კატანია
2) მილანი
3) რომა
4) რომას ნახევარმცველი დანიელე დე როსი

ფრანკო კოლომბა (კალიარი)
1) ლაციო, ატალანტა და კატანია
2) მილანი
3) ლაციო, ინტერი და რომა
4) კომენტარის გარეშე

ნედო სონეტი (ასკოლი)
1) კატანია
2) მილანი
3) ინტერი და პალერმო
4) ფიორენტინის ფორვარდი ადრიან მუტუ

სტეფანო კოლანტუონო (ატალანტა)
1) კატანია და პალერმო
2) მილანი
3) პალერმო, რომა და ლაციო
4) სამპდორიის ფორვარდი ფაბიო კვალიარელა

ლუიჯი დელ ნერი (კიევო)
1) კატანია
2) კომენტარის გარეშე
3) ლაციო და რომა
4) კიევოს ფორვარდი ვიქტორ ობინა

ჯოვანი გალეონე (უდინეზე)
1) კატანია
2) მილანი
3) რომა
4) უდინეზეს მცველი კრისტიან საპატა და ტორინოს ფორვარდი ალესანდრო როზინა

ვალტერ მაცარი (რეჯინა)
1) ემპოლი, კატანია და ატალანტა
2) მილანი და პარმა
3) რომა და პალერმო
4) რეჯინის ფორვარდი როლანდო ბიანკი

ლუიჯი კანი (ემპოლი)
1) კატანია
2) მილანი
3) რომა
4) კომენტარის გარეშე

დელიო როსი (ლაციო)
1) ემპოლი და კატანია
2) კომენტარის გარეშე
3) პალერმო, რომა და ინტერი
4) ფიორენტინის ფორვარდი ადრიან მუტუ

დანიელე არიგონი (ლივორნო)
1) კატანია და ატალანტა
2) მილანი და ლივორნო
3) რომა
4) რეჯინის ფორვარდი როლანდო ბიანკი

მარიო ბერეტა (სიენა)
1) ატალანტა
2) მილანი
3) ლაციო და რომა
4) ფიორენტინის ფორვარდი ადრიან მუტუ

ბრუნო ჯორდანო (მესინა)
1) კატანია და ლაციო
2) მილანი
3) რომა და ინტერი
4) კომენტარის გარეშე

სტეფანო პიოლი (პარმა)
1) ატალანტა
2) მილანი
3) რომა
4) ფიორენტინის ფორვარდი ადრიან მუტუ

ვალტერ ნოველინო (სამპდორია)
1) კატანია
2) მილანი
3) კომენტარის გარეშე
4) სამპდორიის ფორვარდი ფაბიო კვალიარელა

ალბერტო ძაკერონი (ტორინო)
1) ემპოლი და კატანია
2) მილანი
3) რომა და ინტერი
4) კომენტარის გარეშე

## ვესტ ჰემი: 22 მილიონი ევრო ტრანსფერებისთვის

რუსული საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, მოსკოვის "დინამოდან" ახლახან წასული **ალექსეი სმერტინი** შესაძლოა, "ვესტ ჰემში" ჩაირიცხოს. "ჩაქუჩების" ამჟამინდელი დამრიგებელი **ალან კერბიშლი** რუს ნახევარმცველს ძალიან კარგად იცნობს. გემახსოვრებათ, რომ ისინი "ჩარლტონში" ერთად მუშაობდნენ. "სპორტექსპრესს" თუ დავუჯერებთ, ხელმძღვანელობის წინაშე სმერტინის შეძენის საკითხი სწორედ კერბიშლიმ დააყენა.

ლონდონური კლუბი უმძიმეს სიტუაციაში იმყოფება. მას პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის უწევს ბრძოლა. ამიტომ საქმეს მხოლოდ სმერტინი ვერ უშველის. "ვესტ ჰემი" იანვრის სატრანსფერო ბაზრის დახურვამდე **ენტონი გარდნერის** (ტოტენჰემი), **მეტიუ აპსონის** (ბირმინგემი), **შონ რაიტ ფილიპსის** (ჩელსი), **ნაიჯელ კუაშლის** (ვესტ ბრომვიჩი), **მარკ ვიდუკას** (მიდლსბრო), **დარენ ბენტის** (ჩარლტონი), **ჯოი ბარტონისა** (მანჩესტერ სიტი) და **მორის ფოლცის** (ფულჰემი ) გადაბირებასაც შეეცდება. ლონდონელებს მთლიანობაში ტრანსფერების გასაჩარხად 22 მილიონი ფუნტი აქვთ გამოყოფილი. "ჩაქუჩებმა" გუშინ ღამით "ფულჰემთან" შეთანხმებას მიაღწიეს, რომლის ძალითაც **ლუიშ ბოა მორტე** იანვრიდან "ვესტ ჰემის" ღირსებას დაიცავს. პორტუგალიელი ფორვარდი 3 მილიონი ფუნტი დაჯდა.

## რეკობა: დაბრუნება გადაიდო

"ინტერი" სავარჯიშოდ ბაჰრეინში გაემგზავრა. **რობერტო მანჩინის** შეგირდები ნაყოფიერად ემზადებიან. **ალვარო რეკობა** კი კვლავ ფიზიოთერაპევტის კაბინეტში დაიარება. გუშინ მას საგანგებო ტესტი ჩაუტარეს და დიაგნოზიც დასვეს. "ელ ჩინოს" კუნთი აქვს დაჭიმული. შეგახსენებთ, ტრავმა მან 23 დეკემბერს, "ატალანტასთან" მატჩში მიიღო. "ინტერის" ექიმების ვარაუდით, ურუგვაელი ვარსკვლავი საყვარელ საქმეს მხოლოდ თებერვლის დასაწყისში დაუბრუნდება. მანჩინის **ესტებან კამბიასოსთან** მუშაობის საშუალებაც არ აქვს. არგენტინელი, პირადი მიზეზების გამო, ბაჰრეინს ვერ გაემგზავრა. აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ ტრავმას **ხულიო კრუსიც** უჩივის. ნოემბერში "რეჯინასთან" მატჩში მას მუხლის ჯვარედინი მყესები დაუშავდა.

## დაუმმა კიოლნს დიეტა დაუნიშნა

შვებულებიდან დაბრუნებულმა **კრისტოფ დაუმმა,** პირველი ვარჯიშის შემდეგ, თავის შეგირდებს სისხლის ანალიზები აუღო და თითოეულ მათგანს სასწორზე დადგომა მოსთხოვა. "კიოლნის" 53 წლის მწვრთნელს სურდა, შეემოწმებინა, როგორ იქცევებოდნენ ფეხბურთელები შობა-ახალი წლის დღეებში და მოიმატა თუ არა რომელიმემ წონაში. როგორც გაირკვა, მკაცრი მწვრთნელის ხელში დაშინებულმა მოთამაშეებმა, ბევრი არ ჭამეს და წონაში ოდნავადაც არ მოიმატეს. მეტიც, მცველმა **ჰაასმა** სულაც სამი კილოგრამით დაიკლო. დაუმმა შეგირდებს სპეციალური დიეტა დაუნიშნა და კვების გეგმის ასლები თითოეულ ფეხბურთელს გადასცა. კრისტოფის მომდევნო გეგმა გუნდის ყველა ოთახში ვიდეოკამერების დამონტაჟებაა. დაუმს უნდა, რომ თავისი შეგირდები რეგულარულად აკონტროლოს.

## უდინეზე: დე აგოსტინი შუამავლად

იტალიის ნაკრების ყოფილი მარცხენა მცველი, 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე **ლუიჯი დე აგოსტინი** "უდინეზეს" მენეჯერად დაინიშნა. ფრიულის კლუბმა მმართველობითი რგოლის რეკონსტრუქცია დაიწყო. დე აგოსტინის დანიშვნაც ამ ცვლილებების ნაწილია. რეალურად, ახალი ფუნქციონერის მოვალეობაა, შუამავლის როლი შეასრულოს მწვრთნელსა და კლუბის ხელმძღვანელობას შორის. დე აგოსტინი 1961 წელსაა დაბადებული. კარიერის მანძილზე მას "ტრენტოს", "კატანძაროს", "ვერონას", "იუვენტუსის", "ინტერისა" და "რეჯანას" ღირსება დაუცავს.

## ვალერონს შიში თამაშის საშუალებას არ აძლევს

**ხუან კარლოს ვალერონმა** მძიმე ტრავმა მოიშუშა. "დეპორტივოს" გულშემატკივრებს იმედი ჰქონდათ, რომ მათი კერპი მომავალ კვირას დაბრუნდებოდა და "რიასორზე" "რეალს" დაუპირისპირდებოდა. ვალერონმა ინჩასების ოპტიმიზმი საკუთარი ხელით დაასამარა. აი, რა განაცხადა მან: *"მართალია, გამოვჯანმრთელდი და არანაირი ტკივილი არ მაწუხებს, მაგრამ მიმაჩნია, რომ ჩემი დაბრუნება ნაადრევია. ფიზიკური თვალსაზრისით, ჩინებულად ვგრძნობ თავს, აი, ფსიქოლოგიურად კი ჯერაც სერიოზული რეაბილიტაცია მჭირდება. როცა, ვარჯიშებზე ბურთს ვეხები, მეშინია, რომ მომმვარდებიან და ტრავმას მომაყენებენ. დამეთანხმებით, ამ მდგომარეობაში თამაში გაუმართლებელია, რადგან გუნდს ვერანაირ სარგებელს ვერ მოვუტან. ხელმძღვანელობამ კვალიფიციური ფსიქოლოგი დამიქირავა. იმედია, მასთან მუშაობა დადებით შედეგს გამოიღებს".*

## ფიგუ: მაინც არაბეთში

ეტყობა, **ლუიშ ფიგუს** არაბული თავგადასავალი გულში აქვს ამოჭრილი. ორი დღის წინ, "ინტერმა" ოფიციალურად დაადასტურა, რომ პორტუგალიელი ვეტერანი **რობერტო მანჩინის** განკარგულებაში რჩებოდა. და რჩება კიდეც, მაგრამ მხოლოდ ივნისის ბოლომდე. ჩემპიონატის დასრულებისთანავე, ლუიში საემიროებს მიაშურებს და "ალ-იტიჰადს" შეუერთდება. მხარეებმა ერთწლიანი კონტრაქტი უკვე გააფორმეს. *"ყველა საკითხი მოგვარებულია, ხელშეკრულება ძალაში 2007 წლის 1 ივლისიდან შედის"* - აცხადებს არაბული კლუბის მეპატრონე **მანსურ ალ-ბალვი.**

იტალიური ამბავი

# იუვენტინო სახლში როგორ მოათრიე?

### როცა სიძე იუვეს ფანია, სიდედრი კი მილანისა...

**რა უნდა ქნას "იუვენტუსის" გულშემატკივარმა, რომლის სიდედრიც "მილანის" თავგადაკლული ფანი აღმოჩნდა? ცხადია, ცოლს, ვერ გაშორდება, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ვერც საყვარელ გუნდს გადაიყვარებს. არადა, სიდედრისთვის გაცნობისთანავე მოსისხლე მტერი ხდება. გერმანელმა მწერალმა, შტეფან მაივალდმა, რომელიც ბავშვობიდან "იუვეს" გულშემატკივარია და რომელსაც იტალიელი ცოლი ჰყავს, ცოტა ხნის წინათ დაწერა წიგნი სათაურით "როგორ უნდა გადარჩე იტალიურ ოჯახში." ერთ-ერთ თავში, რომელსაც ქვემოთ წაიკითხავთ, მოთხრობილია მის სიდედრზე, რომელიც "მილანის" გადარეული ფანი აღმოჩნდა...**

ყოველთვის მეუბნებოდნენ, იტალიელებს ფეხბურთი ფანატიკურად უყვართ და მათ ამაში ვერავინ შეედრებაო. მიყვებოდნენ იმ საგიჟეთზე, რაც იტალიის სტადიონებზე ხდება ხოლმე. მაგრამ არ მჯეროდა და ეს ყველაფერი ფარსი მეგონა - ვფიქრობდი, გაზვიადებულია-მეთქი. იტალიის სტადიონებზე მომხდარი ამბები კარგად დადგმულ კომედიად მეჩვენებოდა და არ მჯეროდა, როცა მეუბნებოდნენ, შეუძლებელია ქალს, რომელიც "ფიორენტინის" გულშემატკივარია, "იუვენტუსის" ფანი კაცი შეუყვარდეს, ან პირიქითო. ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ იარსებებდნენ ადამიანები, რომლებიც ფეხბურთს ყველაზე და ყველაფერზე წინ დააყენებდნენ. მით უმეტეს, იტალიაში, სადაც წესრიგი, როგორც ასეთი, საერთოდ არ იციან, რას ნიშნავს.

**მინი,** ჩემი სიდედრია და "მილანის" ფანი გახლავთ. როცა ეს გავიგე, ვიფიქრე, მერე რა, ალბათ "მილანის" თამაშებს უყურებს ხოლმე და როგორც უფროსი თაობის ყველა წარმომადგენელი, **მალდინი** მოსწონს-მეთქი. როცა გავიცანი, ჩემი სახელის გაგების შემდეგ, პირველი, რაც მკითხა, ეს იყო: *"რომელ ბანაკში ხარ?"* მას ისედაც არ მოსწონდა, მისმა შვილმა გერმანელი კაცი რომ შეიყვარა და ამის გამო, სიდედრის თვალში კრედიტის დიდი ნაწილი უკვე დაკარგული მქონდა. ვიცოდი, "მილანის" ქომაგი რომ იყო და თავიდან ვიფიქრე, ჩემს "იუვენტინოობას" დავმალავ-მეთქი, მაგრამ მერე გადავიფიქრე. ხომ გესმით, ასეთი უმნიშვნელო რამის დამალვა ნებისმიერი კაცის ავტორიტეტზე იმოქმედებს. ჰოდა, ვიფიქრე, რატომ უნდა მეშინოდეს-მეთქი და სიდედრს მივუგე, ვერ ვიტყვი, რომ რომელიმე იტალიური გუნდისთვის თავს გავწირავ, მაგრამ რაღა დაგიმალოთ და, ბავშვობიდან ძალიან მომწონდა შავ-თეთრზოლებიანი მაისურები, რალატომლაც ძალიან მომწონდა და ალბათ არცაა გასაკვირი, "იუვენტუსის" გულშემატკივარი რომ გავხდი-მეთქი. მანი მაშინვე ტელეფონს ეცა, **ლაურას** ნომერი აკრიფა და უყვირა: *"ეს რა უბედურებაა, სახლში იუვენტინო როგორ მოათრიე?"*

"იუვეზე" ამბობენ, იტალიაში ყველაზე პოპულარული გუნდიაო. მართალია, მეც იუვენტინო ვარ, მაგრამ რა ვქნა, იტალიაში "მილანისა" და "ინტერის" უფრო მეტ გულშემატკივარს რომ წავაწყდი? და ისიც არა მილანში, არამედ სხვადასხვა ქალაქებსა თუ სოფლებში, სადაც მე და ლაურა დავდიოდით. "კალჩოპოლიმ", ამ უდიდესმა სკანდალმა, "ბებერ ქალბატონზე" ბევრს აალებინა ხელი. საბოლოო ჯამში, ალბათ, სიმართლეა ის, რომ მთელ იტალიაში "იუვეს" უფრო მეტი ქომაგი ჰყავს, ვიდრე "მილანს", მაგრამ ფაქტია, რომ ტურინში "ბიანკონერიზე" მეტად "ტორინო" უყვართ. არც მიკვირს, "იუვენტუსის" თამაშებზე საშუალო დასწრება 12 000 რომ არის.

გერმანელი ვარ, მაგრამ იტალიური ფეხბურთი ყოველთვის უფრო მეტად მომწონდა. ნერვებს მიშლიდა ის, რომ ყველა კატენაჩოს აკრიტიკებდა. იმ დროს, როცა ფეხბურთის ყურებას ვიწყებდი, თავდასხმაზე მეტად დაცვაზე ზრუნვა და სტანდარტული სიტუაციების დროს კბილებით ბრძოლა ზოგისთვის სასიამოვნო, ზოგისთვის კი უსიამოვნო სიახლე გახლდათ. მე საკუთარი თავი პირველ კატეგორიას მივაკუთვნე. ბევრს ალბათ დღესაც არ სჯერა, კატენაჩოს მოყვარულმა იტალიელებმა მებრძოლ გერმანელებს 1970 წლის მუნდიალის ნახევარფინალში 4:3, ხოლო 1982 წლის მუნდიალის ფინალში კი, 3:1 რომ მოგვიგეს.

მინის ტელევიზორზე "მილანის" შარფი დევს, უფრო სწორად, იდო, რადგან ჩემმა სიმამრმა ცოტა ხნის წინათ ბრტყელეკრანიანი ტელევიზორი შეიძინა და მასზე შარფის დადება შეუძლებელია. ერთ-ერთი უპირველესი სიტყვა, რომელიც ჩემს ქალიშვილ **ლილის** იტალიელმა ბებიამ ასწავლა, "კაკაგოლი" იყო. როცა ჩემი ორივე შვილი, ლილი და **ტრიქსი** სახლში არიან და ამ დროს ტელევიზორში "მილანის" თამაში მიმდინარეობს, ვნატრობ ხოლმე, რომ "როსონერიმ" რაც შეიძლება ცოტა გოლი გაიტანოს. რატომ? როცა **ჯილარდინოს** ან **ინძაგის** გოლი გააქვთ, მინი ჩემს ქალიშვილებს გაგუდვამდე იკრავს ხოლმე გულში. ბავშვები კი ტირილამდე მიდიან და სახე უწითლდებათ.

თუ მინის თანდასწრებით იტყვით, რომ "მილანი" **სილვიო ბერლუსკონის** გუნდია, დიდ შეცდომას დაუშვებთ. ჩემი სიდედრისგან მაშინვე სილას მიიღებთ, რასაც ახსნა-განმარტებაც მოჰყვება: *"ჯერ ერთი, "მილანი" ტრადიციულად მემარცხენეების, მუშების გუნდია - "ინტერი" კი პირიქით, მდიდრებისა და ფულიანების. მაგალითად, დიდი კომუნისტი, ფაუსტო ბერტინოტი "მილანის" გულშემატკივარია და სულაც არ ფიქრობს იმაზე, "როსონერი" მხოლოდ იმის გამო გადაიყვაროს, რომ ამ გუნდის პრეზიდენტი ბერლუსკონი გახდა."*

მინი დაახლოებით ერთსაათიან ლექციას წაგიკითხავთ "მილანის" ისტორიაზე და გეტყვით, რომ 80-იანების ბოლოსა და 90-იანების დასაწყისში, "როსონერიზე" უკეთესი გუნდი არ ყოფილა. ამაყად გეტყვით იმას, რომ **რუუდ გულიტის, მარკო ვან ბასტენისა** და **ფრანკ რიიკაარდის** ჰოლანდიური ტრიო შეუდარებელი იყო. ჩემი სიდედრი აუცილებლად გაიხსენებს 1994 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალსაც, რომელშიც "მილანმა" "ბარსელონა" 4:0 გაანადგურა, თანაც იმ დროს, როცა კატალონიური გრანდის თავკაცი **იოჰან კრუიფი** იყო, კაცი, რომელიც "მილანს" მასხრად იგდებდა. *"კრუიფია თუ ვიღაც უკანალი... მან მიიღო 4 გოლი დასტურად იმისა, რომ "მილანის" მასხრად აგდება არ შეიძლება. შედეგი: ყველაზე დიდი ანგარიში ჩემპიონთა ლიგის ფინალების ისტორიაში!"* - ასე დაასრულებს მინი თავის ლექციას.

ჩემს სიდედრს ბერლუსკონი ესიმპათიურება. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა 2004 წლის 22 თებერვალს "რაის" სპორტულ თოქ-შოუ "დომენიკა სპორტივაში" დარეკა და იქ მყოფნი პირდაპირ ეთერში გალანძღა, ვინც მილანს აძაგებს, ჩემი მტერიაო. ბერლუსკონის პირველი სიტყვები ასეთი იყო: *"მე მგონი, ცოტა ხნის წინათ ჩემზე ლაპარაკობდით..."* მაგრამ მინისთვის ყველაზე საყვარელი და დაუვიწყარია ფრაზა, რომელიც სილვიომ რომის პაპთან აუდიენციაზე იოანე პავლე II-ს უთხრა: *"ჩვენ, ორივე, შესანიშნავ იდეებსა და საქმეს ვემსახურებით, უდიდესი ფასეულობებისთვის ვილწვით - თქვენ ქრისტიანობისთვის, მე კი "მილანისთვის"*. ბერლუსკონის ამ სიტყვებში ზოგმა ძალაუფლება დაინახა, ზოგმა კი შესანიშნავი იუმორი.

რაკი იუმორი ვახსენეთ, ბარემ აქვე გეტყვით, რომ როცა მინი "მილანის" თამაშს უყურებს, სასაცილოდ არასდროს მაქვს საქმე. *"სერია B!"* - მეტყვის ხოლმე სიდედრი და ვხვდები, რომ სათქმელი აღარაფერი მაქვს. გერმანელი ვარ და ცხადია, შემიძლია არგუმენტებით ველაპარაკო და ვეკამათო, მაგრამ უმჯობესია, ასე არ მოვიქცე, რადგან მინისთან კამათი შეუძლებელი და უაზროა. ჯერ ერთი, ჩემს არგუმენტებს არც ისმენს, პირში მეჩრება და ლაპარაკს არ მაცლის. და ასეც არ იყოს, რაც არ უნდა უმტკიცო, ვერაფერს დაუმტკიცებ. მით უმეტეს მაშინ, როცა "მილანზე" ეკამათები. რამდენჯერმე შევეკამათე და მერე თავბედი ვიწყევლე. ისიც მეყოფა, რომ მინი Lo Juventino-ს მიწოდებს. ეს სიტყვა კი, თუკი სწორ ინტერპრეტაციას მივცემ და იგივე კონტექსტში გადმოცემას მოვისურვებ, დაახლოებით ამას ნიშნავს: *"შე შიდსის ვირუსის მატარებელო."*

**გოტფრიდ ლენცი**

ფეხბურთი და ქალები

# ზაარბრიუკენელმა გოგონებმა გუნდისთვის გაიხადეს!

### მათ მალიორკაში დასვენება უნდათ...

"ზაარბრიუკენის" ქალთა საფეხბურთო გუნდი მეორე ბუნდესლიგის სამხრეთ ზონაში თამაშობს. შესაბამისად, იოლი მისახვედრია, რომ ეს გუნდი ფინანსური შესაძლებლობებით მაინცა და მაინც არ გამოირჩევა. მოთამაშეებიც, მეტწილად 18-19 წლის გოგონები არიან, რომლებიც ფეხბურთს ჯერჯერობით მოყვარულების დონეზე თამაშობენ. 2 წელიწადზე მეტია, რაც გოგონები კლუბის შეფებს სთხოვენ, შეკრება მალიორკაში გავიაროთო, მაგრამ გუნდის ბიუჯეტი ამის საშუალებას არ იძლევა. ფაქტია ისიც, რომ იქ ვარჯიშით თავს არ მოიკლავენ.

ჰოდა, გადაწყვიტეს, თვითონ იშოვონ მალიორკაში წასასვლელი ფული. როგორ? ყველაზე იოლი და მოსახერხებელი გზით: გაშიშვლდნენ და ფოტოგრაფის წინ დადგნენ. ე.წ. "ზაარბრიუკენის ქალთა გუნდის სექსუალური კალენდარი" უკვე გამოიცა და თითო 10 ევროდ იყიდება. კლუბის პრეზიდენტი გახარებულია - ამ გზით იმდენი ფული შემოვა, რომ ერთხელ კი არა, ჩვენს გოგონებს რეგულარულად დავასვენებთ ხოლმე სხვადასხვა კურორტებზე და თან სხვა რამეებისთვისაც დაგვრჩება ფულიო...



ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

NBA. ყველა ვარსკვლავი

# ფაჩულია: უკვე 130 000

გამოქვეყნდა NBA-ს "ოლ სტარის" კენჭისყრის მესამე საშუალედო შედეგები. **ზაზა ფაჩულიამ** კიდევ 31 ათასი ხმა მიიღო და ახლა 130 301 ქულა აქვს. აღმოსავლეთი კონფერენციის ცენტრ-ფორვარდებს შორის ზაზას კვლავ მეხუთე ადგილი უჭირავს, თუმცა მეოთხეადგილოსან **ალონზო მოურნინგს** ქართველი მიუახლოვდა. გთავაზობთ კენჭისყრის მესამე საშუალედო შედეგებს აღმოსავლეთი კონფერენციის ცენტრთა შორის: **შაკილ ონილი** (მაიამი) - 1 მლნ 13 ათასი, **დუაიტ ჰოვარდი** (ორლანდო) - 789 ათასი, **ბენ უოლასი** (ჩიკაგო) - 451 ათასი, **ალონზო მოურნინგი** (მაიამი) - 155 ათასი, **ზაზა ფაჩულია** (ატლანტა) - 130 ათასი, **ენდრიუ ბოგუტი** (მილუოკი) - 108 ათასი, **ჟიდრუნას ილგაუსკასი** (კლივლენდი) - 88 ათასი, **ნაზრ მოჰამედი** (დეტროიტი) - 73 ათასი, **ედი კარი** (ნიუ იორკი) - 68 ათასი და **ნენად კრსტიჩი** (ნიუ ჯერსი) - 62 ათასი.

კენჭისყრის დასრულებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა - ინტერნეტით ხმის მიცემა 21 იანვარს შეწყდება. გამარჯვებული ცენტრი "ოლ სტარის" აღმოსავლეთის გუნდის სასტარტო ხუთეულში მოხვდება, კიდევ ერთ ან ორ ცენტრს უკვე მწვრთნელი დაასახელებს. დიდი შანსია, შაკილ ონილმა ვერ მოახერხოს გამოჯანმრთელება, ასე რომ, "ოლ სტარში", სავარაუდოდ, დუაიტ ჰოვარდი ითამაშებს, თუმცა ზაზას სათადარიგოდ მოხვედრის შანსი დაკარგული არ უნდა ჰქონდეს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



## ხმა მიეცით!

ზაზა ფაჩულიას NBA-ს "ყველა ვარსკვლავის" (ALL STAR) შეხვედრაში მონაწილეობის საშუალება ეძლევა.

შედით ვებ-გვერდის (www.nba.com) იმ სექციაში, (http://www.nba.com/allstar2007/asb/eng/ballot.html?from=sweeps) სადაც "ყველა ვარსკვლავის" (ALL STAR) კანდიდატთა სრულ სიას გაეცნობით და მიეცით ხმა.

***იჩქარეთ, საინტერნეტო გამოკითხვა 21 იანვარს დასრულდება. ხმა მიეცით ზაზა ფაჩულიას ყოველდღე, რათა მას მაქსიმალური ხმები დაუგროვდეს.***

ევროლიგა

# სტუმრობა საბერძნეთში

ევროლიგის მეათე ტურში **მანუჩარ მარკოიშვილის** "ოლიმპია" და **ტაირონ ელისის** "ნაპოლი" საბერძნეთს სტუმრობდნენ. ოლიმპიელებმა "პანათინაიკოსთან" წააგეს (74:83), ნეაპოლელებმა "არისთან" - 72:80.

როგორც ელისი, ასევე მარკოიშვილი თანაგუნდელთა შორის ერთ-ერთი საუკეთესონი იყვნენ და კრიტიკულ მომენტებში თავისიანებს სამქულიანებითაც ეხმარებოდნენ, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, შედარებით ძლიერ მასპინძლებთან ბოლო წუთებზე ვერაფერი გააწყვეს.

მანუჩარმა 34 წუთი ითამაშა, 14 ქულა (5-დან 3 სამქულიანი) ჩააგდო 3 მოხსნა და 2 ჩაჭრა მიითვალა. მარკოიშვილის მარგი ქმედების კოეფიციენტი 14 იყო, ელისის მონაგარი კი ასე გამოიყურებოდა: 30 წუთი, 15 ქულა, 2 პასი და 1 ჩაჭრა.

აქვე გთავაზობთ "ოლიმპიისა" და "ნაპოლის" სატურნირო მდგომარეობას. სამი ჯგუფიდან მომდევნო ეტაპზე 5-5 გუნდი და საუკეთესო მეექვსეადგილოსანი გადის.

**ვაჟა სიმონიშვილი**

**10 ტურის შემდეგ. B ჯგუფი.** 1. პანათინაიკოსი (საბ) - 6 მოგება; 2. ხუვენტუდი (ესპ - 6; 3. მაკაბი (ისრ) - 6; 4. ციბონა (ხორ) - 4; 5. პარტიზანი (სერბეთი) - 4 / 6. ლოტომატიკა (იტა) - 4 / 7. უნიკახა (ესპ) - 4; **8. ოლიმპია (სლნ) - 2**

**C ჯგუფი** 1. ცსკა (რუს) - 9; 2. ბარსელონა (ესპ) - 8; 3. ბენეტონი (იტა) - 6; 4. პო ორტეზი (საფ) - 5; 5. არისი (საბ) - 5 / 6. ფენერბაჰჩე (თურ) - 3 / B 8. ჟალგირისი (ლიტ) - 1



## რაგბი



ირაკლი მაჩხანელი და ლევან ლვაბერიძე გრენობლ-ბეზიეს მატჩის შემდეგ

ინტერვიუ ირაკლი მაჩხანელთან

# ბეზიეს 100 წელი და ჩვენი 3 თებერვალი

**ორი თვის წინ ფრანგული სარაგბო კლუბ "ბეზიეს", სადაც საქართველოს ნაკრების გარემარბი ირაკლი მაჩხანელი თამაშობს, ასი წელი შეუსრულდა. ჩვენთვის "ბეზიე" იმითაა გამორჩეული, რომ მასში სხვადასხვა დროს ყველაზე მეტ, შვიდ ქართველ მორაგბეს უთამაშია. კლუბი ამჟერად მისთვის უჩვეულო მდგომარეობაშია - მხოლოდ მეორე დივიზიონის ბინადარია.**

- სეზონი კარგად დავიწყეთ. თუმცა, ბოლო სამი ტურია ერთხელაც ვერ მოვიგეთ - გვიამბობს **ირაკლი მაჩხანელი** - ერთი ფრე და ორი წაგება, ჩვენი გუნდისთვის ძალიან ცუდი შედეგია. პირველ ადგილზე მყოფმა ილია ზედგინიძის "ოშმა" უკვე 13 ქულით გაგვასწრო. ძნელი იქნება ამ დეფიციტის აღმოფხვრა. ყველანაირად ვეცდებით, როგორმე პირველი ადგილი დავიბრუნოთ, თუ არა და, მეორე ადგილი მაინც შევინარჩუნოთ და ფლეი ოფიდან ვეცადოთ ელიტურ პირველ დივიზიონში დაბრუნება.

**- თქვენი კლუბი უკვე საუკუნოვან ისტორიას ითვლის. ასი წლისთავზე ალბათ ბეზიეში დიდი ზარზეიმი გაიმართა.**

- დიახ, "ბეზიე" ასი წლისაა. მაგრამ ისე მოხდა, რომ იმ დღეს გასვლითი მატჩი გვქონდა "გრენობლში". იუბილეს აღნიშვნაც იქ მოგვიხდა. მართალია, შეხვედრა წავაგეთ ლევან ლვაბერიძის გუნდთან 13:33, მაგრამ თამაშის მერე მაინც მოვილხინეთ. ფოტოებიც უხვად გადავიღეთ. თუმცა, ნამდვილი ზეიმი მაშინ გაიმართება, პირველ დივიზიონში როცა დავბრუნდებით.

**- ჩემპიონატის მორიგ ტურში, კვირას, "პოს" ეთამაშებით. ამ გუნდმა ახლახან 10 ნომრის პოზიციაზე მერაბ კვირიკაშვილი მიიწვია...**

- მეკო კვირას ალბათ ვერ თამაშებს რადგან სულ ორი დღეა, რაც გუნდს შეუერთდა. ცხადია, თვით ეს ფაქტი ძალიან სასიხარულოა, რაც მეტი ქართველი ითამაშებს საფრანგეთში მაღალ დონეზე, მით უფრო ძლიერი ეროვნული ნაკრები გვეყოლება. "პოსთან" შეხვედრას რაც შეეხება, შინ ვთამაშობთ და აუცილებლად უნდა მოვიგოთ. ვითამაშებ თუ არა, ჯერ არ ვიცი. თუმცა გაფართოებულ, 24-კაციან შემადგენლობაში ნამდვილად ვარ.

**- საქართველოს ნაკრების მწვრთნელები მალხაზ ჭეიშვილი და დავით ჩავლეიშვილი ამჟამად საფრანგეთში იმყოფებიან სტაჟირებაზე, "კლერმონის" ზელანდიელ მწვრთნელთან. თქვენს რომელიმე თამაშს ხომ არ დასწრებიან?**

- 19 დეკემბერს "ოშთან" ვითამაშეთ სტუმრად და ეს მატჩი ნახეს. 15:22 წავაგეთ, თუმცა, კარგი თამაში გამოვიდა. ჩვენს მწვრთნელებსაც მოეწონათ. 3 თებერვალს რუმინეთში გვაქვს ერთა თასის პირველი შეხვედრა. ფაქტობრივად, ამ მატჩით დაიწყება ჩვენი ნაკრების მზადება მსოფლიო თასისთვის.

**- უკვე მეორე სეზონია, "ბეზიეში" თამაშობ. გუნდის გამოცვლას ხომ არ აპირებ?**

- გადაჭრით თქმა ძნელია, თუმცა, "ბეზიეს" ხელმძღვანელები უკვე აწარმოებენ მოლაპარაკებას ჩემს მენეჯერთან კონტრაქტის გაგრძელების თაობაზე. მე ამ პროცესში ჩარეული არ ვარ, ეს მენეჯერის საქმეა. არჩევანს, ცხადია, მაინც მე გავაკეთებ, ალბათ უახლოეს დღეებში. "ბეზიეში" მინდა დავრჩე, მით უფრო, თუ პირველ დივიზიონში გადავედით. მშვენიერი გუნდია, სრულყოფილი სარაგბო ინფრასტრუქტურითა და მდიდარი ტრადიციებით. სხვა გუნდებიც არიან ჩემით დაინტერესებულნი, მაგრამ მე ყველას "ბეზიე" მირჩევნია.

**ბესიკ ჯანგავაძე**




საორტის ენციკლოპედია

მთელი სპორტი ერთ წიგნში

2500-მდე სტატია. 4000-ზე მეტი ფოტო, ნახატი და ნახაზი.
სპორტის ოლიმპიური, არაოლიმპიური,
ეროვნული, ტექნიკური და ექსტრემალური სახეობები.
ისტორია, წესები, მთავარი შეჯიბრებები, სტატისტიკა.
1000-მდე ქართველი და უცხოელი სპორტსმენის დოსიე.
სპორტულ ტერმინთა განმარტებები.
ინფორმაცია უმთავრეს საერთაშორისო შეჯიბრებებზე,
სპორტულ ორგანიზაციებზე, უძლიერეს სპორტულ კლუბებზე.
უნიკალური ფოტოები და დიდძალი სტატისტიკური მასალა.
რეკორდები. ათასი სხვა რამ

ფერადი, უმაღლესი პოლიგრაფიული ხარისხი,
704 გვერდი, დიდი ფორმატი.

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში: "წიგნის სახლი" (გამსახურდიას 31); "სამშობლო" (ყაზბეგის 4); "ლიბრა" (კერესელიძის 12, "მეგალაინი"); "სანტა ესპერანსა" (სანქტ-პეტერბურგის 12); "მერანი" (რუსთაველის 42); "აისი" (ალმაშენებლის 89); "საუნჯე" (რუსთაველის 28).

უნაღდო ანგარიშსწორებით შესაძენად დარეკეთ: 99 08 22; 99 94 09; 877 488844


## ლელოს რედაქციას!

"სამედიცინო ცენტრ თემურ შენგელიას" თანამშრომლებმა დიდი სიხარულით შევიტყვეთ "ლელოს" აღორძინება-განახლების ამბავი. პარასკევს, 5 იანვარს, კვირის შემაჯამებელი თათბირი გვქონდა. თანამშრომელთა უმრავლესობას ხელში "ლელო" ეჭირა. თქვენ წარმოიდგინეთ, თათბირი თქვენი გაზეთის ხელახლა დაბადების გამო ურთიერთმილოცვით დაიწყო. და იქვე, გაჩნდა წინადადება, რასაც მთელმა კოლექტივმა მხარი ერთხმად დაუჭირა.

მაქვს პატივი, გაცნობოთ, რომ ჩვენი ცენტრის თანამშრომელთა გადაწყვეტილებით, ამიერიდან, "ლელოს" ყველა თანამშრომელს ჩვენი პოლიკლინიკა მოემსახურება უფასოდ და ეს იქნება ჩვენი ერთგვარი მოკრძალებული წვლილი და თანადგომა იმ დიდ საერო საქმეში, რასაც თქვენ ემსახურებით.

დიდი მადლობა თქვენ და ყველას, ვინც "ლელო" ღირსეულად დაგვიბრუნა.

**თემურ შენგელია,**
ცენტრის დირექტორი

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელბურთი

ევრო 2008. ხვალ. 15:30. საქართველო-ლატვია

# დავამტკიცოთ, რომ მოგება შეგვიძლია!

გუშინ გამთენიისას ლატვიიდან დაბრუნდა საქართველოს ხელბურთელთა ნაკრები, რომელმაც ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი ბალტიისპირელებთან მარცხით (20:38) გახსნა. საქართველო-ლატვიის საპასუხო შეხვედრა ხვალ სპორტის სასახლეში გაიმართება. უკვე ჩატარებულ და მომავალ მატჩებზე ნაკრების მთავარი მწვრთნელი მერაბ მეტრეველი გვესაუბრება.

**- ლატვიური თამაშის ზოგადი შეფასებით დავიწყოთ.**

- საქართველოს ნაკრებმა ორგანიზაციულად გაუმართავი თამაში უჩვენა. ჩვენი წინასწარი მონახაზის შესრულება ვერ შევძელით, რამაც დიდი სხვაობით მარცხი გამოიწვია. მეტოქეზე ვერ ვიტყვი, რომ ძალიან ძლიერი იყო და სასწაული უნდა მომხდარიყო, რომ დაგვემარცხებინა.

**- არაორგანიზებულობა ალბათ შეუთამაშებლობის ბრალი იყო...**

- სწორედ ეს გახლდათ ჩვენი მთავარი პრობლემა. ხელბურთელთა უმეტესობა ოფიციალურ მატჩებში ერთმანეთის გვერდით პირველად თამაშობდა. ამასთან, რამდენიმე წამყვანი სპორტსმენი ტრავმირებულია და გვაკლდა ლიდერი, რომელიც თამაშს საკუთარ თავზე აიღებდა და თანაგუნდელებსაც აიყოლიებდა. ისეთ მატჩში, როგორიც ლატვიაში გვქონდა, ლიდერი აუცილებელი იყო...

**- შეთამაშებისთვის აუცილებელი საკონტროლო მატჩებია...**

- ლატვიაში ისე ჩავედით, რომ ერთი ამხანაგური შეხვედრაც არ გაგვიმართავს, მხოლოდ ტექნიკური უნივერსიტეტის ცივ დარბაზში ვვარჯიშობდით. გვქონდა წინასწარი შეთანხმება აზერბაიჯანის ნაკრებთან, მაგრამ ბოლოს გაირკვა, რომ ლეგიონერების ჩამოყვანას ვერ ახერხებდნენ. იყო თურქეთის ნაკრებთან გაჯიბრების ვარიანტიც, მაგრამ მათ გეგმები შეეცვალათ და ჩვენთან სათამაშოდ ვერ მოიცალეს. ლატვიის ნაკრებმა კი ოფიციალურ მატჩებამდე შინ ოთხგუნდიანი ტურნირი მოაწყო - ლიტვას, ლუქსემბურგსა და მოლდოვას ეთამაშა.

**- როგორ ფიქრობთ, თქვენთვის სასურველი თამაშის საჩვენებლად გუნდს რა დრო სჭირდება?**

- ზუსტ დროზე საუბარი ძნელია, მაგრამ ნაკრების შემადგენლობა ახალგაზრდულია და მთავარი ამოცანა მომდევნო ტურნირისთვის გუნდის ბოლომდე გამართვაა. ევროპის ჩემპიონატის შემდეგი შესარჩევი ტურნირი სწორედ ისეთი ფორმატით გაიმართება, როგორიც ფეხბურთშია და მისთვის სათანადოდ უნდა მოვემზადოთ. სადღეისოდ ნაკრებში რამდენიმე ვეტერანი ხელბურთელია, რომლებიც პერსპექტიულ ახალგაზრდებს გამოცდილებას გაუზიარებენ.

**- ლატვიასთან საშინაო მატჩისთვის ვინმეს ხომ არ დაიმატებთ?**

- ქართული კლუბებიდან მოთამაშეთა დამატებას ლატვიური მატჩის შედეგის მიუხედავადაც ვაპირებდით. ალბათ, ერთი-ორი ხელბურთელი გამოიცვლება. გარი თურქიას ჩამოსვლის საკითხიც საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი.

**- ის ხომ საბერძნეთის ნაკრებში ვერ მოხვდა...**

- მისი საქართველოში ჩამოსვლის შესახებ ბერძნებს გუშინაც ვესაუბრეთ და დღესაც ვურეკავთ. სიტყვიერი თანხმობა მიღებული გვაქვს და ახლა წერილობით დასტურს ველით. თუ წერილი ლატვიასთან მატჩამდე მივიღეთ, თურქიას დახმარების იმედიც უნდა გვქონდეს.

**- სერგო დათუკიშვილმა ტრავმა ხომ არ მოიშუშა?**

- იგი შვედეთიდან თბილისში ხვალ ჩამოფრინდება. მართალია, ტრავმირებულია და ლატვიის წინააღმდეგ ვერ ითამაშებს, მაგრამ უნდა, რომ გუნდის გვერდით იდგეს. დათუკიშვილი სერიოზული ხელბურთელი და ადამიანია, ნამდვილი ლიდერია და ვიმედოვნებთ, რომ ტურნირის ბოლო მატჩებამდე მომჯობინდება. რადგან ტრავმირებულთა თემას შევეხეთ, აქვე გეტყვით, რომ ნაკრებში მხოლოდ სამი სრულიად ჯანმრთელი ხელბურთელია. ლატვიაში რატი მსხვილიძემ ტრავმირებული ფეხით ითამაშა.

**- 7 იანვრის მატჩის წინ ქომაგს რას ჰპირდებით?**

- რეალისტი ვარ და კარგად ვიცი, რაოდენ რთულია დიდი სხვაობით წაგების შემდეგ მოთამაშეთა ხასიათის გამოსწორება. მაგრამ ბიჭები საბრძოლველად მზად არიან. გვინდა, ქართველ ქომაგს დავანახვოთ, რომ ასეთი სხვაობით შემთხვევით დავმარცხდით. ჩვენი პროგრამა-მინიმუმი გამარჯვებაა, ეს კი რეალური მიზანია. ამ საქმეში ჩვენი გულშემატკივრის იმედიც გვაქვს. მჯერა, რომ დარბაზში მოსვლას არავინ ინანებს.





ნაკრების ძირითადი მეკარე შოთა თევზაძე და ბომბარდირი ვლადიმერ რუსია

ნუგზარ სუარიძის ფოტოები

| ევრო 2008 | |
|---|---|
| შესარჩევი ტურნირი | |
| ლატვია-საქართველო | 38:20 |
| რუმინეთი-ბულგარეთი | 38:24 |

**7 იანვარი. 15:30**

**საქართველო-ლატვია**

მსაჯები: გერჰარდ რაიზინგერი, ქრისტიან კაშუცი (ავსტრია);
დელეგატი: მუსტაფა ბალაკი (თურქეთი)

**7 იანვარი**
ბულგარეთი-რუმინეთი

**10 იანვარი**
ბულგარეთი-ლატვია

**12 იანვარი**
საქართველო-რუმინეთი

**14 იანვარი**
რუმინეთი-საქართველო
ლატვია-ბულგარეთი

**17 იანვარი**
ლატვია - რუმინეთი
საქართველო-ბულგარეთი

**21 იანვარი**
ბულგარეთი-საქართველო

**- მეორე ადგილზე გასვლასა და ფლეი ოფში მოხვედრის შანსებზე რას იტყვით?**

- შანსი მცირეა, მაგრამ მაინც არის. პირველი საფეხური შინ ლატვიელების ძლევა უნდა იყოს, შემდეგ ყველა საშინაო შეხვედრა ჩვენს სასარგებლოდ დავასრულოთ და ბულგარეთში გავიმარჯვოთ. ეს გუნდი რუმინეთმა იოლად დაამარცხა, რაც ნამდვილად მოსალოდნელი იყო. მოკლედ, ბევრს საქართველო-ლატვიის კვირის მატჩი გადაწყვეტს.

**ვაჟა სიმონიშვილი**



მერაბ მეტრეველი

სუმო



კოკაი (მარჯვნივ) ტურნირისწინა შეკრებაზე

# იოლი დასაწყისი

ხვალ ტოკიოში იწყება წლის პირველი ბაშო, რომელზეც ქართველი სუმოისტი **ლევან ცაგურია (კოკაი)** დასავლეთის მეხუთე მაეგაშირას რანგით იჭიდავებს. კოკაიმ ნოემბრის ბაშოზე წარუმატებელი ასპარეზობის გამო (3-12) დაკარგა კომუსუბის ტიტული, რომელიც მას სულ ორი ტურნირის განმავლობაში ჰქონდა.

ზუსტად ორი წელია, რაც კოკაის დებიუტი შედგა ელიტაში. მას შემდეგ მან უმაღლეს, მაკუუჩი დივიზიონში 134 ორთაბრძოლა მოიგო და 136 დათმო. იანვრის ბაშოს თითქოს ოძეკი **ტოჩიაძუმა** ტოვებდა, თუმცა 30 წლის რიკიშმა მარცხენა მუხლის ოპერაციის შემდეგ გამოჯანმრთელება მოასწრო. ტურნირის პირველ დღეს კოკაი აღმოსავლეთის მეხუთე მაეგაშირა **ტაკამისაკარის** ხვდება. ელიტაში ეს ორი ფალავანი ცხრაჯერ შეხვედრია ერთმანეთს (6:3 კოკაის სასარგებლოდ). მეორე დღეს კოკაის მეტოქე მეექვსე მაეგაშირა **ტოჩინონადაა** (3:5 ურთიერთშეხვედრებში).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**ნაცუ ბაშო**

7-21 იანვარი. ტოკიო

| ალმოსავლეთი | | დასავლეთი |
|---|---|---|
| ასაშორიუ | იოკოძუნა | - |
| კოტოოშუ | ოძეკი | ტოჩიაძუმა |
| კაიო | ოძეკი | ჩიოტაიკაი |
| - | ოძეკი | ჰაკუჰო |
| კოტომიცუკი | სეკივაკე | მიაბიამა |
| კისენოსატო | კომუსუბი | როხო |
| კოტოშოგიკუ | მაეგაშირა 1 | დეჯიმა |
| ტოკიტენკუ | მ 2 | ამინიშიკი |
| კიოკუტენჰო | მ 3 | ბარუტო |
| ამა | მ 4 | ჰომაშო |
| ტაკამისაკარი | მ 5 | კოკაი |
| ასასეკირიუ | მ 6 | ტოჩინონადა |
| კასუგაო | მ 7 | ფუტენო |
| კაკურიუ | მ 8 | ტაკეკაძე |
| კაკიძოე | მ 9 | ტოიონოშიმა |
| ივაკიამა | მ 10 | ჯუმონჯი |
| ტამაკასუგა | მ 11 | ტოჩინოჰანა |
| ტოიოძაკურა | მ 12 | ტოკიცუუმი |
| კასუგანიშიკი | მ 13 | იოშიკაძე |
| ტამანოშიმა | მ 14 | ჰაკუროძანი |
| ასოფუჯი | მ 15 | უშიომარუ |
| ტოსანოუმი | მ 16 | ოცუკასა |

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კრივი

ინტერვიუ ავთანდილ შოშიაშვილთან

# გორელები პეკინისთვის

**ქართლი და კერძოდ, გორი კვლავ რჩება ქართული კრივის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერად. 2006 წლის შესაფასებლად და სამომავლო გეგმებზე სასაუბროდ, შიდა ქართლის კრივის ფედერაციის პრეზიდენტს ავთანდილ შოშიაშვილს ვეწვიეთ.**

- 2006 წლის შესანიშნავმა დასაწყისმა ჩვენი სპორტსმენების შესაძლებლობებში კიდევ ერთხელ დამარწმუნა. სიმართლე რომ ვთქვა, საქართველოს ჩემპიონატზე ოთხ გამარჯვებულს არ ველოდი, თუმცა ვერავინ იტყვის, რომ რომელიმე მათგანი დაუმსახურებლად გახდა ჩემპიონი..

ბექა ლობჟანიძე დიდი ხანია თითქმის უკონკურენტოა თავის წონაში, რეზო ქარელიშვილი ამ გამარჯვების შემდეგ ნაკრებში პირველ ნომრად დააყენეს თავის წონაში, ვასილ ყაზიშვილისაგან მედალი არასოდესაა მოულოდნელი, ვახტანგ წინამძღვრიშვილი (52კგ) კი უდავოდ წლევანდელი წლის აღმოჩენა გახლდათ. ეს საქართველოს ჩემპიონატის წინაც ვივარაუდე და მერე ნაკრების თავკაცებმაც არაერთხელ აღნიშნეს მისი დიდი პერსპექტივა. თანაც, 15 წლის წინამძღვრიშვილმა უფროს ასაკში მოგებულ ამ ჩემპიონატს, შემდეგ კადეტებსა და ჭაბუკთა პირველობებზე გამარჯვებებიც მოაყოლა. დასანანი იყო სტამბულში გამართულ კადეტთა მსოფლიო პირველობაზე ხელისმოცარვა, მაგრამ ის წარუმატებლობა, მე ვფიქრობ, გამოუცდელობის ბრალი იყო. არაერთხელ აღმინიშნავს, რომ ჩვენს სპორტსმენებს ბრძოლები აკლიათ, განსაკუთრებით - საერთაშორისო არენაზე. ამ მიზეზით ბევრი დაკარგა ჩვენი სკოლის და ქვეყნის ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა ბექა ლობჟანიძემაც. ახლახან ერევანში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე ბექამ III ადგილი ადგილი დაიკავა და შეჯიბრების შემდეგ მითხრა კიდეც, პირველი ბრძოლისას რინგზე რომ ავედი, მეგონა ახალა ვიწყებ კრივში ვარჯიშსო - ექვსი თვე საბრძოლო გამოცდილება არ ჰქონია.

**- ლობჟანიძე და საქართველოს ნაკრების კიდევ სამი წევრი შარშან უცხოეთში აპირებდნენ გადასვლას. ეს საქმე საბოლოოდ მოგვარდა?**

- დიახ, ლობჟანიძე წელსაც ჩვენთან იქნება. 2007 წლის შემოდგომით ისიც იბრძოლებს მსოფლიოს ჩემპიონატზე პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიის მოსაპოვებლად, მანამდე კი მისი მძიმე წონაში გადაყვანას ვგეგმავთ. ახლა სხვა ყველაფერთან ერთად ბექა წონის მომატებაზეც მუშაობს.

**- ლიცენზიებს თუ ელით თქვენი მოკრივეებისგან?**

- საამისოდ კარგი შანსები აქვთ ყაზიშვილს, წინამძღვრიშვილს, ლობჟანიძესა და ქარელიშვილს. თუ კარგად მოემზადა, ვამეხ ტერაშვილსაც არანაკლები შესაძლებლობა ექნება.

**- ქართლში, ფაქტობრივად ორი სკოლა მუშაობს - გორსა და ვარიანში...**

- ორი-სამი თვის წინ კასპსა და ქარელში გამოჩნდნენ მსურველები. მეც მყისვე დახმარება აღვუთქვი, უპირველეს ყოვლისა ინვენტარით, სურვილის შემთხვევაში შემეძლო, მომენახა მათთვის კვალიფიციური მწვრთნელიც, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, რაიონული ხელისუფლებები სათანადოდ არ დაინტერესდნენ და ყველაფერი იქვე დასრულდა. ამგვარივე მიზეზით ერთი წლის წინ ხაშურში ვერ დაიძრა საქმე ადგილიდან.

**- არც თქვენი სკოლას აქვს დიდი დაფინანსება...**

- გორის კრივის სკოლა ბიუჯეტზეა. ვფინანსდებით დაახლოებით იმდენით, რაც ერთი ევროპული ტურნესთვის თუ იქნება საკმარისი. ამიტომ, მიუხედავად მიწვევებისა, ჩვენი საშეჯიბრო მარშრუტი ძირითადად კავკასიის ქვეყნებით და თურქეთით შემოიფარგლება. ეს ცუდად მოქმედებს შედეგებზე.



ავთანდილ შოშიაშვილი

**- ბოლო ხანებში კრივის შესწავლის მსურველთა ნაკადმა იკლო თუ იმატა?**

- შესამჩნევი ცვლილება არაა, თუმცა სოფლებიდან იმატა ჩვენთან მომსვლელთა რაოდენობამ. საერთოდ, ხალხის გაჭირვება კრივზეც აისახება. როგორ გგონიათ, ბევრი მოახერხებს მოკრივის სრული აღჭურვილობის შეძენას? ამასწინათ საქართველოს კრივის ფედერაციამ გადმოგვცა ხელთათმანები და სხვა ინვენტარი. რასაკვირველია, მადლობელები ვართ, მაგრამ ეს ყველასთვის საკმარისი არაა. მაგალითად, ვახტანგ წინამძღვრიშვილი, ახლახან ბაქოდან გამარჯვებული რომ დაგვიბრუნდა, ჩვენ გადავეცით ჩაფხუტი, ხელთათმანი, ტანისამოსი. არადა, ეს ეს ბიჭი ნაკრების წევრია და ყველაფერი ისედაც უნდა ჰქონდეს.

ასეა თუ ისე, გორის კრივის სკოლა საქმეს მაინც აკეთებს და თავის სიტყვასაც იტყვის. ტალანტები არ გვაკლია და უკეთესი შედეგის იმედიც გვაქვს.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

## ჭადრაკი

### მათნაძე ქალებში პირველია

ბარსელონაში დასრულდა ილეს მიედას სახელობის საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ორი ქართველი დიდოსტატი, **ანა მათნაძე** და **დავით შენგელია** მონაწილეობდა. შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად ჩატარებულ შეჯიბრში პირველობა პოლონელ **მათეუშ ბარტელს** (2569) ერგო 7.5 ქულით, მეორეზე ჩილელი **ხავიერ მორენო** (2446) გავიდა - 7, მესამეზე ამდენივეთი აზერბაიჯანელი **აზერ მირზოევია** (2543). სამწუხაროდ, **დავით შენგელიამ** შესაძლებლობები სრულად ვერ გამოავლინა და მხოლოდ 6 ქულით დაასრულა ასპარეზობა. დავითი განთესვით მეთერთმეტე იყო, 6 ქულა კი მეთექვსმეტე ადგილისთვის გახდა საკმარისი. 6 ქულით დაასრულა ტურნირი მათნაძემაც, მაგრამ კაცისგან განსხვავებით, ანასთვის ასეთი მარაგი წარმატების მანიშნებელია. მათნაძეს კოეფიციენტით მეცხრამეტე ადგილი ერგო, ქალთა შრის კი შორის საუკეთესო შედეგი აჩვენა. საპრიზო ფონდიდან ქართველთა წილი 250 ევრო გახდა.



ანა მათნაძე

### კერესის მემორიალზე

დღეს ესტონეთში იწყება უდიდესი ესტონელი მოჭადრაკის, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონის, **პაულ კერესის** ტრადიციული მემორიალი. ორგანიზატორებმა ტალინში **მაკა ფურცელაძე** და **მალხაზ სულაშვილი** მიიწვიეს. მაკა ქალთა შორის ითამაშებს (ამ ტურნირს პირობითად C ჯგუფი ჰქვია), მალხაზი კი - B ჯგუფში.

ძირითადი ტურნირისთვის სულაშვილს რეიტინგი არ ჰყოფნის, რადგან A ჯგუფში 2476 და მეტი რეიტინგის მქონე მოჭადრაკეებს აქვთ თამაშის უფლება, B ჯგუფში კი 2385-დან 2476-მდე, სულაშვილის დღევანდელი მაჩვენებელი კი 2455 ქულაა. ყოველ ჯგუფში 10 მოჭადრაკეა და ერთმანეთს წრიული სისტემით გაეჯიბრება. ტურნირი 12 იანვარს დასრულდება, ამიტომ მონაწილეებს ორჯერ, 7 და 10 იანვარს, დღეში ორი ტურის თამაში მოუწევთ.

ასეთ ტურნირებში მოჭადრაკეს დიდი შანსი ეძლევა დიდოსტატის ნორმის შესასრულებლად. B ჯგუფში ნორმა 7 ქულაა და საერთაშორისო ოსტატი სულაშვილი ამისთვის იბრძოლებს. ფურცელაძე ქალთა შორის დიდოსტატიც გახლავთ და მომდევნო წოდებაც აქვს - კაცთა საერთაშორისო ოსტატია, მაგრამ კაცთა დიდოსტატობის შესრულებაზე ფიქრიც შესაძლებელია - თუკი ფენომენალურ შედეგს აჩვენებს - ცხრიდან 9 ქულას დააგროვებს.



მაკა ფურცელაძე

შეგახსენებთ, მაკამ ქალთა დიდოსტატობაც და კაცთა საერთაშორისო ოსტატობაც 2005 წელს, კიშინიოვში, ევროპის ქალთა ჩემპიონატში ბრწყინვალე თამაშისთვის ერთდროულად მიიღო. არადა, მაშინ ქალთა საერთაშორისო ოსტატიც არ ყოფილა...

### ბოლო ტურის წინ

ინგლისურ ჰასტინგსში, საჭადრაკო ფესტივალის ბოლოსწინა ტურში **მერაბ გაგუნაშვილი** შავებით **ვიაჩესლავ იკონიკოვს** დაუზავდა, რითაც ერთპიროვნული ლიდერობა შეინარჩუნა, რადგან მისი სამივე მდევარი ნახევარი ქულით დაკმაყოფილდა. მერაბს ბოლო ტურის წინ 6,5 ქულა აქვს, ბოლო ტურში მისი მეტოქეა ინგლისელი **ნიკოლას პერტი** (6).

### გრან პრი გიბრალტარში გაიხსნება

გიბრალტარში 23 იანვარს დაიწყება გიბტელეკომის საჭადრაკო ფესტივალი. ეს ტურნირი "მონროის" ქალთა "გრან პრის" სერიის პირველი ევროპული შეჯიბრია, ფინალური ტურნირი კი ივლისში, კანადურ მონრეალში გაიმართება. გიბრალტარში ორი ქართველი დიდოსტატი ქალი ითამაშებს - **ქეთევან არახამია-გრანტი** და **ნანა ძაგნიძე**.

**ზვიად შათირიშვილი**
**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ალექსანდრე ბოკუჩავას მემორიალი

# პირველად იყო საქმე

ალექსანდრე ბოკუჩავა თავისი თაობის თვალსაჩინო მოჭადრაკე გახლდათ - ნიჭიერებით გამორჩეული, თუმცა, როგორც დრომ აჩვენა, შესაძლებლობების სრულად წარმოჩენა ვერ შეძლო. ჭადრაკს მაინც ვერ ჩამოშორდა და მწვრთნელობას მიჰყო ხელი - ბევრი ნიჭიერი გოგო-ბიჭი აზიარა ჭადრაკის საიდუმლოს და გზაც დაულოცა, ამიტომაც მიანიჭეს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება. კიდევ ბევრის შემძლე იყო ადამიანობით და კაცთმოყვარეობით გამორჩეული მოჭადრაკე, მაგრამ უკურნებელმა სენმა არ აცალა. 2005 წელი ბოლო აღმოჩნდა ალექსანდრე ბოკუჩავას ცხოვრებაში...

სასიამოვნოა, რომ კოლეგას არ ივიწყებენ. დეკემბრის ბოლოს, ბოკუჩავას დაბადების დღეზე მოეწყო ბლიც-ტურნირი. იდეის ავტორი საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი **თამარ ხმიადაშვილი** გახლავთ. ქალბატონი თამარი ბოკუჩავას სიყმაწვილის მეგობარია, ეს ტურნირიც მის ხსოვნას მიუძღვნა და საპრიზო ფონდიც თავად დააწესა. ტურნირში თითქმის ყველა უძლიერესმა ქართველმა მოჭადრაკემ ითამაშა.

განსაკუთრებით ძლიერი შემადგენლობა ქალთა შორის შეიკრიბა: **ნინო ხურციძე, ნანა ძაგნიძე, სოფიო გვეტაძე, მაკა ფურცელაძე, ინგა ხურცილავა, დიანა დარჩია, სოფიკო ტერელაძე, სოფიკო ნიკოლაძე, სოფიკო ხუხაშვილი, სოფიკო გურამიშვილი, სალომე და ანა ხაჟომიები, ანა გავაშელი, თამარ წერეთელი.**

კაცებშიც არნაკლები შემადგენლობა შეიკრიბა: **ლევან ფანცულაია, მიხეილ მჭედლიშვილი, კონსტანტინე შანავა, თორნიკე სანიკიძე, გიორგი მარგველაშვილი, ბაჩანა მორჩიაშვილი, ლევან ბრეგაძე, დავით ზარქუა, ზურაბ მიქაძე, ვაჟა შუბლაძე**... ეს ორი უკანასკნელი ბოკუჩავას თანამედროვე მოჭადრაკე და მისი მეგობარი იყო.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში 45 მონაწილე შეგროვდა. ტურნირი შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად ჩატარდა, დროის ხუთწუთიანი კონტროლით. ქალებში პირველ-მეორეზე **ინგა ჭარხალაშვილმა** და **ნანა ძაგნიძე** გავიდნენ - 6-6 ქულით, მაგრამ კოეფიციენტი უკეთესი ჭარხალაშვილს აღმოაჩნდა და გამარჯვებაც მას ერგო. კაცებში 8 ქულით უძლიერესი **ლევან ფანცულაია** გახდა; მეორე-მესამე ადგილზე 7-7 ქულით **კონსტანტინე შანავა** და **მიხეილ მჭედლიშვილი** გავიდნენ, კოეფიციენტი უკეთესი შანავას აღმოაჩნდა.

თამარ ხმიადაშვილი დაგვპირდა, რომ ტურნირს ტრადიციულად აქცევს და ამ საქმეში ხელისშეწყობასაც ელის. გარდა კერძო ინიციატივისა, ხმიადაშვილს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის სტატუსიც აიმედებს და იმედი აქვს, რომ უფრო სოლიდურ საპრიზო ფონდს შეაგროვებს.

ძალიან გვსურდა, ქალბატონი თამარი ახალ ამპლუაში "დაგვეკითხა" - ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტად ის ხომ ახლახან აირჩიეს, მაგრამ დიდოსტატმა კომენტარი არ ისურვა: ჯერ საქმე იყოს და სალაპარაკო მერე გამოჩნდებაო...

**ზვიად შათირიშვილი**

საქართველოს ფარიკაობის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს მელბურნის ოლიმპიადის მონაწილეს, ვეტერან მოფარიკავეს რევაზ ცირეკიძეს, შვილის, ვეტერანი მოფარიკავის, სპორტის ოსტატ

**რევაზ ცირეკიძის**

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი სამძიმარს უცხადებს მელბურნის ოლიმპიადის მონაწილეს, ვეტერან მოფარიკავეს რევაზ ცირეკიძეს, შვილის, ვეტერანი მოფარიკავის, სპორტის ოსტატ

**რევაზ ცირეკიძის**

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს ვეტერანი მოცურავეები და კოლეგები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი

**ალექსანდრე (ალიოშა) სულავა**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ბრაიანტის შოუ გრძელდება



ბრაიანტს სამი კაციც ვერ აჩერებდა

"საკრამენტოში" **ერიკ მუსელმანისა** და **რონ არტესტის** გადასვლით, ამ გუნდის მფლობელებმა, მილიარდერმა ძმებმა **მალუფებმა** ამოისუნთქეს - **რიკ ადელმანის** უსისტემო თამაშს ძალიან ძლიერი და კარგი შედეგის მომტანი სუპერდაცვა შეცვლისო. მუსელმანი სერიოზული მწვრთნელია, რომელიც ჯერ კიდევ კოლეჯის დონეზე მუშაობისას გამოირჩეოდა დაცვითი სქემების მრავალფეროვნებით. არტესტს კი, ამ მხრივ არანაირი რეკლამა არ სჭირდება. "მშიერი ძაღლი" (რონის მეტსახელი) **ბენ უოლასის** შემდეგ, ბოლო 5-6 წლის განმავლობაში ლიგის საუკეთესო დამცველია, რომელიც ინდივიდუალური მეურვეობისას და გუნდური დაცვისას თავს ერთნაირად კომფორტულად გრძნობს.

რეგულარულის დაწყებიდან თითქმის ნახევარია გასული, "კინგზის" დაცვა კი ლიგაში ჯერაც ერთ-ერთ ყველაზე დაულაგებლად რჩება. კალიფორნიელები ძირითად აქცენტს ჯერაც ზესწრაფ შეტევაზე აკეთებენ, ხოლო დაცვაში კი, იმავე არტესტისა და რიგ მატჩებში, **კორლის უილიამსონის** გარდა, პროგრესს არავინ განიცდის.

რაც შეეხება "ლეიკერსს", ამ შემადგენლობიდან გამომდინარე, ეს გუნდი მართლაც რომ ამ ჩემპიონატის მთავარი აღმოჩენაა. მართალია, **ფილ ჯექსონს კობი ბრაიანტი** ჰყავს და როდესაც ჯანმრთელია, **ლამარ ოდომიც** სოლიდურად გამოიყურება, მაგრამ სხვა მხრივ "ლეიკერსს" სხვაზე უკეთესი შემადგენლობა ნამდვილად არ გააჩნია. ახალგაზრდები **უილ ბინუმი, რონი ტურიაფი** და **ჯორდან ფარმარი** მატჩიდან მატჩამდე უმატებენ და თუ "ლეიკერსი" სადღეისოდ აღებულ ტემპს შეინარჩუნებს, მაშინ ფილ ჯექსონს ულაპარაკოდ უნდა მიანიჭონ რეგულარულის საუკეთესო მწვრთნელის ტიტული.

ბრაიანტმა ძალიან მძიმედ დაიწყო მატჩი და საწყის 16 წუთში მის ანგარიშზე ერთი ქულაც კი არ იყო. მერე და მერე კი კობი თამაშის ეშხში შევიდა, ქულებიც ძველებურად აკრიფა და საბოლოოდ, სამმაგ დუბლამდე ერთადერთი შედეგიანი გადაცემა დააკლდა.

"საკრამენტო" მესამე მეოთხედის დასაწყისში 21 ქულას აგებდა, თუმცა **მაიკ ბიბისა** (ამ მეოთხედში 11 ქულა და 4 პასი დააგროვა) და რონ არტესტის აქტიურობით, "მეფეებმა" ნელ-ნელა მინიმუმამდე დაიყვანეს ჩამორჩენა, ძირითადის ბოლო წუთზე კი წინ გავიდნენ.

მასპინძლებს მატჩი ოვერტაიმის გარეშე თავის სასარგებლოდ უნდა დაესრულებინათ, მაგრამ ბოლო წამებზე ჯერ ბიბიმ, მერე კი **კევინ მარტინმა** ორი საჯარიმო სროლა გააფუჭეს და ძირითადის დასრულებამდე 4.7 წამით ადრე "ლეიკერსს" ანგარიშის გასათანაბრებლად ერთი ზუსტი ორქულიანიც ყოფნიდა.

"ლეიკერსმა" წუთშესვენება აიღო, ხოლო თამაშის განახლებისთანავე **ვლადიმირ რადმანოვიჩმა** ბურთი ბრაიანტს შეაჩეჩა ხელში. კობიზე ეგრევე ორი მეურვე მივიდა, შუიდან "საკრამენტომ" დიდი დერეფანი გახსნა, სადაც ბრაიანტის ზუსტი პასით **სმაშ პარკერი** შევარდა და საფინალო სირენასთან ერთად შეხვედრა დამატებით დროში გადაიყვანა.

დამატებით დროში კი ბრაიანტმა მარტომ მოუგო "საკრამენტოს". კობის ანგარიშზე ამ დროში 9 ქულა და 3 მოხსნა იყო, "ლეიკერსმა" კი მატჩი ორი მთავარი მაღალის - ოდომისა და **კვამე ბრაუნის** გარეშე ჩაატარა. რაც შეეხება "საკრამენტოს", მასპინძლებს არ ჰყოლიათ **ბრედ მილერი**, რომელსაც მუცლის არეში ტკივილის გამო, მუსელმანმა დასვენება ურჩია.

*"კობი დღესდღეობით მსოფლიოში უძლიერესია. მისი შეჩერება შეუძლებელია, თუმცა მიუხედავად ამისა, დღევანდელი მატჩის მოგება თავისუფლად შეგვეძლო"*, - განაცხადა ნამატჩევს მუსელმანმა, რომლის გუნდმაც 58 საჯარიმოდან 43 ზუსტად შეასრულა.

**ზურაბ თალაკვაძე**

**ნ. ორლეანი-დეტროიტი 68:92**

19:31, 13:27, 23:17, 13:17

**ნიუ ორლეანი:** პარგო (16 ქ.. 8 მ. 6 პ. 3 ჩ), მეისონი (15 ქ. 5 მ), დევინ ბრაუნი (14 ქ. 8 მ), ჩენდლერი (3 ქ. 16 მ).

**დეტროიტი:** რ. ჰამილტონი (27 ქ. 5 მ. 5 პ), პრინსი (15 ქ. 10 მ), დელფინო (13 ქ. 5 მ), მაქსიელი (12 ქ. 2 ჩ), მაკდაიესი (10 ქ. 6 მ. 2 ჩ), რ. უოლასი (2 ქ. 10 მ).

**დალასი-ინდიანა 100:91**

19:24, 26:23, 27:26, 28:18

**დალასი:** ჯოშ ჰოვარდი (25 ქ. 11 მ. 2 ჩ), დ. ჰარისი (24 ქ. 5 პ), ნოვიცკი (20 ქ. 7 მ), ჯორჯი (13 ქ. 4 ჩ).

**ინდიანა:** ელ ჰარინგტონი (24 ქ. 11 მ. 2 ჩ), ჯ. ონილი (20 ქ. 16 მ. 5 პ. 5 დ), ტინსლი (12 ქ. 6 პ), მ. დენიელსი (10 ქ), ფოსტერი (8 ქ. 12 მ).

**საკრამენ.-ლეიკერსი 128:131 (ო)**

18:33, 40:41, 25:16, 34:27, 11:14

**საკრამენტო:** ბიბი (38 ქ. 7 მ. 6 პ), კევინ მარტინი (21 ქ. 4 მ. 4 პ), არტესტი (19 ქ. 3 ჩ), უილიამსონი (18 ქ), სალმონსი (12 ქ. 5 მ. 5 პ), აბდურ-რაჰიმი (11 ქ).

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (41 ქ. 10 მ. 9 პ), კუკი (26 ქ), უოლტონი (16 ქ. 8 მ), ბინუმი (15 ქ. 11 მ. 3 დ), ს. პარკერი (10 ქ. 2 ჩ).

### აღმოსავლეთი

**ატლანტიკის ოკეანე**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი* | 31 | 13 | 18 | 41.9 |
| ტორონტო | 32 | 13 | 19 | 40.6 |
| ნიუ იორკი | 35 | 14 | 21 | 40.0 |
| ბოსტონი | 31 | 11 | 20 | 35.5 |
| ფილადელფია | 32 | 9 | 23 | 28.1 |

**ცენტრალური**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| დეტროიტი* | 30 | 19 | 11 | 63.3 |
| კლივლენდი* | 31 | 19 | 12 | 61.3 |
| ჩიკაგო* | 32 | 19 | 13 | 59.4 |
| ინდიანა* | 33 | 17 | 16 | 51.5 |
| მილუოკი* | 32 | 16 | 16 | 50.0 |

**სამხრეთ-აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| ვაშინგტონი* | 31 | 18 | 13 | 58.1 |
| ორლანდო* | 33 | 19 | 14 | 57.6 |
| მაიამი | 31 | 13 | 18 | 41.9 |
| ატლანტა | 29 | 9 | 20 | 31.0 |
| შარლოტი | 31 | 9 | 22 | 29.0 |

### დასავლეთი

**სამხრეთ-დასავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| დალასი* | 33 | 26 | 7 | 78.8 |
| სან ანტონიო* | 33 | 23 | 10 | 69.7 |
| ჰიუსტონი* | 32 | 20 | 12 | 62.5 |
| ნიუ ორლეანი | 32 | 12 | 20 | 37.5 |
| მემფისი | 33 | 8 | 25 | 24.2 |

**ჩრდილო-დასავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| იუტა* | 32 | 23 | 9 | 71.9 |
| დენვერი* | 29 | 16 | 13 | 55.2 |
| მინესოტა* | 30 | 15 | 15 | 50.0 |
| პორტლენდი | 33 | 13 | 20 | 39.4 |
| სიეტლი | 34 | 13 | 21 | 38.2 |

**წყნარი ოკეანე**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| ფინიქსი* | 31 | 23 | 8 | 74.2 |
| ლეიკერსი* | 32 | 21 | 11 | 65.6 |
| გ. სტეიტი | 34 | 17 | 17 | 50.0 |
| კლიპერსი | 32 | 15 | 17 | 46.9 |
| საკრამენტო | 30 | 14 | 16 | 46.7 |

*შენიშვნა: * - ფლეი ოფის ზონა*

**ქულები**

| | |
|---|---|
| ენტონი (დენ) | 31.6 |
| აივერსონი (ფილ) | 30.5 |
| არენასი (ვაშ) | 30.3 |
| ბრაიანტი (ლეი) | 29.1 |
| რედი (მილ) | 27.8 |
| უეიდი (მაი) | 27.5 |
| ლ. ჯეიმსი (კლივ) | 27.2 |
| პირსი (ბოს) | 26.6 |
| ჯ. ჯონსონი (ატლ) | 26.1 |
| მინი (ჰიუ) | 25.9 |

**მოხსნები**

| | |
|---|---|
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 12.5 |
| გარნეტი (მინ) | 12.4 |
| ბუზერი (იუტ) | 11.7 |
| ოკაფორი (შარ) | 11.4 |
| კემბი (დენ) | 11.3 |
| ჩენდლერი (ნ-ორლ) | 11.2 |
| ლი (ნ-იორკ) | 10.7 |
| რენდოლფი (პორ) | 10.3 |
| დანკანი (ს-ანტ) | 10.2 |
| ბ. უოლასი (ჩიკ) | 9.9 |

**პასები**

| | |
|---|---|
| ნეში (ფინ) | 11.3 |
| კიდი (ნ-ჯერ) | 9.2 |
| პოლი (ნ-ორლ) | 9.0 |
| ა. მილერი (დენ) | 8.8 |
| დერ. უილიამსი (იუტ) | 8.7 |
| ბ. დევისი (გ-სტე) | 8.6 |
| ბილაპსი (დეტ) | 8.1 |
| ტ-ჯ. ფორდი (ტორ) | 8.1 |
| უეიდი (მაი) | 7.9 |
| აივერსონი (ფილ) | 7.7 |

**ჩაჭრები**

| | |
|---|---|
| არტესტი (საკ) | 2.5 |
| იგუოდალა (ფილ) | 2.2 |
| მერიონი (ფინ) | 2.0 |
| ბ. დევისი (გ-სტე) | 2.0 |
| არენასი (ვაშ) | 2.0 |
| კ. ბატლერი (ვაშ) | 1.9 |
| ჯ. უოლასი (შარ) | 1.8 |
| კიდი (ნ-ჯერ) | 1.7 |
| ტინსლი (დენ) | 1.7 |

**დაფარებები**

| | |
|---|---|
| ჯ. ო'ნილი (ინდ) | 3.1 |
| კემბი (დენ) | 2.9 |
| მოურნინგი (მაი) | 2.8 |
| ოკაფორი (შარ) | 2.8 |
| ჯოშ სმიტი (ატლ) | 2.5 |
| კირილენკო (იუტ) | 2.4 |
| ბრენდი (კლი) | 2.3 |
| მინი (ჰიუ) | 2.2 |
| ბიედრინში (გ-სტე) | 2.0 |
| ბ. უოლასი (ჩიკ) | 2.0 |

## ევროლიგა. I ჯგუფური ეტაპი. X ტური

### A ჯგუფი

**ლე მანი-ეფესი 67:71**

20:18, 14:16, 17:21, 16:16

**ლე მანი:** გრეგორი (20 ქ), ე. კემპბელი (14 ქ. 6 მ. 3 ჩ), ბოგავაცი (11 ქ. 4 მ. 3 პ).

**ეფეს პილზენი:** ჯენკინსი (16 ქ. 7 მ. 4 პ), ნიკოლასი (14 ქ), კიუგო (14 ქ), გონლუმი (10 ქ).

**პროკომი-ოლიმპიაკოსი 64:73**

13:22, 15:16, 17:16, 19:19

**პროკომი:** მ. ანდერსენი (19 ქ. 6 მ. 3 ჩ), პუკიჩი (9 ქ. 4 მ).

**ოლიმპიაკოსი:** ჯ. პენი (13 ქ. 2 ჩ), აკერი (13 ქ. 7 მ. 3 პ), ჟიჟიჩი (13 ქ. 6 მ), სტეკი (12 ქ. 11 მ), დომერკანტი (11 ქ).

**კლიმამიო-დინამო 80:101**

22:22, 22:25, 19:27, 17:27

**კლიმამიო:** ბელინელი (23 ქ. 3 პ), მანჩინელი (20 ქ. 10 ჩ. 7 მ), ევტიმოვი (12 ქ. 9 მ. 4 პ. 3 ჩ).

**დინამო:** ფოცისი (20 ქ. 5 მ. 2 ჩ), ჰანსენი (18 ქ. 5 მ. 4 პ), ბ. პოპოვიჩი (16 ქ. 7 მ. 3 პ), პაპადოპულოსი (14 ქ. 7 მ), ე. გილი (11 ქ. 6 პ).

**ტაუ-კიოლნი 97:68**

24:12, 26:19, 30:18, 17:19

**ტაუ:** რაკოჩევიჩი (22 ქ), პლანინიჩი (18 ქ. 3 პ), სკოლა (17 ქ. 5 მ), პრიჯიონი (14 ქ. 4 პ. 4 ჩ), სპლიტერი (10 ქ).

**რაინენერგი:** მაკელროი (15 ქ), დ. გრინი (13 ქ), რ. ბარელი (13 ქ. 5 მ), გორტატი (11 ქ. 8 მ. 4 პ), შლივანჩანინი (10 ქ).

| | მ/წ | სხვ. |
|---|---|---|
| 1. ტაუ* | 9:1 | +98 |
| 2. ოლიმპიაკოსი* | 8:2 | +79 |
| 3. ეფეს პილზენი | 6:4 | +39 |
| 4. დინამო | 6:4 | +27 |
| 5. პროკომი | 4:6 | -14 |
| 6. ლე მანი | 3:7 | -28 |
| 7. კლიმამიო | 2:8 | -85 |
| 8. კიოლნი | 2:8 | -116 |

### B ჯგუფი

**რომა-მაკაბი 88:81 (ო)**

14:10, 21:22, 18:20, 19:20, 16:9

**რომა:** დ. ჰოკინსი (23 ქ. 4 მ. 4 ჩ), ჩეტმენი (19 ქ. 5 მ), ბოდიროგა (16 ქ. 6 მ), აშკრაბიჩი (10 ქ. 6 მ).

**მაკაბი:** ვუიჩიჩი (33 ქ. 8 მ. 7 პ), არნოლდი (13 ქ. 6 მ), ჰალპერინი (7 ქ. 5 მ).

**უნიკახა-ციბონა 73:67**

24:12, 18:17, 15:14, 16:24

**უნიკახა:** სანტიაგო (14 ქ. 7 მ. 4 დ), ბ. როდრიგესი (13 ქ. 4 პ), ვასილიადისი (13 ქ. 6 მ).

**ციბონა:** ვიშნევსკი (22 ქ. 4 პ), ჯ. მაკკალოხი (16 ქ), როჟიჩი (10 ქ).

**პარტიზანი-ხუვენტუდი 74:83**

22:21, 19:13, 14:17, 19:32

**პარტიზანი:** ვ. კამინგსი (21 ქ. 6 ჩ. 4 პ), პ. დრობნიაკი (10 ქ. 5 მ).

**ხუვენტუდი:** რ. ფერნანდესი (26 ქ), ბენეტი (14 ქ. 4 ჩ), ვასკესი (11 ქ).

**პანათინაიკოსი-ოლიმპია 83:74**

25:22, 22:15, 18:19, 18:18

**პანათინაიკოსი:** ცარცარისი (17 ქ. 5 მ), დიკუდისი (13 ქ. 6 მ), შიშკაუსკასი (13 ქ), ტომაშევიჩი (12 ქ. 4 მ).

**ოლიმპია:** რანიკო (18 ქ. 5 პ), **მანუჩარ მარკოიშვილი (34 წუთი, 14 ქულა, 3 მოხსნა, 2 ჩაჭრა)**, მილიჩი (12 ქ. 4 მ), ლორბეკი (10 ქ. 6 მ).

| | მ/წ | სხვ. |
|---|---|---|
| 1. პანათინაიკოსი* | 10:0 | +104 |
| 2. ხუვენტუდი | 6:4 | +75 |
| 3. მაკაბი | 6:4 | +50 |
| 4. ციბონა | 4:6 | -17 |
| 5. პარტიზანი | 4:6 | -31 |
| 6. რომა | 4:6 | -39 |
| 7. უნიკახა | 4:6 | -68 |
| 8. ოლიმპია | 2:8 | -74 |

### C ჯგუფი

**არისი-ნაპოლი 80:72**

22:16, 15:14, 24:19, 19:23

**არისი:** მასეი (22 ქ. 12 მ. 4 პ. 4 ჩ), სკეილსი (17 ქ. 5 მ. 3 ჩ. 2 პ), მ. უილკინსონი (10 ქ. 6 მ. 4 პ).

**ნაპოლი:** სესეი (20 ქ. 7 მ. 2 დ), ლარანაგა (16 ქ), **ტაირონ ელისი (29 წუთი, 15 ქულა, 2 პ.ასი, 1 ჩაჭრა).**

**ცსკა-პო ორტეზი 78:58**

18:11, 12:9, 29:20, 19:18

**ცსკა:** ვანტერპული (16 ქ. 5 მ. 5 პ), ჰოლდენი (13 ქ), ლენგდონი (12 ქ. 3 ჩ).

**პო-ორტეზი:** კ. ჰარისონი (12 ქ. 5 მ), რ. გრირი (11 ქ).

**ფენერბაჰჩე-ბენეტონი 70:58**

18:11, 18:17, 21:18, 13:12

**ფენერბაჰჩე:** კამბალა (23 ქ. 8 მ), სოლომონი (18 ქ. 2 ჩ), მრშიჩი (14 ქ).

**ბენეტონი:** მორდენტე (15 ქ), ჯილი (12 ქ. 5 მ), ჯ. ბერდი (2 ქ. 9 მ).

**ბარსელონა-ჟალგირისი 84:67**

28:12, 21:18, 15:27, 21:10

**ბარსელონა:** კაკიუცისი (15 ქ. 6 ჩ. 4 მ), კასუნი (15 ქ. 8 მ), მარკონატო (11 ქ. 4 მ), ნავარო (10 ქ).

**ჟალგირისი:** მასიულისი (18 ქ. 5 ჩ), მაჩადო (13 ქ. 5 მ), იანკუნასი (12 ქ. 10 მ. 2 დ).

| | მ/წ | სხვ. |
|---|---|---|
| 1. ცსკა* | 9:1 | +116 |
| 2. ბარსელონა* | 8:2 | +77 |
| 3. ბენეტონი | 6:4 | +22 |
| 4. პო-ორტეზი | 5:5 | -13 |
| 5. არისი | 5:5 | -14 |
| 6. ფენერბაჰჩე | 3:7 | -46 |
| 7. ნაპოლი | 3:7 | -70 |
| 8. ჟალგირისი | 1:9 | -72 |

შენიშვნა: * - მომდევნო ეტაპზე გავიდა

ჩოგბურთი

## ანენი განქორწინებისთვის ემზადება

როგორც გუშინ ვწერდით, WTA-ს რეიტინგის პირველი ნომერი, ბელგიელი **ჟუსტინ ანენ-არდენი** ავსტრალიის ღია პირველობას გამოტოვებს. ჩოგბურთელმა "დიდი სლემის" პირველ ტურნირზე უთამაშებლობის მიზეზად პირადი პრობლემები დაასახელა, თუმცა, არ დაუკონკრეტებია, თუ რას გულისხმობდა ამ ფრაზაში. ზოგიერთმა გამოთქვა ვარაუდი, რომ ჟუსტინი კვლავ ტრავმირებულია და ამის გამო უწევს ავსტრალიის ღია პირველობის გამოტოვება.

ამ ამბავს ნათელი ბელგიურმა გამოცემა La Meuse-მა მოჰფინა. როგორც გაირკვა, ჩოგბურთელს თავის მეუღლე პიერ-ივ არდენთან ჰქონია პრობლემები. ახლა ამ წყვილის განქორწინების პროცესი სრული სვლით მიმდინარეობს და ამ ამბის წვრილმანებს ჟუსტინის თაყვანისმცემლები სულ მალე, სპეციალური კომუნიკეთი შეიტყობენ.

## ჰიუიტი მწვრთნელის გარეშე დარჩა

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი **ლეიტონ ჰიუიტი** ახალ მწვრთნელს ეძებს. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ავსტრალიელი ჩოგბურთელის აწ უკვე ყოფილმა დამრიგებელმა, **როჯერ რაშიდმა** "დიდი სლემის" ტურნირების სამგზის ჩემპიონთან მუშაობა აღარ მოისურვა.

*"ეს ყველაზე რთული გადაწყვეტილებაა, რაც კი ცხოვრებაში მიმიღია. დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, არ მჯერა, რომ ჩვენი მომავალი თანამშრომლობა იმ შედეგს მოგვიტანს, რასაც თავის დროზე ვგეგმავდით"*, - განაცხადა რაშიდმა.

ჰოკეი

## ოლ სტარის მწვრთნელები ცნობილია

ჰოკეის ეროვნული ლიგის "ყველა ვარსკვლავის მატჩი" 24 იანვარს დალასში გაიმართება. გუშინ, აღმოსავლეთი და დასავლეთი კონფერენციების ნაკრებთა მთავარი მწვრთნელები დაასახელეს.

აღმოსავლეთის ვარსკვლავებს "ბაფალო სეიბრზის" დამრიგებელი **ლინდი რაფი** უხელმძღვანელებს. "ბაფალო" აღმოსავლეთი კონფერენციის ლიდერია - მას 40 მატჩის შემდეგ 61 ქულა აქვს.

რაც შეეხება დასავლეთს, მისი მწვრთნელი "ანაჰაიმ დაქსის" თავკაცი **რენდი კარლაილი** იქნება. "ანაჰაიმი" დასავლეთი კონფერენციისა და მთლიანად რეგულარული ჩემპიონატის ლიდერი გახლავთ - ამ გუნდმა 42 მატჩში 62 ქულა დააგროვა.

All Star-ის მატჩის სასტარტო შემადგენლობები მომავალ სამშაბათს გამოცხადდება, გუნდების სრულ შემადგენლობებს კი, შაბათს, 13 იანვარს დაასახელებენ.

## ანაჰაიმმა ახალი მეკარე დაიმატა

რეგულარული ჩემპიონატის ლიდერ "ანაჰაიმს" მეკარის პრობლემა აქვს - ტრავმირებულები არიან ძირითადი გოლკიპერები, **ჟან-სებასტიან ჟიგერი** და **ილია ბრიზგალოვი**.

გუშინ, "იხვების" ხელმძღვანელობამ ეს პრობლემა ნაწილობრივ მოაგვარა, როცა "ჩიკაგოდან" **სებასტიან კარონი** გადაიბირა. ამ ტრეიდის თანახმად, "ანაჰაიმმა" მეკარის გარდა ორი თავდამსხმელი - **მეტ კეიტი** და **კრის დარნო** მიიღო, სანაცვლოდ კი, ფორვარდ **პიერ პარენტოსა** და მცველ **ბრუნო სენ-ჟაკის** დათმობა მოუწია.

## ჰოკეი

### NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ბოსტონი-ტორონტო 2:10**

2:1, 0:5, 0:4

**გოლები:** 0:1 პოლი-6 (დევერო-3, კუბინა-6), 1:1 დონოვანი-4 (უ. პრიმო-8, ი. შჩასტნი-2), 2:1 უ. პრიმო-7 (ალბერტსი-7, მაუერსი-7), 2:2 ბატალია-5 (ი. უაიტი-14, პოლი-6), 2:3 სტინი-5 (ი. უაიტი-15, რეიკროფტი-1), 2:4 ბატალია-6 (პოლი-7, დევერო-4), 2:5 სტინი-6 (ო'ნილი-17, სუნდინი-21), 2:6 ნიუბერი-2 (სტინი-7, სტაიანი-12), 2:7 სტაიანი-7 (ტ. კაბერლე-27, დევერო-5), 2:8 სტინი-7 (გილი-7), 2:9 სტაიანი-8 (სტინი-8, ტ. კაბერლე-28), 2:10 კილგერი-7 (ნიუბერი-1, სტაიანი-13).

**ვაშინგტონი-მონრეალი 5:1**

2:1, 2:0, 1:0

**გოლები:** 0:1 რივეტი-5 (ლატენდრესი-10, კოვალიოვი-20), 1:1 ზუბრუსი-15 (ოვეჩკინი-27, სიომინი-18), 2:1 ზუბრუსი-16 (ოვეჩკინი-28, ემინგერი-6), 3:1 ნიკოლატი-2 (ოვეჩკინი-29, ემინგერი-7), 4:1 სიომინი-18 (გორდონი-8), 5:1 სიომინი-19 (პეტინგერი-9, ნიკოლატი-4).

**რეინჯერსი-ფილადელფია 3:2**

1:0, 1:0, 1:2

**გოლები:** 1:0 სტრაკა-19 (ნიულანდერი-31, შენეჰანი-20), 2:0 სტრაკა-20 (როჟსივალი-18, იაგრი-38), 2:1 მელოუჩი-1 (პიტკანენი-21, ეში-2), 3:1 სტრაკა-21, 3:2 იორკი-7.

**კაროლინა-ფინიქსი 0:2**

0:1, 0:1, 0:0

**გოლები:** 0:1 ი. პერო-12 (საპრიკინი-13, ნოლანი-15), 0:2 ჟოვანოვსკი-8.

**ნიუ ჯერსი-აილენდერსი 4:3**

3:1, 1:1, 0:1

**გოლები:** 1:0 პარიზე-15 (ზაიაცი-12), 2:0 ბრილინი-9 (პანდოლფო-8), 2:1 ჰანტერი-6 (მ. ჰილი-13, ჰილბერტი-8), 3:1 პარიზე-16 (ლანგენბრუნერი-15, ზაიაცი-13), 4:1 ელიაში-16 (ჯონტა-16), 4:2 ჰილბერტი-4 (სილინჯერი-15, ჰანტერი-4), 4:3 სილინჯერი-12 (ჯ. ბლეიკი-18, შატანი-16).

**სენტ ლუისი-ჩიკაგო 2:0**

1:0, 0:0, 1:0

**გოლები:** 1:0 სტემპნიაკი-12 (გერინი-12, ვიდემანი-10), 2:0 ვიდემანი-3 (გერინი-13, უეიტი-22).

**მინესოტა-ტამპა ბეი 2:3**

0:2, 1:1, 1:0

**გოლები:** 0:1 სენტ ლუისი-26 (ლეკავალიე-29), 0:2 ბოილი-9 (რეინჯერი-14), 1:2 პერიში-14 (დემიტრა-16, მ. კოივუ-18), 1:3 ლეკავალიე-22 (სენტ ლუისი-26, რეინჯერი-15), 2:3 დემიტრა-11 (მ. კოივუ-19, პერიში-10).

**ედმონტონი-დალასი 5:6 (ბ)**

2:0, 2:2, 1:3

**გოლები:** 1:0 რ. სმიტი-21 (ლუპული-6, სტოლი-23), 2:0 ჰორკოფი-6 (რ. სმიტი-8, სტაიოსი-12), 2:1 სტეფანი-4 (ი. იოკინენი-13, სიდორი-8), 3:1 ნედვედი-2 (სიკორა-20, ჰემსკი-20), 4:1 ლუპული-12 (რ. სმიტი-9, ჰორკოფი-16), 4:2 ტიარნკვისტი-1 (კონერი-1, რიბეირო-21), 4:3 ი. ლეჰტინენი-10 (ზუბოვი-21, ბუშე-18), 4:4 ბუშე-13 (ზუბოვი-22, რიბეირო-22), 4:5 ჰაგმანი-7 (რობიდასი-11), 5:5 ჰემსკი-7 (რ. სმიტი-10, სიკორა-21).

**ბულიტები გაიტანეს:** ზუბოვი (დალასი), ი. იოკინენი (დალასი).

**კალგარი-ფლორიდა 5:4 (ო)**

1:1, 1:0, 2:3, 1:0

**გოლები:** 1:0 იგინლა-23 (ფანოფი-14), 1:1 ბოუმისტერი-6 (ო. იოკინენი-26), 2:1 ტანგეი-10 (უორენერი-3, ამნოტე-9), 2:2 ბუტი-1 (პელტონენი-8, ბოუმისტერი-13), 2:3 ოლეში-6 (ბოუმისტერი-14, შტუმპელი-19), 2:4 ოლეში-7 (გელინასი-12, შტუმპელი-19), 3:4 რიტჩი-4 (ლენგკოუ-25, ტანგეი-25), 4:4 მოსი-4 (ფრიზენი-3, ჰამრლიკი-12), 5:4 ჯორდანო-3 (ფანოფი-15, იელე-6).

**სან ხოსე-დეტროიტი 9:4**

1:3, 4:0, 4:1

**გოლები:** 0:1 ჰადლერი-6 (კრონვალი-8), 0:2 ჰოლმსტრიომი-7 (შნაიდერი-25, ზეტერბერგი-12), 0:3 ჯეისონ უილიამსი-7, 1:3 ჯორჯესი-1 (ჯ. ტორნტონი-36, გრირი-6), 2:3 ჩიჩუ-13 (პაველსკი-6, ვლასიჩი-9), 3:3 კლოუ-4 (გოკი-5, კ. ბრაუნი-7), 4:3 ერჰოფი-8 (ჯ. ტორნტონი-37, მარლო-21), 5:3 პაველსკი-9 (ჩიჩუ-13, მ. მიხალეკი-21), 6:3 გრირი-8 (მარლო-22, ჯ. ტორნტონი-38), 7:3 მარლო-18 (ჯ. ტორნტონი-39, ერჰოფი-9), 8:3 გრირი-9 (მარლო-23, ჰენანი-11), 9:3 კლოუ-5 (დ. მიურეი-1, რისმილერი-9), ლებდა-3 (ფრანცენი-10, დრეიპერი-9).

**აღმოსავლეთი**

**ატლანტიკის ოკეანე**

| | თ | მ | წ | ონ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი* | 40 | 23 | 13 | 4 | 50 |
| რეინჯერსი* | 42 | 21 | 17 | 4 | 46 |
| აილენდერსი | 40 | 19 | 18 | 3 | 41 |
| პიტსბურგი | 38 | 17 | 15 | 6 | 40 |
| ფილადელფია | 40 | 11 | 25 | 4 | 26 |

**ჩრდილო-აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | ონ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| ბაფალო* | 40 | 29 | 8 | 3 | 61 |
| მონრეალი* | 40 | 23 | 12 | 5 | 51 |
| ოტავა* | 42 | 22 | 18 | 2 | 46 |
| ტორონტო* | 42 | 19 | 17 | 6 | 44 |
| ბოსტონი | 38 | 19 | 16 | 3 | 41 |

**სამხრეთ-აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | ონ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| ატლანტა* | 42 | 24 | 12 | 6 | 54 |
| კაროლინა* | 43 | 21 | 18 | 4 | 46 |
| ვაშინგტონი | 41 | 17 | 17 | 7 | 41 |
| ტამპა ბეი | 41 | 19 | 20 | 2 | 40 |
| ფლორიდა | 43 | 15 | 20 | 8 | 38 |

**დასავლეთი**

**ცენტრალური**

| | თ | მ | წ | ონ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| დეტროიტი* | 40 | 25 | 10 | 5 | 55 |
| ნეშვილი* | 40 | 26 | 11 | 3 | 55 |
| ჩიკაგო | 40 | 17 | 18 | 5 | 39 |
| კოლამბუსი | 40 | 15 | 21 | 4 | 34 |
| სტ. ლუისი | 40 | 13 | 20 | 7 | 33 |

**ჩრდილო-დასავლეთი**

| | თ | მ | წ | ონ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| ვანკუვერი* | 41 | 22 | 18 | 1 | 45 |
| კალგარი* | 39 | 20 | 15 | 4 | 44 |
| მინესოტა* | 41 | 21 | 18 | 2 | 44 |
| ედმონტონი | 40 | 19 | 18 | 3 | 41 |
| კოლორადო | 39 | 19 | 18 | 2 | 40 |

**წყნარი ოკეანე**

| | თ | მ | წ | ონ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| ანაჰაიმი* | 42 | 28 | 8 | 6 | 62 |
| სან ხოსე* | 41 | 27 | 14 | 0 | 54 |
| დალასი* | 42 | 26 | 15 | 1 | 53 |
| ფინიქსი | 39 | 17 | 20 | 2 | 36 |
| ლოს ანჯელესი | 42 | 15 | 22 | 5 | 35 |

*შენიშვნა*: ონ - ოვერტაიმში წაგება (დამარცხებულ გუნდს ერთი ქულა ენიჭება); * - ფლეი ოფის ზონა

**ბომბარდირები (გოლი+პასი)**

| | |
|---|---|
| კროსბი (პიტ) | 61 (19+42) |
| მარიან ჰოსა (ატლ) | 56 (24+32) |
| ოვეჩკინი (ვაშ) | 54 (25+29) |
| იაგრი (რეინ) | 54 (16+ 38) |
| იგინლა (კალ) | 53 (23+30) |
| სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 52 (26+26) |
| ლეკავალიე (ტ-ბეი) | 51 (22+29) |
| ჰიტლი (ოტა) | 50 (23+27) |
| სელიანე (ანა) | 50 (23+27) |
| ჯ. ტორნტონი (ს-ხოს) | 50 (11+39) |

**გოლეადორები**

| | |
|---|---|
| სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 26 |
| ოვეჩკინი (ვაშ) | 25 |
| მარიან ჰოსა (ატლ) | 24 |
| შენეჰანი (რეინ) | 23 |
| ჰიტლი (ოტა) | 23 |
| ჯ. ბლეიკი (აილ) | 23 |
| სელიანე (ანა) | 23 |
| იგინლა (კალ) | 23 |
| ვანეკი (ბაფ) | 22 |
| ლეკავალიე (ტ-ბეი) | 22 |

**ასისტენტები**

| | |
|---|---|
| კროსბი (პიტ) | 42 |
| ჯ. ტორნტონი (ს-ხოს) | 39 |
| იაგრი (რეინ) | 38 |
| სავარი (ბოს) | 36 |
| ჰ. სედინი (ვან) | 35 |
| პრონგერი (ანა) | 33 |
| მარიან ჰოსა (ატლ) | 32 |
| ბრინდამორი (კარ) | 32 |
| ბრიერი (ბაფ) | 31 |
| ნიულანდერი (რეინ) | 31 |
| იგინლა (კალ) | 30 |



ტორონტომ ბოსტონს 10 გოლი გაუტანა

## სამთო-სათხილამურო სპორტი

მსოფლიო თასი

# შილდი ისევ პირველია



მარლის შილდი

ავსტრიელი **მარლის შილდის** გამარჯვებით დასრულდა მსოფლიო თასის სლალომის ზაგრებული ეტაპი, რისი წყალობითაც, მან ლიდერობა განიმტკიცა როგორც სლალომის ჩათვლაში, ასევე აბსოლუტურ კლასიფიკაციაშიც.

შილდმა უზარმაზარი უპირატესობით - 1.66 წამით აჯობა მეორეზე გასულ ხორვატ **ანა იელუშიჩს**, მესამეზე კი სლოვაკი **სარკა ზაჰრობსკა** გავიდა, ვისაც ბრწყინვალე მეორე ცდა ჰქონდა. სხვათა შორის, ზაჰრობსკა პირველი ცდის შემდეგ მე-14 ადგილზე იყო, მაგრამ საუკეთესო მეორე ცდის წყალობით, კვარცხლბეკზე ასვლა შეძლო.

პირველი ცდის შემდეგ მეორე შედეგი აჩვენა შვედმა **ანია პერსონმა**, მაგრამ მეორე დაშვების ბოლო მონაკვეთზე შეცდა და კვარცხლბეკზე ასვლას ვინლა ჩივის, ფინიშს ვერ მიაღწია და საერთოდაც, უქულოდ დარჩა.

სხვათა შორის, თავის პირველ ცდაზე პერსონმა შილდთან 1.09 წამი წააგო. არადა, თავის უახლოეს მდევარ იელუშიჩს თითქმის ნახევარი წამით აჯობა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სლალომში კონკურენცია მეტისმეტად შესუსტდა, რაც, პირველ რიგში, ხორვატი სუპერვარსკვლავის, **იანიცა კოსტელიჩის** შევებულებით აიხსნება. ისე, სლალომში პერსონიც მაგარია, მაგრამ ოპერაციის შემდეგ ის ჯერ ფორმაში არ შესულა.

პირველ ცდაზე მოპოვებული სოლიდური უპირატესობის წყალობით, მეორე ცდაზე შილდმა რისკის გარეშე ჩამოისრიალა. ხორვატი მაყურებელი მის შეცდომას და ამის წყალობით, იელუშიჩის გამარჯვებას ელოდა. ავსტრიელმა ერთ მოსახვევში მართლაც დაუშვა შეცდომა, რისი წყალობითაც, თითქმის წამი დაკარგა, მაგრამ ყოველივეს მიუხედავად, მეორე ცდაზე მაინც მეხუთე შედეგი ჰქონდა. საბოლოოდ, სენსაცია მაინც არ მოხდა - შილდმა ზედიზედ მეორე სლალომი არ წააგო. ბარემ შეგახსენებთ, რომ ამ სეზონში მას ხუთიდან ოთხი სლალომი აქვს მოგებული.

რბოლას 20 000 მაყურებელი ადევნებდა თვალ-ყურს. მათ შორის კოსტელიჩიც იყო, რომელმაც ნაოპერაციებზე დასვენება და სეზონის გამოტოვება არჩია. ნარბოლევს იანიცამ განაცხადა, რომ არ მოსწონს ახლანდელ მოთხილამურეთა მომზადების დონე. მარლისი ცალკე ლიგაში ასპარეზობსო - თქვა ხორვატმა სუპერვარსკვლავმა, რომელიც, პირველ რიგში, სწორედ სლალომის სპეციალისტია და მერე დანარჩენი დისციპლინებისა.

აშკარაა, რომ მოთხილამურეების უმეტესობა აქცენტს სისწრაფეზე აკეთებს და ელეგანტურ სრიალს არ ცდილობენო - სწუხს კოსტელიჩი, რომელიც, ალბათ, სამთო ფერდობს გაისად დაუბრუნდება.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

ქალები. სლალომი
ზაგრებ-სლიემე (ხორვატია)

1. მარლის შილდი (ავსტრია) - 1:59.40 (57.77+1:01.63); 2. ანა იელუშიჩი (ხორვატია) - 2:01.06 (59.17+1:01.89); 3. სარკა ზაჰრობსკა (ჩეხეთი) - 2:01.25 (1:00.25+1:01.00); 4. კიარა კოსტაცა (იტალია) - 2:01.42 (59.58+1:01.84); 5. რეზი შტიგლერი (აშშ) - 2:01.50 (59.19+1:02.31); 6. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) 2:01.71 (59.82+1:01.89); 7. მონიკა ბერგმან-შმუდერერი (გერმანია) 2:01.75 (59.94+1:01.81); 8. ჯულია მანკუზო (აშშ) 2:02.01 (1:00.45+1:01.56); 9. ვერონიკა სუსულოვა (სლოვაკეთი) 2:02.24 (1:00.95+1:01.29); 10. მანუელა მიოლეგი (იტალია) 2:02.27 (1:00.40+1:01.87).

საერთო ჩათვლა

1. მარლის შილდი (ავსტრია) - 697; 2. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) - 564; 3. კატრინ ცეტელი (ავსტრია) - 562; 4. ლინდსი კილდოუ (აშშ) - 448; 5. რენატე გიოჩლი (ავსტრია) - 441; 6. ანია პერსონი (შვედეთი) - 386; 7. ჯულია მანკუზო (აშშ) - 361; 8. მიხაელა კირხგაზერი (ავსტრია) - 282; 9. ტერეზ ბორსენი (შვედეთი) - 252; 10. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) - 248.

## ტრამპლინიდან ხტომა

ოთხი მთის ტურნირი

# ლიდერი შეიცვალა

ნორვეგიელი **ანდერს იაკობსენის** გამარჯვებით დასრულდა ტრამპლინისტთა მსოფლიო თასის პრესტიჟული სერიის, ოთხი მთის მესამე ეტაპი, რომელსაც ავსტრიის ალპურ ქალაქ ინსბრუკის ბერგიზელის კოშკმა უმასპინძლა.

ადგილობრივი მაყურებელი თავიანთი მხტომელების გამარჯვებას ელოდა. ამის საბაბი საკმარისად ჰქონდათ - მათმა თინეიჯერმა თანამემამულე **გრეგორ შლირენცაუერმა** ხომ სერიის პირველი ეტაპი მოიგო და მსოფლიო თასსაც სამი მოგებული ეტაპის წყალობით ლიდერობდა.

იაკობსენმა პირველ ცდაზე საუკეთესო ნახტომი შეასრულა და ამის გამო, მეორეზე ბოლო ნახტომის შესრულების უფლება მიიღო. სანამ სტარტზე გავიდოდა, ორი ცდის ჯამში ავსტრიელი **თომას მორგენშტერნი** დაწინაურდა, თუმცა ავსტრიელ მაყურებლებს ზეიმი არ დასცალდათ - ნორვეგიელი მეორე ცდაზე 128.5 მეტრზე გადახტა, რაც საკმარისი გამოდგა იმისთვის, რომ მანამდელი ლიდერისთვის ოდენ 1.1 ქულით გაესწრო.

ასპარეზობის ყველაზე შორეული ნახტომი კი შვეიცარიელ ყოფილ ოლიმპიურ ჩემპიონს, **სიმონ ამანს** ეკუთვნის, რომელიც მეორე ცდაზე 132 მეტრზე გადახტა. თუმცა, პირველ ჯერზე არცთუ კარგი შედეგის გამო, ლიდერობა დიდხანს ვერ შეინარჩუნა - მორგენშტერნმა 129.5 მეტრის სიშორეზე იფრინა.

მესამე ეტაპის შემდეგ, ოთხი მთის ჩათვლაში იაკობსენი დაწინაურდა, რომელმაც ლიდერობა აბსოლუტურ კლასიფიკაციაშიც იგდო ხელთ. შლირენცაუერი, რომელიც მანამდე ორივე კლასიფიკაციის ლიდერი გახლდათ, საერთო ჩათვლაში მეორემდე ჩამოქვეითდა, ოთხი მთის სერიაში კი მეშვიდე ადგილზე გადაინაცვლა. ორივე კლასიფიკაციაში მესამეა ამანი, რომელიც ოთხ მთაზე ამ პოზიციას თანამემამულე **ანდრეას კიუტელთან** იყოფს.

**მერაბ ლორთქიფანიძე**



ანდერს იაკობსენი

ინსბრუკი (ავსტრია)

1. ანდერს იაკობსენი (ნორვეგია) - 265.0; 2. თომას მორგენშტერნი (ავსტრია) - 263.9; 3. სიმონ ამანი (შვეიცარია) - 261.5; 4. არტტუ ლაპპი (ფინეთი) - 257.7; 5. იანე აჰონენი (ფინეთი) - 251.2.

ოთხი მთის ჩათვლა

1. ანდერს იაკობსენი (ნორვეგია) - 673; 2. არტტუ ლაპპი (ფინეთი) - 662; 3. სიმონ ამანი (შვეიცარია) - 656; 3. ანდრეას კიუტელი (შვიეცარია) - 656; 5. ადამ მალიში (პოლონეთი) - 654.

საერთო ჩათვლა

1. ანდერს იაკობსენი (ნორვეგია) - 541; 2. გრეგორ შლირენცაუერი(ავსტრია) - 484; 3. სიმონ ამანი (შვეიცარია) - 478; 4. ანდრეას კიუტელი (შვიეცარია) 422; 5. არტტუ ლაპპი (ფინეთი) 308.

ველოსპორტი

### ბეტინი სამგზის ოსკაროსანია

ჯგუფურ რბოლაში 2004 წლის ოლიმპიური ჩემპიონი, იტალიელი **პაოლო ბეტინი** კარიერაში მესამედ გახდა "გაძეტა დელო სპორტის" მიერ დაწესებული პრესტიჟული ჯილდოს, "ოსკარის" მფლობელი, რომელიც მსოფლიოში წლის საუკეთესო ველომრბოლს გადაეცემა.

გამოკითხვაში მონაწილეობას იღებდნენ პროტურში მონაწილე გუნდების მფლობელები, სეზონის პრესტიჟული რბოლების ორგანიზატორები და ველომრბოლის ლეგენდები. მოქმედმა მსოფლიო ჩემპიონმა ბეტინიმ 107 ქულა დააგროვა და მნიშვნელოვნად გაუსწრო პრო ტურის საერთო ჩათვლაში გამარჯვებულ ესპანელ **ალეხანდრო ვალვერდეს** (48 ქულა), ჯირო დ'იტალიას ჩემპიონი **ივან ბასოს** (25), ბელგიელ **ტომი ბოონენსა** (21) და გერმანელ **ერიკ ცაბელს** (10).

ფორმულა 1

### ესპანეთში ახალი ავტოდრომი აშენდა

ესპანეთის სამხრეთით ახალი ავტოდრომის მშენებლობა დასრულდა. ამიერიდან, ვალენსიას, ხერესისა და ბარსელონას ტრასების გარდა, ფორმულა 1-ის ტესტების მასპინძლობა მონტებლანკოს ავტოდრომსაც შეეძლება. ეს არენა TN-GPO-ის არქიტექტორებმა დააპროექტეს.

გამოთვლების თანახმად, ფორმულა 1-ის ბოლიდს ყველაზე გრძელი წრის გავლა წუთნახევარში შეუძლია. ტრასაზე არის 960-მეტრიანი სწორი მონაკვეთი, სადაც მანქანას საათში 315 კილომეტრი სიჩქარის განვითარება შეუძლია.

ჯერჯერობით უცნობია, როდის უმასპინძლებს მონტებლანკოს ავტოდრომი ფორმულა 1-ის გუნდებს, მაგრამ ის უკვე ცნობილია, რომ აქ ესპანური ფორმულა 3-ის ერთ-ერთი ეტაპი გაიმართება.



ტურნირები

# პინგისი ფინალშია

ახალი სეზონის პირველივე ტურნირზე ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა, შვეიცარიელმა **მარტინა ჰინგისმა**, ვინც ჩოგბურთში დაბრუნებისთანავე, რეიტინგის მოწინავე ათეულს დაუბრუნდა, ახლა კი უფრო მაღალი მიზნებისთვის ბრძოლას აპირებს.

ავსტრალიის ქალაქ გოლდ კოუსტში მიმდინარე ავსტრალიის ჰარდის ქალთა ჩემპიონატის ნახევარფინალური ეტაპი მან მეტოქის, იტალიელი **ტატიანა გარბინის** ტრავმის წყალობით გაიარა. ფინალში მისი მეტოქე იქნება რუსი **დინარა საფინა**, რომელმაც დაძაბულ პაექრობაში აჯობა ისრაელის **შაჰარ პეერს**.

29 წლის გარბინმა შეხვედრა კარგად დაიწყო, მაგრამ შვიდი გეიმის შემდეგ, როცა ანგარიში 4:3 მიჰყავდა, სუნთქვასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა თამაშის გაგრძელების საშუალება არ მისცა. მან ჯერ კორტზე ექიმს უხმო, მაგრამ მისგან ხეირი ვერ ნახა და იძულებული შეიქნა, თამაში შეეწყვიტა.

*"რა თქმა უნდა, ფინალში ასე გასვლა არ მსურდა, მაგრამ უნდა მიიღო ის, რასაც იღბალი გაძლევს. თამაშის დასაწყისიდანვე შევნიშნე, რომ ცხვირს აწვალებდა. მაშინვე ვივარაუდე, რომ სუნთქვა უჭირდა. როგორც ჩანს, გაციებულია. ასე იყო თუ ისე, ის შესანიშნავად თამაშობდა"*, - განაცხადა ჰინგისმა, ვინც ფინალამდე მხოლოდ ათი გეიმი დათმო, მათგან ოთხი კი გარბინთან.

რაც შეეხება საფინას, მან პრაქტიკულად, ნაგებული თამაში გადაარჩინა. რუსმა პირველი სეტიც დათმო და მეორესაც 5:2 აგებდა (თანაც, მერვე გეიმში პეერი ანოდებდა), მაგრამ მისი ჯილაგისთვის დამახასიათებელი შეუპოვრობა გამოიჩინა და ფინალში თამაშის უფლებაც დამსახურებულად მოიპოვა.

საფინამ ჯერ მეორე სეტი ტაიბრეიკამდე მიიყვანა, რომელიც მანვე მოიგო, შემდეგ კი თამაში ცოტა ხნით წვიმის გამო შეწყდა. თამაშის განახლების შემდეგ კი პეერმა ჯეროვანი წინააღმდეგობაც კი ვერ გაუწია მეტოქეს და ოდენ ერთი გეიმის მოგებასღა დასჯერდა.

■ ■ ■

პარალელურად, ოკლენდში მიმდინარე ტურნირის ფინალში კი ითამაშებენ რუსი **ვერა ზვონარევა** და სერბი **ელენა იანკოვიჩი**. პირველმა ორ სეტში მოუგო ამერიკელ **ჯილ კრეიბასს**, მეორემ კი, ჰინგისისა არ იყოს, მეტოქის, ფრანგი **კამილ პენის** ტრავმით იხეირა.

იანკოვიჩისა და პენის თამაში ახალი დაწყებული იყო, რომ ფრანგმა ექიმს უხმო. პაუზის შემდეგ კი მან თამაშის გაგრძელებაზე უარი თქვა. ამ დროს ის 3:0-ს აგებდა. ყოველივეს მიზეზი კი ბარძაყის კუნთის ტრავმა იყო, რომელიც პენს ამ შეხვედრის დაწყებამდეც აწუხებდა.

შეხვედრის შემდეგ პენმა, ვისაც რეიტინგში 75-ე ადგილი უკავია, განაცხადა, ფეხს ძლივს მივათრევდი და ასეთ სიტუაციაში თამაშის გაგრძელებას აზრი არ ჰქონდაო. მანვე იმედი გამოთქვა, რომ ტრავმას დროულად მოიშუშებს და ავსტრალიის ღია პირველობაზეც ითამაშებს.

■ ■ ■

ადელაიდაში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირს გამოეთიშა ფრანგი **რიშარ გასკე**, ვისაც ნახევარფინალისკენ გზა ავსტრალიელმა **კრის გუჩონემ** გადაუღობა. გუჩონე რეიტინგში 153-ე ადგილზეა და ადელაიდას ტურნირზე უაილდ ქარდით თამაშობს. გასკესთან შეხვედრის პირველი სეტი მან პირწმინდად წააგო, მაგრამ შემდეგ თამაში გამოასწორა და ჯერ სეტი გაქვითა, შემდეგ კი გადამწყვეტი სეტიც (ტაიბრეიკით) მოიგო.

*"ჯერჯერობით, ეს ჩემს კარიერაში ყველაზე მნიშვნელოვანი გამარჯვებაა, მაგრამ გარწმუნებთ, ის თავბრუს ვერ დამახვევს. ისე კი, ძალიან გამიჭირდა. უფრო მეტიც, ძლიერი მოწოდება რომ არ მქონდეს, ამ თამაშს ვერ მოვიგებდი. სწორედ ეისები მშველოდა კრიტიკულ მომენტებში. ტაიბრეიკზე კი ვატყობდი, რომ რიშარი ჩემგან ეისებს შიშით ელოდა,"* - ნამატჩევს განაცხადა გუჩონემ, ვინც შეხვედრის განმავლობაში 22 ეისი მოაწოდა.

გასკემაც კვერი დაუკრა - გამარჯვებული სწორედ გუჩონეს ძლიერმა სერვისმა გამოავლინაო. მიკვირს, ამ მონოდების მქონე ჩოგბურთელი რეიტინგის წინა ოცეულში რომ არ არისო, თქვა ფრანგმა და დასძინა, ეს ბიჭი მალე საჩოგბურთო ელიტაში გამოჩნდებაო.

ვისთან ექნება საქმე ნახევარფინალში გუჩონეს, ამას რუსი **იგორ კუნიცინისა** და არგენტინელი **ხუან მარტინ დელ პორტოს** შეხვედრა გაარკვევს, რომელიც უამინდობის გამო გადაიდო. სხვათა შორის, ამავე მიზეზით კიდევ ერთი მეოთხედფინალური შეხვედრა გადაიდო. ნახევარფინალის მეორე საგზურს კი სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** დაეუფლა, რომელმაც ორ სეტში აჯობა ამერიკელ **პოლ გოლდშტაინს**.

ცნობისთვის, კუნიცინმა ტურნირს გამოთიშა მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, ავსტრალიელი **ლეიტონ ჰიუიტი**, ვინც გუშინ თავის მწვრთნელსა და ამავდროულად მეგობარს, **როჯერ რაშიდს** დაშორდა. სხვათა შორის, რაშიდმა თავად გადაწყვიტა წასვლა, რადგან ჩათვალა, რომ ჰიუიტს მასთან თანამშრომლობის შემთხვევაში, სპორტში კარგი პერსპექტივა არ აქვს.

*"რა თქმა უნდა, ამისთვის შესაფერისი დრო ვერ შევარჩიე - წინ ავსტრალიის ღია პირველობაა, რომელზე წარმატებულად გამოსვლაც ლეიტონს ყველაზე მეტად სურს, მაგრამ არც გადაწყვეტილების მიღების გადადება ივარგებდა. პირველ რიგში, ეს თავად ლეიტონის ინტერესებში შედიოდა"*, - განაცხადა რაშიდმა.

■ ■ ■

ინდოეთის ქალაქ ჩენაიში მიმდინარე ტურნირის ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს ესპანელმა **რაფაელ ნადალმა** და ბელგიელმა **ქსავიე მალისმა**, რომლებიც ფინალური საგზურის მოსაპოვებლად ერთმანეთს დაუპირისპირდებიან. მალისს სამი სეტი დასჭირდა ფრანგი **ფაბრის სანტოროს** დასამარცხებლად, ნადალმა კი ორ სეტში მოუგო იტალიელ **დავიდე სანგინეტის**.

კარგია, რომ სეზონის პირველივე ტურნირის ნახევარფინალში გავედიო - განაცხადა ნადალმა, ვისაც შორეულ ინდოეთში 5 000 ესპანელი ფანი ქომაგობდა. ცნობისთვის, აქამდე ნადალს ჩენაიში ერთადერთხელ, სამი წლის წინათ უთამაშია და მაშინ ტურნირს პირველივე წრეში გამოეთიშა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## WTA

**ავსტრალიის ჰარდის ჩემპიონატი**
გოლდ ქოუსტი (ავსტრალია).
1-6 იანვარი. ჰარდი
**საპრიზო ფონდი: 175 000 დოლარი**

### 1/4 ფინალი

**მარტინა ჰინგისი (1)** - კატალინა კასტანო 6:3, 6:1; **დინარა საფინა (2)** - სამანტა სტოშური 7:6(4), 6:3; **შაჰარ პეერი (5)** - ანა ივანოვიჩი (3) 5:7, 6:4, 6:4; **ტატიანა გარბინი** - ელენა ვესნინა 6:3, 6:2

### 1/2 ფინალი

**მარტინა ჰინგისი (1)** - ტატიანა გარბინი 3:4 გარბინი გამოეთიშა; **დინარა საფინა (2)** - შაჰარ პეერი (5) 4:6, 7:6(1), 6:1

**ASB-ს კლასიკური**
ოკლენდი (ახ.ზელანდია).
1-6 იანვარი. ჰარდი
**საპრიზო ფონდი: 145 000 დოლარი**

### 1/4 ფინალი

**ელენა იანკოვიჩი (1)** - ელენი დანიილიდუ (7) 6:3, 6:4; **ვერა ზვონარევა (5)** - ვირჟინი რასანო 7:5, 2:0 (რასანო გამოეთიშა); **ჯილ კრეიბასი** - პაოლა სუარესი 6:3, 7:6(4); **კამილ პენი** - ემილი ლუა 6:3, 6:3

### 1/2 ფინალი

**ელენა იანკოვიჩი (1)** - კამილ პენი 3:0 (პენი გამოეთიშა); **ვერა ზვონარევა (5)** - ჯილ კრეიბასი 6:3, 7:5

## ATP

**ადელაიდას საერთაშორისო**
ადელაიდა (ავსტრალია).
1-7 იანვარი. ჰარდი
**საპრიზო ფონდი: 419 000 დოლარი**

### 1/4 ფინალი

**კრის გუჩონე** - რიშარ გასკე (2) 1:6, 6:3, 7:6(4); **ნოვაკ ჯოკოვიჩი (1)** - პოლ გოლდშტაინი 6:4, 7:5; ორი თამაში გადაიდო

**ჩენაის ღია**
ჩენაი (ინდოეთი). 1-7 იანვარი. ჰარდი
**საპრიზო ფონდი: 436 000 დოლარი**

### 1/4 ფინალი

**ქსავიე მალისი (3)** - ფაბრის სანტორო (6) 6:4, 4:6, 6:0; **რაფაელ ნადალი (1)** - დავიდე სანგინეტი 6:3, 6:2

**ყატარის ღია**
დოჰა (ყატარი). 1-7 იანვარი. ჰარდი
**საპრიზო ფონდი: 1 000 000 დოლარი**

### 1/4 ფინალი

**ნიკოლაი დავიდენკო (1)** - ოლივიე როხუსი 6:4, 6:3; **ივან ლიუბიჩიჩი (2)** - მიხაილ იუჟნი (5) 2:6, 7:6(2), 7:6(3); **რობინ სოდერლინგი (6)** - მარკო ბაღდატისი (3) 6:3, 6:2; **ენდრიუ მიურეი (4)** - მაქს მირნი 2:6, 6:2, 6:2

# TV სპორტი

## 6 იანვარი. შაბათი

### SPORT 1 (უკრაინა)

08:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა 2005-06. არსენალი-იუვენტუსი.
09:50 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. სევილია-ვალენსია.
11:35 ექსტრემალური სპორტი. მსოფლიო თასი.
12:05 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ბაიერნი-ჰერტა.
13:45 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
14:40 სპორტკლუბი.
15:05 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ატლანტა-ფინიქსი.
16:50 ჩოგბურთი. ATP. 1/2 ფინალი. ადელაიდა. ავსტრალია.
19:55 სპორტული ტანვარჯიში. ოლიმპიკ გალა. ბელგია.
20:45 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
21:15 ფეხბურთი. ინგლისის თასი. ლივერპული-არსენალი (LIVE).
23:10 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. სევილია-ვალენსია.
01:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სარაგოსა-სევილია (LIVE).
02:55 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა 2005-06. სპარტაკი-სპორტინგი.
04:45 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
05:15 ჩოგბურთი. ATP. 1/2 ფინალი. ადელაიდა. ავსტრალია.

### EUROSPORT

10:30 ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. სპრინტი. ობერჰოფი. გერმანია.
11:30 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი. ქალები. გიგანტური სლალომი. I ცდა. კრანსკა გორა. სლოვენია (LIVE).
12:30 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. გიგანტური სლალომი. I ცდა. ადელბოდენი. შვეიცარია (LIVE).
13:30 თხილამურებით სირბილი. მსოფლიო თასი. ქალები. 15 კმ. მას. სტარტი. ვალ დი ფიემი. იტალია (LIVE).
14:30 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი. ქალები. გიგანტური სლალომი. II ცდა. კრანსკა გორა. სლოვენია (LIVE).
15:15 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი. 15 კმ. ობერსტდორფი. გერმანია (LIVE).
16:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. გიგანტური სლალომი. II ცდა. ადელბოდენი. შვეიცარია (LIVE).
16:15 ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. სპრინტი. ობერჰოფი. გერმანია (LIVE).
17:45 ჩოგბურთი. ATP. ფინალი. დოჰა. კატარი (LIVE).
19:30 თხილამურებით სირბილი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. 30 კმ. მას. სტარტი. ვალ დი ფიემი. იტალია.
20:30 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. მსოფლიოს თასი.
21:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. კვალიფიკაცია. ბიშხოფშოფენი. ავსტრია.
22:30 დართსი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფრიმლი გრინი. ბრიტანეთი (LIVE).
00:00 რალი-რეიდი. დაკარი 2007. I ეტაპი.
00:30 ბრძოლა წესების გარეშე.
02:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. კვალიფიკაცია. ბიშხოფშოფენი. ავსტრია.
03:30 რალი-რეიდი. დაკარი 2007. I ეტაპი.

### EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი. ტრამპლინიდან ხტომა. HS96. ობერსტდორფი. გერმანია (LIVE).
14:00 ციგაობა. მსოფლიო თასი. ორადგილიანი. I ცდა. კიონიგსე. გერმანია (LIVE).
14:30 კალათბურთი. ევროლიგა.
14:45 ახალი ამბები.
15:00 ციგაობა. მსოფლიო თასი. ორადგილიანი. II ცდა. კიონიგსე. გერმანია (LIVE).
15:30 ხელბურთი. საერთაშორისო ტურნირი. მამაკაცები. დანია-პოლონეთი. დანია.
16:30 თხილამურებით სირბილი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. 30 კმ. მას. სტარტი. ვალ დი ფიემი. იტალია (LIVE).
18:15 ციგაობა. მსოფლიო თასი. ორადგილიანი. II ცდა. კიონიგსე. გერმანია.
19:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ტურნირი. I ტური. კოპრივნიცა (ხორვატია)-ვიბორგი (დანია) (LIVE).
20:30 სნოუბორდი. მსოფლიო თასი. გრაცი. ავსტრია (LIVE).
21:30 ფლორბოლი. ევროპის თასი. მამაკაცები.
23:00 სნოუბორდი. მსოფლიო თასი. დავოსი. შვეიცარია (LIVE).
00:15 ფლორბოლი. ევროპის თასი. მამაკაცები.
01:00 ახალი ამბები.
01:15 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ტურნირი. I ტური. კოპრივნიცა (ხორვატია)-ვიბორგი (დანია).
02:15 ახალი ამბები.

## 7 იანვარი. კვირა

### I არხი

16:00 მსოფლიო რაგბი. ტელეჟურნალი.

### SPORT 1 (უკრაინა)

08:25 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ატლანტა-ფინიქსი.
10:10 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სარაგოსა-სევილია.
11:55 ფეხბურთი. ინგლისის თასი. ლივერპული-არსენალი.
13:40 ფიტნესი.
14:05 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. მონრეალი-რეინჯერსი.
15:50 ავტოსპორტი. DTM-ის სერია. V ეტაპი.
17:25 ჩოგბურთი. ATP. ფინალი. ადელაიდა. ავსტრალია.
19:00 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
19:30 ექსტრემალური სპორტი. მსოფლიო თასი.
20:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ხეტაფე-ბარსელონა (LIVE).
22:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. დეპორტივო-რეალი (LIVE).
00:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-ვალენსია (LIVE).
01:55 ექსტრემალური სპორტი. მსოფლიო თასი.
02:25 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა 2005-06. ინტერი-ბაიერნი.
04:15 ჩოგბურთი. ATP. ფინალი. ადელაიდა. ავსტრალია.
05:50 ფეხბურთი. ინგლისის თასი. ლივერპული-არსენალი.
07:35 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.

### EUROSPORT

10:30 რალი-რეიდი. დაკარი 2007. I ეტაპი.
11:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. კვალიფიკაცია. ბიშხოფშოფენი. ავსტრია.
11:30 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი. ქალები. სლალომი. I ცდა. კრანსკა გორა. სლოვენია (LIVE).
12:30 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. სლალომი. I ცდა. ადელბოდენი. შვეიცარია (LIVE).
13:30 ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. რბოლა გამოდევნებით. ობერჰოფი. გერმანია (LIVE).
14:30 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი. ქალები. სლალომი. II ცდა. კრანსკა გორა. სლოვენია (LIVE).
15:30 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. სლალომი. II ცდა. ადელბოდენი. შვეიცარია (LIVE).
16:15 ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. რბოლა გამოდევნებით. ობერჰოფი. გერმანია (LIVE).
17:15 თხილამურებით სირბილი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. 15 კმ. ვალ დი ფიემი. იტალია (LIVE).
18:15 დართსი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფრიმლი გრინი. ბრიტანეთი (LIVE).
19:30 თხილამურებით სირბილი. მსოფლიო თასი. ქალები. 10 კმ. ვალ დი ფიემი. იტალია.
20:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. რბოლა გამოდევნებით. ობერჰოფი. გერმანია.
20:30 ზამთრის სახეობები. ტელეჟურნალი.
21:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS140. ბიშხოფშოფენი. ავსტრია.
22:45 დართსი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფრიმლი გრინი. ბრიტანეთი (LIVE).
00:00 რალი-რეიდი. დაკარი 2007. II ეტაპი.
00:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS140. ბიშხოფშოფენი. ავსტრია.
02:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. რბოლა გამოდევნებით. ობერჰოფი. გერმანია.
02:30 ზამთრის სახეობები. ტელეჟურნალი.
03:00 რალი-რეიდი. დაკარი 2007. II ეტაპი.

### EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
10:45 ციგაობა. მსოფლიო თასი. მამაკაცები. I ცდა. კიონიგსე. გერმანია (LIVE).
11:45 სნოუბორდი. მსოფლიო თასი. გრაცი. ავსტრია.
12:15 ციგაობა. მსოფლიო თასი. მამაკაცები. II ცდა. კიონიგსე. გერმანია (LIVE).
13:15 სნოუბორდი. მსოფლიო თასი. დავოსი. შვეიცარია.
14:00 ფლორბოლი. ევროპის თასი. ქალები. ფინალი (LIVE).
16:15 თხილამურებით სირბილი. მსოფლიო თასი. ქალები. 10 კმ. ვალ დი ფიემი. იტალია (LIVE).
17:15 ფლორბოლი. ევროპის თასი. მამაკაცები.
17:30 ფლორბოლი. ევროპის თასი. მამაკაცები. ფინალი (LIVE).
19:45 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ხუვენტუდი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 ლაკროსი.
00:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ტურნირი. I ტური. კოპრივნიცა (ხორვატია)-ვიბორგი (დანია).
01:00 ახალი ამბები.
01:15 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ხუვენტუდი.
02:15 ახალი ამბები.

# ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

### ინგლისი

**I დივიზიონი**

| | |
|---|---|
| იეოვილი-ჰადერსფილდი | 3:1 |

**ინგლისის თასი**

| | |
|---|---|
| ბრ. როვერსი-ჰერეფორდი | 1:0 |
| სტოკი-მილუოლი | 2:0 |

**საფრანგეთის თასი**

| | |
|---|---|
| კრეტეი-ნიცა | 0:0, დ.დ 1:2 |

## ჰოკეი

**რუსეთი**

| | |
|---|---|
| მეტალურგი (ნ)-ტრაქტორი | 1:1 |
| სიბირი-მეტალურგი (მ) | 0:3 |
| დინამო-ამური | 4:1 |
| ნეფტეხიმიკი-ლოკომოტივი | 2:3 |
| სევერსტალი-ლადა | 3:2 |
| სკა-ს.იულაევი | 3:4 |
| მვდ-კრილია | 4:2 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| აუგსბურგი-ჰანოვერი | 1:4 |
| აისბარენი-მანჰაიმი | 1:2 |
| ჰამბურგი-ფრანკფურტი | 4:1 |
| ინგოლშტადტი-კიოლნი | 5:2 |
| დუისბურგი-ნიურნბერგი | 1:4 |
| შტრაუბინგი-ისერლონი | 3:0 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| ჟილინა-სლოვანი | 3:6 |
| კოშიცე-მიქულაში | 5:2 |
| მარტინი-პოპრადი | 2:3 |
| ნიტრა-ზვოლენი | 3:3 |
| სკალიცა-ტრენჩინი | 4:8 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ვიტკოვიცე-ლიტვინოვი | 9:5 |
| ზლინი-ბუდეიოვიცე | 3:3 |
| პლზენი-ვსეტინი | 4:0 |
| კლადნო-სლავია | 6:2 |
| პარდუბიცე-ზნოიმო | 4:0 |
| სპარტა-ლიბერეცი | 2:0 |
| კარლოვი ვარი-ტრშინეცი | 4:0 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ამბრი პიოტა-კლოტენი | 3:3, პ. 3:4 |
| ბაზელი-ბერნი | 3:1 |
| ლანგნაუ-ცუგი | 4:3 |
| ლუგანო-ფრიბურგი | 5:2 |
| ციურიხი-სერვეტი | 2:2, პ. 3:2 |

**მსოფლიო ჩემპიონატი**

ახალგაზრდული. III ადგილისთვის

| | |
|---|---|
| შვედეთი-აშშ | 1:2 |

ფინალი

| | |
|---|---|
| კანადა-რუსეთი | 4:2 |

## ჩოგბურთი

**ATP. დოჰა**

| | |
|---|---|
| ლუბიჩიჩი-სიოდერლინგი | 3:6, 6:4, 7:6 |
| დავიდენკო-მიურეი | 5:7, 2:6 |

**ATP. ჩენაი**

| | |
|---|---|
| მალისე-სანტორო | 6:4, 4:6, 6:0 |
| ნადალი-სანგინეტი | 6:3, 6:2 |
| მოია-კარლოვიჩი | 6:4, 7:6 |
| ბენეტო-კუბეკი | 1:6, 2:6 |

**WTA. ჰონგ კონგი**

| | |
|---|---|
| კლიისტერსი-შნიდერი | 4:6, 6:4, 6:4 |
| შარაპოვა-დემენტიევა | 4:6, 6:2, 6:3 |

**ჰოფმანის თასი**

| | |
|---|---|
| პეტროვა-მედინა გარიგესი | 6:0, 6:4 |
| რობრედო-ტურსუნოვი | 4:6, 5:7 |

# კალათბურთის მოცარტი

**ლეგენდარული ხორვატი კალათბურთელი დრაჟენ პეტროვიჩი გამოსათხოვარ მატჩზე არც ფიქრობდა. ის სულ 28 წლის იყო, როცა 1993 წლის 7 ივნისს, ნიურნბერგი-მიუნხენის ავტოსტრადაზე დაიღუპა. ხორვატიის ნაკრების ლიდერი ევროპის ჩემპიონატის წინ, გუნდის ბოლო შეკრებაზე მიემართებოდა. საჭესთან დრაჟენის საცოლე იჯდა. წვიმიანი ამინდი იყო. მანქანა დიდი სიჩქარით შეასკდა სატვირთოს, რომელიც შემხვედრ ზოლზე გადავიდა და მოულოდნელად შუა ტრასაზე გაჩერდა. დრაჟენი დაიღუპა, მისმა საცოლემ მძიმე ტრავმები მიიღო, მაგრამ გადარჩა... ასე სულელურად და ტრაგიკულად დაიღუპა კალათბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი - სერბი ოფიცრის შვილი, რომელიც ხორვატიის ეროვნულ გმირად იქცა.**

დრაჟენი 1964 წლის 22 ოქტომბერს შიბენიკში - ადრიატიკის ზღვის პატარა საპორტო ქალაქში დაიბადა. ის ძალიან ჭკვიანი და გონებრივად განვითარებული ბავშვი იყო. თავისი უფროსი ძმის - **ალექსანდრეს** მსგავსად, პატარა დრაჟენიც კალათბურთმა გაიტაცა. *"ის იღებდა ბურთს, რომელიც თითქმის მისი სიდიდის იყო და საათობით ვარჯიშობდა, თითქმის მთელ დღეს მოედანზე ატარებდა,* - იხსენებდა მოგვიანებით ალექსანდრ პეტროვიჩი. - *მისთვის მუდმივად თვალყურის დევნება მჭირდებოდა, რათა უფროს ბიჭებს არ გადაეთელათ".*

გავიდა რამდენიმე წელი. ალექსანდრ პეტროვიჩი ქვეყნის ერთ-ერთი პერსპექტიული კალათბურთელი გახდა და ხორვატიის უძლიერეს კლუბ ზაგრების "ციბონაში" გადავიდა. იმ დროისთვის დრაჟენი პირველ ნაბიჯებს დგამდა პროფესიულ კალათბურთში. 13 წლისა ის ადგილობრივ კლუბ "შიბენკაში" ჩაირიცხა, ორი წლის შემდეგ კი, ამ გუნდის ძირითად შემადგენლობაში მოხვდა. ნიჭისა და არაადამიანური მუშაობის წყალობით, მას 16 წლის ასაკში იუგოსლავიის საუკეთესო ახალგაზრდა კალათბურთელად მიიჩნევდნენ. იმ პერიოდში მან კარიერაში პირველი მედალი მოიპოვა - ბრინჯაო იუნიორთა ევროპის ჩემპიონატზე. ერთი წლის შემდეგ კი, ოქრო ბალკანეთის ქვეყნების ჩემპიონატში.

ალექსანდრ პეტროვიჩი: *"იუნიორთა ჩემპიონატების ერთ მატჩში 50-60 ქულა დრაჟენისთვის ნორმა იყო. ის ნამდვილი ლიდერი გახლდათ როგორც თავის თანატოლებს, ასევე ასაკით დიდ ბიჭებს შორის".*

დრაჟენი "შიბენკას" ლიდერი 17 წლის ასაკში გახდა, მიუხედავად იმისა, რომ მისი პარტნიორები 10-15 წლით უფროსები იყვნენ. 1982 წელს პეტროვიჩმა თავისი გუნდი პრესტიჟული ევროპული ტურნირის - კორაჩის თასის ფინალში გაიყვანა, სადაც "შიბენკამ" ვერ შეძლო ფრანგული "ლიმოჟის" დამარცხება. ერთი წლის შემდეგ, დრაჟენმა ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედალი და იუგოსლავიის საუკეთესო კალათბურთელის ტიტული მოიპოვა.

ასეთ ადრეულ ასაკში ამგვარი წარმატება შემთხვევითი არ ყოფილა. დრაჟენს ფანატურად უყვარდა კალათბურთი, ის ყოველდღე 7-8 საათი ვარჯიშობდა. შედეგად, 18 წლის ასაკში თავის ოპონენტებს ჯაბნიდა დრიბლინგში, საკალათბურთო აზროვნებაში, ტყორცნებში. პეტროვიჩი შეამჩნიეს. ბევრი წამყვანი ევროპული კლუბი ოცნებობდა ხორვატის თავის შემადგენლობაში ხილვას. დრაჟენმა წინადადება მიიღო სახელგანთქმული ამერიკელი მწვრთნელისგან, **"დიგერ" ფელპსისგან**, რომელიც არანაკლებ სახელგანთქმულ "ნოტრ-დამის" უნივერსიტეტს წვრთნიდა.

*"პირველი გუნდი - პირველი სიყვარულივითაა. "შიბენკა" სამუდამოდ დარჩება ჩემს გულში. ყველაფერი აქედან დაიწყო და ამ გუნდში გატარებული წლების დავიწყება შეუძლებელი იქნება. მახსოვს, როგორ დავდიოდი ძმის ვარჯიშებზე, ჩემი პირველი ვარჯიში, ყველა ის საათი, რომელიც მარტომ გავატარე მოედანზე, როცა ჩემთვის მხოლოდ ბურთი და კალათი არსებობდა. "შიბენკამ" მოთამაშედ ჩამომაყალიბა და კალათბურთში გეზი მიჩვენა. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. იმედი მაქვს, რომ "შიბენკა" გამიგებს. იმის მისაღწევად, რაც კალათბურთში მაქვს დაგეგმილი, აქედან წასვლა მიწევს. მე ვხურავ ამ ეტაპს, რათა გავხსნა ახალი",* - ეს სიტყვები დრაჟენმა თავისი პირველი პროფესიული კლუბიდან წასვლის შემდეგ გააკეთა.

## შოუთაიმი ოთხი სეზონის განმავლობაში

ერთი წელი არმიაში სამსახურის შემდეგ, დრაჟენმა "ციბონაში" გადასვლა გადაწყვიტა - კლუბში, სადაც მისი ძმა თამაშობდა. ზაგრებული გუნდის მთავარი მწვრთნელის **მირკო ნოვოსელის** სიტყვებით, სწორედ დრაჟენ პეტროვიჩი უნდა დახმარებოდა "ციბონას" კონტინენტის უძლიერეს კლუბად ჩამოყალიბებაში.

ოთხი სეზონის განმავლობაში "ციბონამ" მოიგო პრაქტიკულად ყველაფერი, რისი მოგებაც შეიძლებოდა. მათ შორის ორჯერ ჩემპიონთა თასი. ალექსანდრ და დრაჟენ პეტროვიჩები ევროპაში დაცვის უძლიერეს დუეტს ქმნიდნენ. ალექსანდრ პეტროვიჩი იხსენებს: *"თქვენ მეკითხებით, როგორი იყო დრაჟენთან წყვილში თამაში? ჩემს საკალათბურთო კარიერაში ასეთი იოლი წლები არ მქონია... რას ჩადიოდა ის ზაგრებში! ეს იყო ნამდვილი შოუთაიმი ოთხი სეზონის განმავლობაში".* აი, რას ამბობდა თავად დრაჟენი: *"გულშემატკივრების წინაშე ვალდებულად ვთვლი თავს. მე ისინი მიყვარს. ესაა მიზეზი იმისა, რომ ჩემთვის გამოსასვლელი დღე არ არსებობს. ჯერ მაყურებლისთვის ვთამაშობ და მხოლოდ შემდეგ ჩემთვისა და გუნდისთვის".*

მას ჭკუიდან გადაჰყავდა გულშემატკივარი თავისი ფენომენალური შედეგიანობით. 1985-86 წლების ჩემპიონატში, ლიუბლიანის "ოლიმპიას" წინააღმდეგ დრაჟენ პეტროვიჩმა 112 (!) ქულა დააგროვა, რის შემდეგაც იტალიურმა "გაძეტა დელო სპორტმა" პეტროვიჩს "კალათბურთის მოცარტი" უწოდა. არ შეიძლება მისი 62 ქულის დავიწყება კორაჩის თასზე ფინური "კატკანის" წინააღმდეგ. ან ზედიზედ ჩაგდებული 8 სამქულიანი "ლიმოჟთან" მატჩში.

## მადრიდული წლები

1986 წელს, დრაჟენი NBA-ის დრაფტის მესამე რაუნდში "პორტლენდმა" აირჩია, მაგრამ ამერიკულმა კლუბმა ვერ მოახერხა დრაჟენის დაყოლიება და ოკეანისგაღმა გამგზავრება გადაიდო. სეულის ოლიმპიადის შემდეგ, სადაც დრაჟენი იუგოსლავიის ნაკრებს ვერცხლის მედლების მოპოვებაში დაეხმარა, ის მადრიდის "რეალში" გადავიდა - ბევრი კალათბურთელისთვის საოცნებო და ევროპაში ყველაზე მდიდარ და სახელგანთქმულ კლუბში. "პეტროს" მისვლის შემდეგ, "სამეფო კლუბი" მაშინვე ესპანეთის ჩემპიონი და ჩემპიონთა თასის მფლობელი გახდა. ეროვნული თასის ფინალში, დრაჟენმა 42 ქულა ჩაუგდო "ბარსელონას", ევროპის თასის ფინალში კი, 62 ქულა დააგროვა იტალიის "სნაიდეროს" წინააღმდეგ.

საინტერესო ეპიზოდი მოხდა ერთ-ერთი ნახევარფინალური მატჩის დროს, ზაგრებში "ციბონას" (ამჯერად ძმები პეტროვიჩები ბარიკადების სხვადასხვა მხარეს იდგნენ) წინააღმდეგ, რომელიც მოგვიანებით ალექსანდრ პეტროვიჩმა გაიხსენა: *"როცა დრაჟენი პარკეტზე გავიდა, მას დარბაზი ოვაციით შეხვდა. მატჩის ბოლოს, თავისი გუნდისთვის გამარჯვების მოსაპოვებლად, დრაჟენს ორი საჯარიმო ზუსტად უნდა შეესრულებინა. ის მოგება მათთვის არაფერს ნიშნავდა, ჩვენ კი, კლუბის ხელმძღვანელობა "რეალის" დამარცხების სანაცვლოდ კარგ პრემიალურებს გვპირდებოდა. ამიტომაც, ძმასთან მივედი და პრაქტიკულად შევეხვეწე, რომ ორივე საჯარიმო აეცილებინა. დრაჟენმა მხოლოდ გაიღიმა და ორივე ჯარიმა ჩააგდო - მას დამარცხება არ უყვარდა".*

იმავე წელს, დრაჟენმა იუგოსლავიის ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატი მოიგო და ტურნირის ყველაზე სასარგებლო მოთამაშეც გახდა.

ამის შემდეგ ის მიხვდა, რომ ევროპაში ყველაფერს მიაღწია, რაც სურდა და ამერიკის დაპყრობა გადაწყვიტა. მან სასწრაფოდ დატოვა მადრიდი. დრაჟენი ვერ შეაჩერა "რეალთან" კონტრაქტის ნაადრევად გაწყვეტისთვის მილიონიანმა ჯარიმამ. "პეტრო" უკვე 25 წლის იყო და დრო აღარ ითმენდა.

## რთული გზა NBA-ში

დრაჟენ პეტროვიჩი, ალბათ, პირველი ევროპელია, ვინც ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში აღიარებას მიაღწია. ამ ტრიუმფამდე ის 4 წელი მიდიოდა და ეს გზა საკმაოდ რთული აღმოჩნდა. ამერიკა ევროპელ ვარსკვლავს ხელგაშლილი არ შეხვედრია. ოკეანის გაღმა მისი პირველი კლუბი - "პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი" დრაჟენისთვის მორიგი დაპყრობილი მწვერვალი ვერ გახდა. კალათბურთელს არ აეწყო ურთიერთობა მთავარ მწვრთნელ **რიკ ადელმანთან**. ეს უკანასნელი არ ენდობოდა პეტროვიჩს და არ იყო დარწმუნებული მის საკალათბურთო შესაძლებლობებში. თავიდან დრაჟენი შოკირებული გახლდათ - მას არასოდეს ჰქონია სათამაშო დროსთან დაკავშირებული პრობლემები. ლიგაში პირველი სეზონი მან 8 ქულაზე ნაკლები საშუალო მაჩვენებლით დაასრულა - მოედანზე, როგორც წესი, ბოლო წუთებზე ჩნდებოდა, როცა მატჩის ბედი უკვე გარკვეული იყო.

შემდეგი სეზონი კიდევ უფრო უარესად დაიწყო, მაგრამ ზამთარში დრაჟენმა მოახერხა კლუბის გამოცვლა - "ნიუ ჯერსიში" გადავიდა. "პორტლენდში" გატარებული 18 თვე მისთვის ნამდვილ ჯოჯოხეთად იქცა: *"უნდა წავიდე, რათა დავამტკიცო, რომ ცოტას არ ვნიშნავ. ჩემს ცხოვრებაში არასოდეს ვმჯდარვარ სათადარიგოთა სკამზე და ამის კეთებას არც "პორტლენდში" ვაპირებ. NBA-ის ყველაზე სუსტ გუნდში გადასვლაც რომ დამჭირდეს, თანახმა ვიქნები, ოღონდ კი სათამაშო დროის გარანტია მომცენ".* აი, როგორი კომენტარი გაუკეთა პეტროვიჩის "ნიუ ჯერსიში" გადასვლას "პორტლენდის" ლიდერმა, **კლაიდ დრექსლერმა**: *"დარწმუნებული ვარ, რომ დრაჟენს NBA-ში შესანიშნავი კარიერა ელოდება. ისეთები, როგორიც ის არის, ბევრს აღწევენ. მას აქ არ გაუმართლა, მაგრამ "ნეტსში" ყველაფერი შეიცვლება. ის დაამტკიცებს, რომ ლიგაში თამაშის უფლება აქვს და შესაძლოა, NBA-ის ვარსკვლავების გვერდითაც დადგეს".*

ახალ გუნდში მან თავიდანვე ვერ შეძლო ლიდერად ჩამოყალიბება, მაგრამ 1990-91 წლების სეზონის დარჩენილ თამაშებში შესამჩნევად გაიუმჯობესა სტატისტიკური მაჩვენებლები. ბოლომდე დრაჟენის ნიჭი მომდევნო წელს გაიხსნა. ის თავის გუნდში ბევრ კომპონენტში საუკეთესო გახდა და ძალიან მოუმატა დაცვაში თამაშს. სეზონის ბოლოს, დრაჟენ პეტროვიჩი ლიგის საუკეთესო შემტევ მცველად და ყველაზე პროგრესირებად მოთამაშედ აღიარეს. ის საშუალოდ მატჩში 20-ზე მეტ ქულას აგროვებდა, თამაშიდან ტყორცნების 51 პროცენტს იყენებდა და მეორე იყო ლიგაში სამქულიანი სროლების სიზუსტით.

ზაფხულში დრაჟენი დროებით სამშობლოში დაბრუნდა - ქვეყანა, რომელიც სამი წლის წინათ დატოვა, აღარ არსებობდა და 1992 წლის ოლიმპიადაზე პეტროვიჩი დამოუკიდებელი ხორვატიის ღირსებას იცავდა. ოლიმპიური თამაშების დებიუტანტმა მეორე ადგილი დაიკავა. ფინალში ხორვატიამ ამერიკულ "დრიმ თიმთან" წააგო, რომელიც საყოველთაო აღიარებით, კალათბურთის ისტორიაში უძლიერეს გუნდად არის მიჩნეული.

NBA-ში თავის მეოთხე და ბოლო სეზონში, "პეტრომ" **მაიკლ ჯორდანს** გაასწრო და კვლავ გახდა საუკეთესო შემტევი მცველი, აგრეთვე მოხვდა რეგულარული ჩემპიონატის მესამე სიმბოლურ ნაკრებში. ის საუკეთესო იყო თავის გუნდში საშუალო შედეგიანობით (22.3 ქულა - 11-ე შედეგი NBA-ში), ტყორცნების გამოყენების პროცენტული მაჩვენებლით (52% - საუკეთესო შედეგი მცველებს შორის) და საჯარიმო ტყორცნების რეალიზაციით (87%). გულშემატკივრებმა ის ემოციურობისა და ენერგიულობისთვის შეიყვარეს, მწვრთნელები აღფრთოვანებულნი იყვნენ იმით, რომ დრაჟენი სეზონის დასრულების შემდეგაც აგრძელებდა ვარჯიშს.

მაგრამ ყველაფერი ასე მარტივად არ ყოფილა. პეტროვიჩი შედეგიანობის მხრივ ერთადერთი კალათბურთელი იყო 15 ლიდერს შორის, რომელიც All-Stars Game-ზე არ მიიწვიეს. გარდა ამისა, ხშირად ამბობდნენ, რომ პეტროვიჩი ბევრს ისვრის კალათში - და ამას ლაპარაკობდნენ მოთამაშეზე, რომელსაც ნებისმიერი დისტანციიდან ლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო პროცენტული მაჩვენებელი ჰქონდა! სეზონის დასრულების შემდეგ, დრაჟენი თავისუფალი აგენტი გახდა, მაგრამ "ნეტსის" ხელმძღვანელობა არ ჩქარობდა ახალი კონტრაქტის გაფორმებას. ამიტომაც, პეტროვიჩმა გუნდის შეცვლა გადაწყვიტა: თავიდან ის სერიოზულად ფიქრობდა ერთ-ერთ ბერძნულ კლუბში გადასვლაზე, შემდეგ კი, დრაჟენი თავისთან მიიწვია "ნიუ იოკრ ნიქსის" მთავარმა მწვრთნელმა **პატ რაილიმ**.

მაგრამ, სანამ თავისი სამომავალო კარიერის შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებდა, პეტროვიჩი პოლონეთში გაფრინდა, რათა მშობლიურ ხორვატიას ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში დახმარებოდა. მალე, გერმანიიდან ყველასთვის შოკის მომგვრელი ინფორმაცია გავრცელდა...

*"ჩემს მეხსიერებაში ის დარჩება ბედნიერ და მომღიმარ ბიჭად, რომელიც გამარჯვებებზე ოცნებობდა და რომელიც უზომოდ იყო შეყვარებული კალათბურთზე",* - თქვა იმ დროს "ნეტსის" მთავარმა მწვრთნელმა, **ჩაკ დეილიმ**, როცა დრაჟენის დაღუპვის ამბავი შეიტყო.

1993 წელს, "ფინიქსსა" და "ჩიკაგოს" შორის NBA-ის ფინალური სერიის პირველი მატჩი წუთიერი დუმილით დაიწყო. მომდევნო სეზონის დასაწყისში, "ნიუ ჯერსის" საშინაო არენის ჭერში დრაჟენის 3-ნომრიანი მაისურა ჩამოკიდეს. უფრო მოგვიანებით, შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში, ოლიმპიური მუზეუმის წინ დრაჟენ პეტროვიჩის ქანდაკება დაიდგა, "მაკდონალდსის" ცნობილ საკალათბურთო ტურნირზე , საუკეთესო მოთამაშის პრიზი მის სახელს ატარებს, ხოლო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მაშინდელმა პრეზიდენტმა, **ხუან ანტონიო სამარანჩმა** "ოლიმპიური მოძრაობისადმი დამსახურებებისთვის", კალათბურთელი სიკვდილის შემდეგ ორდენით დააჯილდოვა. 2002 წლის ზაფხულში პეტროვიჩი NBA-ის დიდების დარბაზში შეიყვანეს.



დრაჟენ პეტროვიჩი


სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაჟელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლევან ბიბილაშვილი
ლელა ხომასურიძე

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1984-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 99 56 14, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე. გარდა კვირისა